საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 ოქტომბერი **ოთხშაბათი** 2012 **№252 (13 858)** ფასი 80 თეთრი

# რატომ მოხდა ასე? ეს ალბათ მთელმა ნაკრებმა უნდა თქვას.




ცოტა გასაკვირი კი იყო, რომ ნაკრებიდან კახა კალაძის წასვლის შემდეგ ასე უცბად მოხდა კაპიტნობის ერთი ფეხბურთელიდან მეორისთვის გადაცემა, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, ეს მხოლოდ მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო.

2




ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერაბ ჟორდანია თბილისშია

წუხელ ცნობილი გახდა, რომ ჰოლანდიიდან თბილისში ჩამოვიდა საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია. ჟორდანია ჩამოსვლისთანავე შეხვდა და საუბარი გამართა "დინამოს" ყოფილ მფლობელებთან. სპეციალური განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, დღეს გამოქვეყნდება.




## გამოჩნდა ჯანო, გაჩნდა სამი ქულა

### ჩელსისთან მოგებით შახტიორი გალიდერდა

5




არისტოკრატებს მეორე გოლი ფერნანდინიომ გაუტანა

აქტუალური ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გურამ კაშიას თამამი პასუხები

## რატომ მოხდა ასე? ეს, ალბათ, მთელმა ნაკრებმა უნდა თქვას...

**ა**რნემის "ვიტესის" კაპიტანი გურამ კაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების საკვანძო ფეხბურთელია. სწრაფი, მოქნილი, ღონიერი, ალღოიანი მცველი... კაშიას ყველანაირი მონაცემები ხელს უწყობს მაღალ დონეზე სათამაშოდ. ნაკრებში მის გარდა კიდევ არიან კლასიანი ფეხბურთელები, თუმცა ჩვენს ეროვნულ გუნდს მნიშვნელოვანი წარმატებები მაინც ვერ აქვს...

კაშია და "ვიტესი" კი წინ მიიწევენ, წლეულს გუნდმა ევროპა ლიგის საკვალიფიკაციოზე ითამაშა, ერედივიზიონში კი ამ სეზონში თამაში არ წაუგია და მესამე ადგილზეა.

თუ რა ხდება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, ამაზე ბოლომდე საუბარს ალბათ ყველა ერიდება და შესაძლოა, ეს სწორიც იყოს - გუნდს შიდა სამზარეულო აქვს და ყველაფრის გამოტანა არ ეგების. თუმცა ისიც ფაქტია, რომ საქართველოს ნაკრებში არის გადაუჭრელი პრობლემები, გუნდს თითქოს მეტი პოტენციალი აქვს, რასაც ბოლომდე ვერ ამჟღავნებს...

კაშია ურიგო რესპონდენტი ნამდვილად არ არის და ამიტომაც დავუკავშირდით მას ჰოლანდიაში. მაშ ასე, "ლელოს" კითხვებს "ვიტესის" კაპიტანი და ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე პასუხობს...

**- საქართველოს ნაკრები თითქოს მობილიზებულ, შეკრულ გუნდს ემსგავსება, მაგრამ ამავე დროს რჩება შთაბეჭდილება, რომ გუნდმა, ასე ვთქვათ, თავის თამაშს ვერ მიაგნო - იზიარებ ასეთ შეხედულებას?**

- ნაკრების თამაშის ხარისხს და სტილს რაც შეეხება, ამაზე საუბარი ფეხბურთელისთვის რთულია. რასაც მწვრთნელი მავალებს, ის უნდა შევასრულო. თუ შეტევაში წასვლას მივიჩნევ აუცილებლად, ამას ვაკეთებ კიდეც. ის კი არის, რომ რასაც ვაკეთებ "ვიტესში" და რისი გაკეთებაც მიწევს ნაკრებში - ამაში არსებობს განსხვავება.

**- რას გულისხმობ?**

- "ვიტესში" უფრო ღია ფეხბურთს ვთამაშობთ, ნაკრებში კი გუნდი დაცვაზეა ორიენტირებული თავდამსხმელიდან მეკარემდე.

**- ზოგი ამბობს, რომ საქართველოს ამ ნაკრებში დიდი ყურადღება არ ეთმობა თეორიულ მეცადინეობას, რომ მწვრთნელს ასე აქვს საკითხი დაყენებული - ეროვნულ გუნდში ფეხბურთელი რომ მოდის, ის ტაქტიკურად განსწავლული უნდა იყოს...**

- ვეთანხმები ასეთ პოზციას - ნაკრები უმაღლესი დონეა, სადაც საუკეთესოები თამაშობენ და თუ ფეხბურთელმა არ იცის, მოედანზე როგორ გადაადგილდეს, ეს უკვე სირცხვილია. ფეხბურთელობა ხომ პროფესიაა, რომელსაც თავისი განათლება მოეთხოვება. წელან ვთქვი, რომ ნაკრები ჩემი კლუბისგან განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს და შესაბამისი გადაწყობა ფეხბურთელის მოვალეობაა. მწვრთნელი წყვეტს, როგორ უნდა ითამაშოს გუნდმა და ნაკრებში იმის დრო აღარ რჩება, რომ ფეხბურთელმა ისწავლოს, ეს როგორ გააკეთოს. ნაკრებში რომ მიდიხარ, მგზავრობის შემდეგ ძალები უნდა აღიდგინო, ამისთვის უნდა იზრუნო და მწვრთნელი ერთხელ რომ მოგცემს დავალებას, შენი საქმე უნდა გააკეთო.

**- ამ შესარჩევში რაც ვუყურეთ საქართველოს ნაკრების მატჩებს, ასეთი შთაბეჭდილება დარჩა - მცველმა ბურთი ან უმისამართოდ უნდა მოიგერიოს, ან გრძელი პასი უნდა გააკეთოს თავდამსხმელის მისამართით, რომელიც რამდენიმე მცველის გარემოცვაში თითქმის მარტოა...**

- სათამაშო სისტემა არის ასეთი: გრძელი გადაცემა თავდამსხმელის მისამართით და ბრძოლა "მეორე ბურთისთვის", ანუ როცა გადაცემის შემდეგ ბურთი გადმოვარდება ჩვენი თავდამსხმელისგან თუ მეტოქე მცველისგან, ამ ბურთისთვის უნდა ვიბრძოლოთ. "მეორე ბურთის" აღება ადვილი არ არის, ეს დაკავშირებულია მოედნის ცენტრში რიცხობრივი უპირატესობის მოპოვებასთან. თბილისში ბელარუსთან ბევრჯერ მოვიგეთ "მეორე ბურთი", გაგვიმართლა, სტუმრად ბელარუსთან კი მეტოქემ ჩვენივე ნახევარზე მოგვიწყო პრესინგი და "მეორე ბურთი" ხშირად ვერ მოვიგეთ, თან ცუდად დავიწყეთ მატჩი, გოლი მალე გავუშვით...

**- საქართველოს ნაკრების დაცვაში დაზღვევა როგორ კეთდება? ფინეთთან მატჩი გავიხსენოთ, როცა ზურაბ ხიზანიშვილს მეტოქე გასცდა და გოლი გაიტანა - იმ ეპიზოდში შეუძლებელი იყო ხიზანიშვილის დაზღვევა?**

- იმ ეპიზოდში მეტოქეს გრძელი გადაცემის საშუალება მივეცით და ამან მნიშვნელოვნად განაპირობა ყველაფერი, სწრაფად განვითარდა ფინელების შეტევა და დაზღვევაც ამიტომ ვერ მოხერხდა. საერთოდ, კი ვცდილობთ, რომ დაცვაში ყოველთვის რიცხობრივი უპირატესობა გვქონდეს და შესაბამისად იყოს ურთიერთდაზღვევის საშუალება. დაცვაში ოთხი ორზე ან სამი ორზე მაინც უნდა დავრჩეთ თავდამსხმელებთან - ასეთი სისტემით ვთამაშობთ.

**- მცველების მოვალეობაში შედის ბურთის ამოტანაც, ბურთის გაგორება, მოკლე პასი, კაცის მოტყუება - ამ ელემენტებს რატომ ვერ ვხედავთ საქართველოს ნაკრებში?**

- უბრალოდ, რისკის გარეშე თამაში, თავდამსხმელისთვის ბურთის მიწოდება - ასე ვთამაშობთ. თუ რისკის საკუთარ თავზე აღებაც შეგიძლია, კი ბატონო, მაგრამ სანაკრებო დონეზე ამის შესრულება ძნელია. მე მიყვარს ფეხბურთის თამაში, პასი, მაგრამ ამ სისტემაში ეს რთულია. ჩვენ სულ "ცხრა ნომერს" ვეძებთ და 90 წუთის განმავლობაში მისი მისამართით 20-25 გადაცემას ვაკეთებთ.

**- ამ შესარჩევი ციკლის დაწყების წინ საქართველოს ნაკრებში კაპიტანი შეიცვალა - სამკლავური ზურაბ ხიზანიშვილიდან ჯაბა კანკავას გადაეცა. ეს მხოლოდ მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო თუ ფეხბურთელების აზრიც გაითვალისწინეს? ამას იმიტომ გეკითხები, რომ გაუგებარი დარჩა კაპიტნის არჩევის პრინციპი, თორემ კანკავას საწინააღმდეგო ალბათ არავის არაფერი აქვს...**

- ცოტა გასაკვირი კი იყო, რომ ნაკრებიდან კახა კალაძის წასვლის შემდეგ ასე უცბად მოხდა კაპიტნობის ერთი ფეხბურთელიდან მეორისთვის გადაცემა,



მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, ეს მხოლოდ მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო.

**- საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები თითქოს შეგუებულები ხართ იმ აზრს, რომ გუნდი ფინალურ ეტაპზე ვერ გავა. რატომ ჩამოყალიბდა ასეთი დამოკიდებულება, რა არის მიზეზი?**

- მართლაც გულდასაწყვეტია...წინა შესარჩევში ისეთი ჯგუფი გვერგო, რომ შეიძლებოდა ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლა. საქართველოს ნაკრების პრობლემა არის ის, რომ ესპანეთთან კარგად ვითამაშეთ, ფინეთთან კი... რატომ მოხდა ასე? ვერ გეტყვით, ეს ალბათ მთელმა ნაკრებმა უნდა თქვას. ფინეთთან უნდა მოგვეგო...

**- საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს მაღალი დონის ცენტრფორვარდი - ზოგი ამაში ხედავს ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას. შეტევაში მართლაც ძნელად მოიძებნება ისეთი ლიდერი, ვინც თამაშს საკუთარ თავზე აიღებს, გუნდს გაუძღვება, შეტევის ორგანიზებას მოახერხებს...**

- რაც უნდა მაგარი თავდამსხმელი ჩამოიყვანო საქართველოს ნაკრებში, იმისთვისაც რთული იქნება აქ თამაში. ნაკრებში თამაში ძნელი იყო დვალიშვილისთვის, ის იმდენს იბრძოდა და ჭიდაობდა... თუ ნახევარმცველმა, მცველმა ან ფლანგზე მოთამაშე ფეხბურთელმა არ შეუქმნა მომენტი თავდამსხმელს, ის გოლს ვერ გაიტანს. როცა თავდამსხმელი სულ იბრძვის და ჭიდაობს, მას ძალა აღარ რჩება, რომ ორი მცველი მოატყუოს და ისე გაიტანოს გოლი. თუ ლუქსემბურგთან მჭედლიძის გოლს არ ჩავთვლით, რამდენი ხანია, რაც "მეცხრე ნომერს" გოლი არ გაუტანია საქართველოს ნაკრებში? თავდამსხმელმა შავი სამუშაოც შეასრულოს და გოლიც გაიტანოს - ეს ძალიან ძნელია.

**- საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში წლობით გითამაშია. როგორ ფიქრობ, ჩვენს ჩემპიონატში არ არიან სანაკრებო დონის თავდამსხმელები?**

- როგორ არ არიან, თუნდაც ვაწაძე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ სწორედ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობდა. თუნდაც დვალი, ვინც, ასე ვთქვათ, ერთი მომენტის თავდამსხმელია...

**- ეროვნულ ნაკრებში თამაში - ეს არის პატრიოტიზმი და ამავე დროს სამუშაოს შესრულება. ასე უდგებიან საკითხს თითქმის ყველა ქვეყანაში, უკვე აფრიკულ ქვეყნებშიც კი, საქართველოს გარდა, სადაც მხოლოდ მწვრთნელებს უნდა ჰქონდეთ ხელფასი, ფეხბურთელებს კი არც ხელფასი და არც პრემია. საინტერესოა გურამ კაშიას აზრი ამ საკითხზეც...**

- "ვიტესში" კოტდიუვარელი თავდამსხმელი ვიტფრიდ ბონი თამაშობს, რომელმაც ერთხელ მითხრა, ნაკრებში რომ გიძახებენ, ალბათ შენც ფულის გასაკეთებლად მიდიხარო. მე კი ვუთხარი, ნაკრებში რომ ვთამაშობ, ეს მეც მეამაყება და მთლიანად ჩემს ოჯახს-მეთქი. ჩვენთან სხვა მენტალიტეტია. ნაკრებში თამაშის გულისთვის მე არც კონტრაქტს ვითხოვ და არც პრემიას, მხოლოდ ელემენტარულ პირობებს - ნორმალურად მგზავრობას.

**- საქართველოს ნაკრები ფინეთიდან ვილნიუსში გადაფრინდა, იქიდან კი ავტობუსით იმგზავრა ბელარუსამდე, საზღვარზე რამდენიმე საათით მოგიწიათ შეყოვნებამ...**

- მგზავრობისთვის მოკლე გზა უნდა მონახოს, ხუთი საათი რომ დგახარ საზღვარზე, ფეხბურთელისთვის ეს უკვე პრობლემაა, მაგრამ ჩვენ ბელარუსში დავმარცხდით და წაგებული თამაშის შემდეგ სათქმელი აღარაფერი გვაქვს, ამ თემაზე ლაპარაკი უკვე უხერხულია.

**- "ვიტესზე" გადავერთოთ. ყველას იმის იმედი გვქონდა, რომ გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზაიშვილი ამ სეზონიდან უკვე დაიმკვიდრებდნენ ადგილს ძირითადში, თუმცა ჯერ ასე არ ხდება...**

- გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა, ჭანტურიას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა... ვერ აეწყო საქმე კარგად, მაგრამ ეს ალბათ დროებითია. რაც შეეხება ყაზაიშვილს, გარემარბის პოზიციაზე "ვიტესში" ყველაფერი რიგიანად მიდის, გუნდს თამაში არ წაუგია და ასეთ დროს ძნელია ძირითადიდან ვინმეს ამოგდება. ყაზაიშვილით მწვრთნელი კმაყოფილია და ალბათ მალე მიეცემა შანსი.

**- "ვიტესი" ახლა მე-3 ადგილზეა - ამ სეზონში ეს პოზიცია თქვენი გუნდისთვის მაქსიმუმი იქნება?**

- მესამე ადგილი ჩვენთვის ძალიან კარგი შედეგია, იღბალიც ჩვენს მხარეს არის, ყველაფერი კარგად წაგვივიდა. ახლა ისეთი თამაშები გველის, ყველაფერი ნათლად გამოჩნდება – "აიაქსი", "ტვენტე", პსვ, "ალკმაარი" და დერბი "ნეიმეგენთან".

**- ევროპა ლიგაზე "ანჟისთან" მარცხი კანონზომიერად მიგაჩნია?**

- ცუდად არ გვითამაშია, გვქონდა შანსი და ვერ გამოვიყენეთ, "ანჟიმ" გამოცდილებით, დიდი ფეხბურთელების წყალობით მოგვიგო, "ანჟის" უფრო ეკუთვნოდა მომდევნო ეტაპზე გასვლა.

**- ჰოლანდიის ჩემპიონატი კარგი სკოლაა, მაგრამ ალბათ უკეთეს გუნდში გადასვლაზე ფიქრობ...**

- "ვიტესი" ისე ვითარდება, რომ ალბათ სხვა ჰოლანდიურ გუნდში გადასვლა არ მომიწევს. სეზონის დასრულების შემდეგ ჰოლანდიიდან ძალიან ბევრი ფეხბურთელი მიდის სხვა ქვეყნებში.

**- ყველაზე უფრო სად მიგიწევს გული?**

- დიდი სურვილი მაქვს, რომ ბუნდესლიგაში ვითამაშო. გერმანიის ჩემპიონატი უმაღლესი დონისაა, ყველა თამაშზე ტრიბუნები სავსეა...

**დავით თავართქილაძე**

მსაჯთა საფიხვნო

# საკამათო ეპიზოდები და საერთაშორისო მოწვევები

**ე**როვნული ჩემპიონატის გასული ტურის ორ მატჩს რეზონანსი სამსაჯო კუთხით მოჰყვა. მართალია, არბიტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ორივე გუნდმა გაიმარჯვა, მაგრამ სადავო მომენტები სადავოდ დარჩა.

კერძოდ, ქუთაისში ტორპედოელები "ჩიხურას" კარში არდანიშნული პენალტით დარჩნენ უკმაყოფილო, რუსთავში კი "მეტალურგის" სამწვრთნელო შტაბის, ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების გულისწყრომა არბიტრის რამდენიმე გადაწყვეტილებამ გამოიწვია.

"ქუთაისში არდანიშნულ თერთმეტმეტრიანზე დავა მართლაც შეიძლება და ეპიზოდის განხილვისას სპეციალისტთა აზრი გაიყო. შესაძლებელია, თამაშის წესების დარღვევას მართლაც ჰქონდა ადგილი", - გვითხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების ხელმძღვანელმა **ლევან ფანიაშვილმა**. მან ისიც დაგვიდასტურა, რომ რუსთავში გარკვეული შეცდომები იყო, თუმცა რაკი სამსაჯო განყოფილებას ფირი ჯერ არ უნახავს, მის კომენტარს მოგვიანებით შემოგთავაზებთ.

რაც შეეხება ქართული სამსაჯო კორპუსის სხვა სიახლეებს – ქალთა შორის ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩებზე მიწვეულია ფიფას ქართველი ასისტენტი **ხათუნა მაისურაძე**, რომელიც ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში შვედეთში გასამართი ჯგუფის მატჩებს მოემსახურება. მასპინძელთა გარდა, მინიტურნირში ავსტრიის, ხორვატიისა და აზერბაიჯანის ნაკრებები ითამაშებენ.

ვაჟთა 17-წლამდელების შეხვედრებს კი **დავით ხარიტონაშვილი** გაუძღვა. იგი ავსტრიაში შვეიცარია-ფარერებისა (3:0) და ავსტრია-ფარერების (6:0) არბიტრი იყო.

ნოემბერში, სომხეთი-ლიტვის ამხანაგურ მატჩსაც ქართველები მოემსახურებიან. შეხვედრის არბიტრი **ლაშა სილაგავა** იქნება, ასისტენტებად **გურამ ჩიგოგიძე** და **მამუკა მენთეშაშვილი** გაამწესეს, მეოთხე მსაჯის ფუნქციებს კი **გიორგი ვადაჭკორია** შეასრულებს.

დეკემბერში თბილისი საერთაშორისო სამსაჯო კონვენციით გათვალისწინებულ ორ სემინარს უმასპინძლებს, სადაც უცხოელი სპეციალისტები ქართველი მსაჯებისა და ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლებაზე იზრუნებენ.

რაც შეეხება არბიტრ **ლევან კვარაცხელიას** საკითხს, ამასთან დაკავშირებით ახალი ჯერ არაფერია – მას კვლავ არ ჩაუბარებია ნორმატივები და შესაბამისად, ამ ეტაპზე სამსაჯო საქმიანობა შეწყვეტილი აქვს.

ბოლოს კი იმას გეტყვით, რომ 6 ნოემბერს ლევან ფანიაშვილი საპატიო მისიას შეასრულებს - ჩემპიონთა ლიგაზე "მილანი"-"მალაგას" მატჩის მსაჯთა დამკვირვებელი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დინამო

# ლორია მოედანს ზესტაფონთან დაუბრუნდება?

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები ბელარუსთან და ესპანეთთან **გიორგი ლორიამ** ისეთ დონეზე ჩაატარა, რომ გულშემატკივრის უპირობო ფავორიტი გახდა.

მაგრამ თბილისის "დინამოს" მეკარე 11 სექტემბერს ესპანეთის ნაკრებების შეხვედრის 65-ე წუთზე **ზურაბ ხიზანიშვილთან** უნებლიე შეჯახების შემდეგ დაშავდა. მას შემდეგ ყველას აინტერესებდა, როდის დაუბრუნდებოდა 26 წლის მეკარე მოედანს?

პირველადი გამოკვლევების შემდეგ, გიორგის მარცხენა მუხლი ჰქონდა დაშავებული. მაგრამ "ფურია როხასთან" მიღებული ტრავმა სერიოზული არ გამოდგა, გიორგიმ მხოლოდ ერთი თვე დაისვენა, სარეაბილიტაციო ეტაპი დაასრულა, ფეხი აღარ სტკივა და უკვე ერთი კვირაა, თბილისის "დინამოსთან" ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს. თუმცა, გართულების თავიდან ასაცილებლად, ლორია საგანგებო დამცველით (ე.წ. ფიქსატორი) ვარჯიშობს.



გიორგი ლორია

როგორც შევიტყვეთ, გამორიცხული არ არის, რომ "დინამოს" მეკარე მოედანს 27 ოქტომბერს დაუბრუნდეს, როდესაც თბილისური კლუბი "დინამო-არენაზე" საქართველოს ჩემპიონს, "ზესტაფონს" დაუპირისპირდება.

ჯერჯერობით მკურნალობს ნახევარმცველი **კარლეს კოტო.** "დინამოს" კატალონიელი ლეგიონერი 15 სექტემბერს გორში "დილასთან" დაშავდა და ტრავმა დღემდე ვერ მოირჩინა - მას მუხლის ხრტილი დაუზიანდა, რაც სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს და სავარაუდოდ, მოედანს, ერთ თვეში დაუბრუნდება.

თუმცა, დინამოელთა ლაზარეთი ნელ-ნელა იცლება: სრულად მომჯობინდნენ, გუნდთან ერთად ვარჯიშობენ და უკვე ითამაშეს ბრაზილიელმა და ესპანელმა ლეგიონერებმა, **რობერტინიომ** და **ჩისკომ**. სავარაუდოდ, მოედანს მალე დაუბრუნდება **ლევან კაკუბავაც**, რომელსაც ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, მაგრამ საშიში არაფერია.

გამოჯანმრთელდა ახალგაზრდა მცველი **დათა ხოჭოლავაც**. მუხლის ოპერაციის შემდეგ, მან რეაბილიტაცია დაასრულა და უკვე მეორე თვეა, თავს კარგად გრძნობს, ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორმით დანიის წინააღმდეგ უკვე ვიხილეთ კიდეც.

ლეგიონერი



ზაქარია ბეგლარიშვილი

# ბეგლარიშვილი თავისუფალი აგენტი ხდება

ტალინის „ფლორას" ერთ-ერთი ლიდერი **ზაქარია ბეგლარიშვილი** წლევანდელ სეზონს მაღალ დონეზე ატარებს - 22 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ესტონეთის ჩემპიონატის 27 მატჩში 17 გოლი გაიტანა და გუნდის ბომბარდირია. 34 ტურის შემდეგ, ქართველი ლეგიონერი მეისტრილიგის ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზეა და **ტარნო ნეემელოსა** („კალიუ", 22 გოლი) და **ვლადისლავ ივანოვს** ("ტრანსი", 20 გოლი) ჩამორჩება. თუმცა, ნახევარმცველისთვის ასეთი შედეგიანობა თუნდაც ესტონეთის ჩემპიონატში ძალიან კარგი მაჩვენებელია.

ბეგლარიშვილს „ფლორასთან" კონტრაქტი უმთავრდება და დავინტერესდით, რას აპირებს ახალი სეზონიდან.

*"კონტრაქტი ნოემბერში მიმთავრდება. მაგრამ ჯერ წარმოდგენა არ მაქვს, დავრჩები თუ სხვაგან ვითამაშებ. ახლა მსურს, სეზონი კარგად დავასრულო, მერე თბილისში ჩამოვიდე და კარგად დავისვენო. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, ახალი წლიდან სად ვითამაშებ.*

*"ფლორამ" კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, მაგრამ დარჩენა აღარ მილირს. ესტონელებსაც ეს ვუთხარი, ჯერ არაფერზე ლაპარაკი არ მსურს-მეთქი. მაგრამ საკმაოდ წარმატებული სეზონის შემდეგ, მჯერა, საინტერესო წინადადებები გამოჩნდება"* - ამბობს ბეგლარიშვილი.

ზაქარია ბეგლარიშვილის გადაყვანა 2011 წელს რუსთავის „ოლიმპს" სურდა, გუნდთან ერთად თურქეთში ემზადებოდა და საკონტროლო შეხვედრებიც ჩაატარა, მაგრამ შეკრების შემდეგ ესტონელებმა ქართული კლუბი უარით გაისტუმრეს. წლეულს ზამთარში ნახევარმცველით თბილისის "დინამო" დაინტერესდა, ზაფხულში კი უკრაინის პრემიერლიგის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მაგრამ არც ერთს არაფერი გამოუვიდა – "ფლორა" ქართველ ლეგიონერს ვერ ელეოდა. ან რა გასაკვირია, 2011 წლის ზაფხულში ბეგლარიშვილით ცნობილი პოლონური კლუბი, კრაკოვის "ვისლა" დაინტერესდა და ტალინური კლუბის ხელმძღვანელებმა ეს ტრანსფერიც ჩაშალეს.

ახლა კი ბეგლარიშვილს ესტონეთიდან წამოსვლის მშვენიერი შანსი უჩნდება.

ფუტსალი

# დღეს პორტუგალიას ვხვდებით

## შევეცდებით, ნერვები მოვუშალოთო

საქართველოს ფუტსალის ნაკრები 22 ოქტომბერს პორტუგალიაში ჩაფრინდა და ლისაბონში სასტუმრო "სანა სილვერ კოსტში" დაბინავდა. 24 და 25 ოქტომბერს "ჯვაროსნები" პორტუგალიის ეროვნულ ნაკრებს ამხანაგურად ესპარინგებიან.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა** და მისმა თანაშემწემ **ბესო არველაძემ** ფეხბურთელები უკვე ავარჯიშეს.

*"პორტუგალიელებმა ძალიან კარგი საცხოვრებელი და მოსამზადებელი პირობები დაგვახვედრეს. მგზავრობა ხანგრძლივი გამოდგა და ბიჭები დაიღალნენ. ამიტომ, 22 ოქტომბერს აღდგენითი ვარჯიში გვქონდა და ფეხბურთელები სრულად არ დამიტვირთავს. დღეს კი ჩვეულებრივად ვივარჯიშეთ. რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგე კი გვყავს, მაგრამ შევეცდებით, პორტუგალიელებს ნერვები მოვუშალოთ"* – გვითხრა ასათიანმა.

მოსაზრება

# როგორ განავითარეს თურქებმა ფეხბურთი?

**საქართველოში თურქული კომპანიის, "ენდა სპორტს ტურის" წარმომადგენლები, ფერიტ ჯაფირი და აზიზ რაფეტი იმყოფებოდნენ. ისინი პოტენციურ პარტნიორებს ეძებენ და დააფუძნეს წარმომადგენლობა, რომელსაც ვეტერანი ფეხბურთელი გოგა გახოკიძე და სპორტული მენეჯერი დავით ყენია გაუძღვებიან.**

**მაგრამ თურქი ბიზნესმენების ვიზიტი ჩვენთვის მხოლოდ მნიშვნელოვანი ამის გამო არ გამხდარა, რაზეც წერილის ბოლოს მოგახსენებთ.**

**აზიზ რაფეტი:** *"ჩვენ ანთალიაში ბელექის, ქემერის, ლარასა და სიდეს სასტუმროებთან ვთანამშრომლობთ და გუნდებს ვუჯავშნავთ სასტუმროს, ვუდგენთ კვების რაციონს, ვუგეგმავთ მოსამზადებელი ეტაპებს, სპარინგ-მატჩებს, სად და რა მოედნებზე ივარჯიშონ. ანუ გუნდი ანთალიაში რომ ჩადის, მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრობს და არა პრობლემური საორგანიზაციო საკითხების სასწრაფო წესით მოგვარებაზე. ვცდილობთ, იმიჯს გავუფრთხილდეთ. კლიენტთან ურთიერთობა აწყობილი გვაქვს არა მხოლოდ მოგების მიზნით, არამედ პარტნიორობის გასაგრძელებლად. არადა, ბევრი გუნდია, რომელიც უკმაყოფილოა ორგანიზატორით, შეპირებულ საკონტროლო შეხვედრებს ვერ ატარებს, ან სასტუმროში კვება არ აკმაყოფილებს და ა.შ.*

*ჩვენი სამსახურით ბევრი ცნობილი კლუბი და მწვრთნელი სარგებლობს, ომარ თეთრაძე, გაჯი გაჯიევი, ვალერი გაზაევი, რუსული, უკრაინული, ბელარუსული, ბულგარული, ჩეხური, ყაზახური, აზერბაიჯანული, სომხური, უზბეკური კლუბები. ანთალიაში ორგანიზებას ვუკეთებთ საერთაშორისო ტურნირებს... შარშან პირველად ჩავიყვანეთ ქუთაისის "ტორპედო" და ვიცით, რომ შეკრებით კმაყოფილები დარჩნენ. ამას გარდა, ვთანამშრომლობთ ფეხბურთის ფედერაციებთან და მსაჯთა კორპუსის მომზადების საინტერესო გეგმასაც ვთავაზობთ – ისინი, პარალელურად, საკონტროლო მატჩებშიც დასაქმდებიან.*

*ახლა წარმომადგენლობა საქართველოშიც გავხსენით, რადგან ეს აუთვისებელი ბაზარია. აქ ბევრ კლუბს აქვს ფინანსური პრობლემები და უცხოეთში გამგზავრებას ვერ ახერხებს. მაგრამ ყველას დაველაპარაკებით და დარწმუნებული ვარ, საინტერესო თანამშრომლობას შევთავაზებთ".*

... 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საფეხბურთო საზოგადოება ელის, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს ახალი ხელისუფლება სპორტისა და კონკრეტულად, ფეხბურთის განვითარებისთვის. არაერთი საინტერესო მოსაზრება არსებობს, მაგრამ ერთში ყველა თანხმდება – ამ კუთხით მისაბაძი თურქული მოდელია, რომელიც პრეზიდენტმა **თურქუთ ოზალმა** განახორციელა. რვაწლიანი მმართველობის (1983-1991) პერიოდში, მან მოახერხა და ჩამორჩენილი ქვეყანა ფეხზე დააყენა, ხოლო თურქული ფეხბურთი ევროპულ დონეს მიუახლოვა.

კონკრეტულად რა ნაბიჯები გადადგა ფეხბურთის განვითარებისთვის ოზალმა და რა საკონონმდებლო ინიციატივებსა თუ ხერხებს მიმართა, ეს ქართულ საფეხბურთო სამყაროში ბევრმა კარგად არ იცის.

ჩვენ ვისარგებლეთ შემთხვევით და დღეისათვის ქართული სპორტისთვის აქტუალურ მოდელზე თურქ სტუმარს ველაპარაკეთ.

*"ნაღდად არ გამკვირვებია, აქ რაც მითხრეს: თურმე, თბილისის "დინამო" ჩვენი ფეხბურთის გრანდებს 90-იან წლებამდე დიდი ანგარიშით ამარცხებდა. ადრე თურქული ფეხბურთი მართლაც დაბალ დონეზე იყო. მისი განვითარება კი მთლიანად თურქუთ ოზალის დამსახურებაა. მან არა მხოლოდ ფეხბურთი, მთელი ქვეყანა გარდაქმნა. ის იყო გონიერი და მოქნილი პოლიტიკოსი. ამავე დროს, ეკონომიკაც მშვენივრად ესმოდა.*



ბოლო პერიოდში თურქეთის ნაკრებმა დიდი პროგრესი განიცადა

*თურქეთში ფეხბურთის აღზევება საკურორტო ბიზნესის განვითარებით დაიწყო, რაც ქვეყნის ბიუჯეტისთვისაც სასურველი იყო და ფეხბურთისთვისაც -ამ უკანასკნელის განვითარება ხომ ბევრად არის დამოკიდებული კავშირებზე. თურქული ფეხბურთი კი ისეთი დაბალი დონის იყო, რომ ცნობილ კლუბებს ჩვენთან თამაში არ სურდათ და არ ჩამოდიოდნენ.*

*სხვათა შორის, 80-იან წლებში ანთალიის სანაპიროები მიტოვებული იყო, იქ მშობლები მიწებს ნაბოლარა შვილებსა და ქალიშვილებს უტოვებდნენ, ვისაც ჩვენი წესებით, ყველაზე ნაკლები მემკვიდრეობა ერგება. ახლა ისინი მიწების გაქირავების ხარჯზე მილიონერები გახდნენ.*

*რა ქნა ოზალმა? მას ტურისტული პოტენციალის ათვისება სურდა და უმდიდრეს ბიზნესმენებს, რომელთაც წარმოება სტამბოლსა და ანკარაში ჰქონდათ, ჰკითხა, რა შემთხვევაში აითვისებდნენ ანთალიას. დაინტერესება არ იყო და სასტუმროების ასაშენებლად თავად შესთავაზა 49-წლით დაბალპროცენტიანი სახელმწიფო კრედიტი, თითოეულს, მინიმუმ, 5 მილიონი ლირა. თურქული ფული მყარი არ არის, ინფლაცია მის მსყიდველუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებდა და ბიზნესმენები დაინტერესდნენ – ეს თანხა ხომ ხვალისათვის კიდევ უფრო გაუფასურდებოდა.*

*ამას გარდა, ყველა, ვინც სასტუმროში სპორტულ კომპლექსსა და სტადიონს მოაწყობდა, ოზალმა წყლის გადასახადისგან გაათავისუფლა. ეს იყო სერიოზული ბიძგი, რამაც ბიზნესმენები უკვე მასობრივად დააინტერესა და სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნას დასაბამი მისცა.*

*ანთალიაში სასტუმროების კომპლექსების მშენებლობის შემდეგ ტურისტების რაოდენობა უდიდესი ტემპებით იზრდებოდა. მერე ჩვენკენ ევროპისა და აზიის გუნდებმაც გამოიხედეს და ნელ-ნელა, ევროპელებს დაბალი ლიგის თურქული კლუბებიც გაუშინაურდნენ. ბოლოს იმ დონეზე მივედით, რომ ახლა ჩვენთან ევროპული გრანდებიც სიამოვნებით ჩამოდიან. მათგან ბევრი რამ ვისწავლეთ და ჩვენი ფეხბურთის დონეც გაიზარდა. ანუ, ამ პროცესში ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სასტუმროების ბიზნესის ხელშეწყობა იყო, რამაც ევროპელებთან უშუალო და ინტენსიური კავშირი დაგვამყარებინა.*

*თურქული ფეხბურთის განვითარებას ხელი მთელ ქვეყანაში პოპულარულმა "ინტერტოტოს" გათამაშებამაც შეუწყო, რადგან ჩვენთან ტოტალიზატორები და სათამაშო სახლები აკრძალულია. აზარტის მოყვარულები მას ეტანებიან. პარლამენტის გადაწყვეტილებით, გათამაშების 40 პროცენტი პირდაპირ სპორტს, უმთავრესად, ფეხბურთს ერიცხება, წლიურად, დაახლოებით, 2 მილიარდი დოლარი. ეს არის უზარმაზარი ხელშეწყობა, თანხა კი ნაწილდება ფეხბურთის ფედერაციაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ბავშვთა ფეხბურთსა და კლუბებზე. სახელმწიფოსთვის ეს მომგებიანია, რადგან თურქეთის ეკონომიკის ახალი დარგი, საფეხბურთო მეურნეობა შეიქმნა, საიდანაც ქვეყნის ბიუჯეტში ყოველწლიურად 3-3.5 მილიარდი დოლარის გადასახადი შედის"* - ამბობს ფერიტ ჯაფირი.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

# ქართული ფეხბურთი

პირველი ლიგა

IX ტური

**"ლელო" მკითხველისთვის პირველლიგელთა გაცნობას განაგრძობს და ამჯერად ორ მათგანს წარმოგიდგენთ – სტუ-სა და ხობის "კოლხეთს". ორივე კლუბის მესვეურები საქმეს აქტიურად უძღვებიან და უკეთესი მომავლის იმედიც აქვთ.**

## სტუდენტური ფეხბურთის ფლაგმანი

15 ქულა და მე-4 ადგილი პირველი ლიგის A ჯგუფში – ასეთია სტუ-ს ამჟამინდელი მონაგარი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ადრე მეორე ლიგაში ასპარეზობდა, პირველ ლიგაში კი მეორე სეზონია, თამაშობს და ამის კვალობაზე არცთუ ურიგო შედეგები აქვს.

ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სპორტს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა – ფუტსალი, კალათბურთი, ხელბურთი, რაგბი, ფრენბურთი და სხვა სახეობები ყოველთვის იყო მათი ყურადღების ცენტრში. რასაკვირველია, ფეხბურთის გუნდი ამაზე გაცილებით სოლიდურ დანახარჯებს მოითხოვს, მაგრამ უნივერსიტეტმა ეს ნაბიჯიც გადადგა და ეტაპობრივად ცდილობს გუნდის განვითარებას. საფეხბურთო კლუბ სტუ-ზე უშუალოდ ზრუნავენ უნივერსიტეტის რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი** და სტუ-ს სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ბორის გითოლენდია**. გუნდის მთავარი მწვრთნელია **გოჩა ჟორჟოლიანი**, რომლის საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერასაც ქართველი გულშემატკივარი კარგად იცნობს.

*"უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სურვილია, სტუდენტები მაქსიმალურად იყვნენ ჩაბმულნი სპორტულ ცხოვრებაში, ფეხბურთს კი მართლაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მართალია, ფეხბურთელები უხელფასოდ თამაშობენ, მაგრამ გუნდს საორგანიზაციო პრობლემები არ აწუხებს. ჯერჯერობით, განვითარების საწყის სტადიაზე ვართ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს"*, - გვითხრა გოჩა ჟორჟოლიანმა.

სტუ-ს მესვეურები გუნდის წარმატებად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ სტუ-ში დაოსტატებულმა არაერთმა ფეხბურთელმა კარიერა უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებში გააგრძელა. გუნდის მოთამაშეთა აბსოლუტურ უმრავლესობას კვლავაც შეადგენს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტობა. სტუ-ელთა ოცნება კი ის არის, რომ ამ გუნდის აღზრდილი ყველა ძლიერი ფეხბურთელი დაიბრუნონ და დღევანდელზე გაცილებით მაღალი მიზნებისთვის იბრძოლონ.

გასაგები მიზეზების გამო, სტუ დღესდღეობით მიზნად უმაღლეს ლიგაში გადასვლას ვერ დაისახავს და ჯერჯერობით, პოზიციების პირველ ლიგაში განმტკიცებას გეგმავს. საშინაო მატჩებს სტუ თემქაზე, "შატილის" სტადიონზე ატარებს.

*"ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ამ გარემოში მუშაობა საკმაოდ საინტერესოა. მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებ. ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანების გარემოცვაში ვმუშაობ, რითაც ძალიან ბედნიერი ვარ"*, - მბობს ჟორჟოლიანი.



ბესიკ შეროზია



გოჩა ჟორჟოლიანი

## ტრადიციების საკადრისად

ფოთის "კოლხეთიდან" წასვლის შემდეგ **ბესიკ შეროზიას** გარკვეული სამწვრთნელო პაუზა ჰქონდა, მიმდინარე წლის გაზაფხულზე კი გამოცდილმა სპეციალისტმა ხობის "კოლხეთს" მიაშურა. გუნდს მისი ხელი აშკარად დაეტყო და თუკი წინა სეზონში "კოლხეთი" დიდად ვერ ბრწყინავდა, ამჟამად რიგიანად ასპარეზობს, პირველი ლიგის B ჯგუფში 19 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ ცხინვალის "სპარტაკს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

"კოლხეთი" ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება. მისი წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 300 ათასი ლარია, რაც ქართული საზომებითაც არ არის დიდი თანხა, თუმცა კლუბის მინიმალურ საჭიროებებს, მათ შორის პერსონალისა და ფეხბურთელების ხელფასებსაც ჰყოფნის. "კოლხეთში" პრემიალურების სისტემაც მოქმედებს. ადგილობრივები იმედოვნებენ, რომ კლუბის დაფინანსებაში თავის წვლილს რომელიმე კერძო ინვესტორიც შეიტანს.

*"ვცდილობთ, ამბიციური გუნდის შენება გავაგრძელოთ. ხობს მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები აქვს და არ ეკადრებოდა ის ჩავარდნა, რაც ბოლო წლებში ჰქონდა. იმის მიუხედავად, რომ პირველ ლიგაში კარგი სტარტი ავიღეთ, უმაღლეს ლიგაზე საუბარი ჯერ მაინც ნაადრევია, თუმცა ნებისმიერ მეტოქეს დიდ ბრძოლას ვპირდებით და ყველა მატჩში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ"*, - აცხადებს ბესიკ შეროზია.

"კოლხეთის" ფეხბურთელთა დაახლოებით 70 პროცენტი ხობელია. გუნდის ღირსებას ასევე იცავენ მოთამაშეები სამეგრელოს სხვა რეგიონებიდან, ერთი ფეხბურთელი კი თბილისელია. "კოლხეთს" უმაღლეს ლიგაში გამოცდილებამიღებული არაერთი წევრიც ჰყავს – **ციცხვაია, ჭკადუა, ქირია, ჭითანავა, ჯიქიძე...** თუმცა მათთან ერთად, გუნდის წარმატებაში თავისი წვლილი შედარებით ახალგაზრდებსა და გამოუცდელებსაც შეაქვთ. გუნდის ფეხბურთელთა საშუალო ასაკი 23-24 წელია.

ხობის ცენტრალურ სტადიონზე "კოლხეთის" საშინაო მატჩებს საშუალოდ 700-800 მაყურებელი ესწრება, რაც მომცრო რაიონისთვის ურიგო შედეგი არ არის. გუნდს სავარჯიშო მოედანი ცალკე აქვს.

"კოლხეთს" ჰყავს დუბლშემადგენლობა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში ასპარეზობს, აგრეთვე მუშაობს ჭაბუკთა და ბავშვთა ჯგუფები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### A ჯგუფი

**სტუ – დინამო-2 1:7**

19. 10. თბილისი. „შატილი". 150 მაყურებელი

0:1 ლ. პარუნაშვილი (23), 1:1 გ. გოგატიშვილი (24), 1:2 ვ. მათიაშვილი (40), 1:3 ჭ. ჭეჭელაშვილი (44), 1:4 კ. გაბაშვილი (53), 1:5 ბ. რუხაძე (58), 1:6 ზ. ჭავჭავაძე (75, საკუთარ კარში), 1:7 ბ. ზივზივაძე (89)

სტუ: ა. აბულაძე, ნ. ბიწკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, ლ. ციკოლია, ო. გაგნიძე (65. ა. კიკვაძე), შ. გვაზავა (46. ა. გოდუაძე), ა. ბაგაშვილი. ჯ. კოლუა, გ. გოგატიშვილი (63. დ. კოხრეიძე), ი. ფიფია

*სათადარიგოები: დ. ყაველაშვილი, გ. ელბაქიძე, კ. კახაბრიშვილი*

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

დინამო-2: ლ. ტყეშელაშვილი, ლ. საბაძე, თ. კაკულია (65. კ. ხიზანეიშვილი), ს. გურეშიძე, გ. გაგნიძე, ლ. პარუნაშვილი, ჭ. ჭეჭელაშვილი (58. ა. სარიშვილი), გ. პაპავა, ბ. რუხაძე, კ. გაბაშვილი (68. ბ. ზივზივაძე), ვ. მათიაშვილი.

სათადარიგოები: ა. მანაგაძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ნიკვაშვილი, ტ. ხაინდრავა

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაფრთხილება: დ. ქიმერიძე, ა. ბაგაშვილი, გ. გოგატიშვილი, ს. გურეშიძე

არბიტრი: ბ. ნინუა

**გაგრა – სულორი 3:2**

18.10. თბილისი. მერანი. 200 მაყურებელი

0:1 ნოდ. გიორგაძე (9, პენალტით), 1:1 ა. ივანიშვილი (51), 2:1, 3:1 თ. ჟიშკარიანი (58, 62), 3:2 ნიკა გიორგაძე 86)

გაგრა: ა. ადამია, ი. ხუციძე, გ. პაჭკორია (65. რ. რადინა), ლ. კალანდაძე, გ. ალავიძე, გ. ფალავანდიშვილი. ნ. ჭკუასელი (24. დ. ვოლკოვი) თ. ჟიშკარიანი, გ. ერისთავი, ი. ლერკენაშვილი, ვ. გაბისკირია

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

სულორი: მ. ლვინიანიძე, ლ. გაბუნია, გ. ბრეგვაძე (78. გ. გიგაშვილი), დ. ივანიაძე, თ. სანიკიძე, ნოდარ გიორგაძე (76. ნიკა გიორგაძე), თ. მალლაკელიძე, გ. ნიკოლეიშვილი, შ. ბაბუნაშვილი (71. მ. დვალიშვილი), ბ. ბელექანია, ბ. სულაბერიძე

*სათადარიგოები: დ. ოდიშარია, გ. ბალდავაძე, გ. თევზაძე, თ. მატარაძე*

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

გაფრთხილება: გ. პაჭკორია, ი. ხუციძე, თ. ჟიშკარიანი, ლ. კალანდაძე; შ. ბაბუნაშვილი

არბიტრი: თ. ხუჭუა

**ბეთლემი-რაჭა 3:1**

18. 10. ქედა. ცენტრალური. 200 მაყურებელი

1:0 ვ. დარჩიძე (12, პენალტით), 2:0, 3:0 გ. კახიანი (47, 69), 3:1 ლ. ჯანგიძე (83)

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი, ლ. კალანდაძე (46. ი. ჩხაიძე), ნ. გოგუაძე, კ. ქაცარავა, გ. ხაჩიძე, ვ. კუნჭულია, გ. კაკაბაძე, ი. ნაჭყებია, ვ. დარჩიძე (84. მ. დავითაძე), გ. კახიანი, ი. ბარამიძე (46. დ. ჯალალანია)

*სათადარიგოები: გ. ქობალია, თ. თედორაძე, ზ. კეკელიძე, ზ. სეიდიდი*

რაჭა: ი. ხვედელიძე, მ. კორსანტია, გ. შარაბიძე, ლ. ნეფარიძე, ლ. ჯანგიძე, ი. ჭანკვეტაძე, ვ. ჭაბუკიანი, ლ. მიქაბერიძე (718 ლ. მეტონიძე), გ. მარგიანი, გ. მაისაშვილი, თ. კოხრეიძე (71. ლ. ქურციკიძე)

*სათადარიგო: ნ. ჯოხაძე*

მწვრთნელი: ე. ჩიტალაძე

გაფრთხილება: ნ. გოგუაძე, ი. ნაჭყებია; ი. ხვედელიძე, ი. ჭანკვეტაძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**სქური – გურია 1:1**

18. 10. ნალენჯიხა. „ს. კვარაცხელია". 200 მაყურებელი

1:0 გ. კვირკვია (10), 1:1 ა. გოგობერიშვილი (86)

სქური: ნ. ჯოლოგუა. ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, გ. შელია (64. რ. ჩიტაია), ზ. ლარიბაშვილი, თ. ფურთუხია (5. გ. კვირკვია; 88. ნ. არახამია), რ. ცობეხია, ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია.

*სათადარიგოები: ტ. ხარჩილავა, ნ. ლვინჯილია, ლ. მორგოშია, გ. ძაძამია*

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

გურია: გ. ძაძამია, ა. ლალაძე, ა. ჩუენსუ, გ. მაჩაიძე (68. ჯ. გოგიბერიძე), დ. მაისაშვილი, ა. გოგობერიშვილი, ტ. კუკულაძე (46. დ. რაფავა), ა. შენგელია (59. ლ. იაშვილი) გ. შეწირული, გ. თოდუა, გ. კვერენჩხილაძე

*სათადარიგოები: ლ. ახალაია, რ. კუკულაძე, მ. გოგუაძე გ. ჭეიშვილი*

მწვრთნელი: თ. ლორია

გაფრთხილება: გ. კვირკვია, ლ. ბოჯგუა, ზ. ლარიბაშვილი; გ. მაჩაიძე

არბიტრი: დ. სანოძე

**სასკო-ჭიათურა 3:0**

18. 10. თბილისი. „შატილი". 100 მაყურებელი

1:0 გ. ქვილითაია (17), 2:0 გ. ჯინიკაშვილი (76), 3:0 გ. ქვილითაია (81)

სასკო: ა. ნონოსი (84. თ. გაფრინდაშვილი), გ. პაპუნაშვილი, ჯ. იამანიძე, დ. ცქიტიშვილი (61. გ. ჯინიკაშვილი), გ. ახალაია (78. თ. ჩარგეიშვილი), შ. ფირუზაშვილი, თ. მოგელაძე, თ. ქორჩილავა, ი. ქავთარაძე ზ. ქარდავა, გ. ქვილითაია

*სათადარიგოები: ა. გომელაური, გ. სალია, დ. აბესაძე, ი. მღებრიშვილი*

მწვრთნელი: თ. კაცია

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, თ. ხარებავა, გ. მეცხოვრიშვილი, გ. ბრეგვაძე, ი. კილაძე, ლ. კუჭაშვილი, თ. ჯაჯანიძე (61. ბ. ჭუმბაძე), გ. სამყურაშვილი, იაგო დეისაძე, იაკობ დეისაძე, დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: ა. ბაბლიძე, დ. მოდებაძე, ნ. ბაირამოვი, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

გაფრთხილება: ზ. ქარდავა, ი. ქავთარაძე, თ. მოგელაძე; იაგო დეისაძე, ი. კილაძე, იაკობ დეისაძე

გაძევება: თ. ხარებავა, იაკობ დეისაძე

არბიტრი: ჯ. ხორავა

**მეშახტე – იმერეთი 1:0**

18. 10. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 100 მაყურებელი

1:0 ჯ. ავალიშვილი (85)

მეშახტე: ი. ორბელაძე, ი. გვეტაძე, გ. გვენეტაძე, ლ. შავგულიძე, ნ. უგრეხელიძე (76. თ. ჭელიძე), მ. კოპალიანი, გ. ჩხეტიანი, მ. მაკარაშვილი (88. თ. გოგიჩაძე), ი. მოისწრაფიშვილი, ბ. კოლუაშვილი, ჯ. ავალიშვილი

*სათადარიგოები: ბ. ჯიშიაშვილი, გ. ბერძენაძე*

მწვრთნელი: დ. რუხაძე

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. ხაბურძანია (34. მ. აშვეთია), დ. გოდერიძე, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი, გ. ხვიჩია (54. ზ. სადილიანი), დ. სულაბერიძე (46. ნ. ჩიხლაძე), გ. მანაგაძე

*სათადარიგოები: ა. ტყეშელაშვილი, დ. სვანაძე, თ. ვაშაკიძე, გ. ნიქაბაძე*

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: გ. გვენეტაძე, ი. მოისწრაფიშვილი, მ. კოპალიანი, ნ. ჩიხლაძე

არბიტრი: ი. კვირიკაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 9 | 7 | 1 | 1 | 22-6 | 22 |
| 2. სასკო | 9 | 7 | 0 | 2 | 26-10 | 21 |
| 3. გაგრა | 9 | 7 | 0 | 2 | 22-6 | 21 |
| 4. სტუ | 9 | 5 | 0 | 4 | 19-21 | 15 |
| 5. დინამო-2 | 8 | 4 | 2 | 2 | 35-15 | 14 |
| 6. იმერეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 7. სქური | 9 | 3 | 3 | 3 | 9-13 | 12 |
| 8. ქედა | 9 | 3 | 1 | 5 | 12-20 | 10 |
| 9. მეშახტე | 9 | 2 | 2 | 5 | 10-25 | 8 |
| 10. ჭიათურა | 9 | 2 | 1 | 6 | 10-19 | 7 |
| 11. სულორი | 9 | 2 | 1 | 6 | 7-20 | 7 |
| 12. რაჭა | 9 | 0 | 2 | 7 | 9-25 | 2 |

**მომდევნო ტური. 25 ოქტომბერი**

დინამო-2 – მეშახტე
იმერეთი – გაგრა
ჭიათურა – სულორი
გურია – ბეთლემი
რაჭა – სტუ
სასკო – სქური

### B ჯგუფი

**მერცხალი – კოლხეთი (ხ) 0:0**

19. 10. ოზურგეთი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

მერცხალი: გია გოგუა, თ. ჩხატარაშვილი, გ. ხამაშურიძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ვ. ტუტოიანი, ზ. ტულუში, ზ. ხურციძე, გ. კაშია (65. ი. ხეცურიანი), ს. ვ. ჩიგოგიძე, ვ. ჯაყელი (50. ლ. ათუაშვილი), ი. ბაჯელიძე (80. გ. გოგუა)

*სათადარიგოები: ლ. კალაჯიშვილი, გ. პაპკოვი*

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. ქირია (85. ბ. ბუკია) გ. გოგენია, დ. ჭითანავა, გ. ფარფალია, ვ. ფირცხალავა (84. თ. ღლონტი), ლ. მეფიშვილი, ი. გერგაია (65. გ. გოგენია), გ. ლომაია, ლ. ჯიქიძე, მ. ჭკადუა

*სათადარიგოები: პ. გაბრავა, მ. ძიძიგური, გ. ჭაავა, ლ. ქაშიბაძე*

მწვრთნელი: ბ. შეროზია

გაფრთხილება: ვ. ტუტოიანი; მ. ჭკადუა, ი. გერგაია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**ლიახვი-ზოოვეტი 2:1**

19. 10. გორი. „ქართლი". 100 მაყურებელი

1:0 გ. ნონიაშვილი (13), 1:0 გ. პატარქალიშვილი (37), 2:1 ლ. კომლაძე (75)

ლიახვი: ლ. ეზიეშვილი, გ. მინდორაშვილი, ლ. ქანთარია, მ. ჯიქია, ი. ჯველაური, გ. ლობჟანიძე, გ. თოლორდავა, ლ. კომლაძე, გ. ნონიაშვილი, ა. ტეტუნაშვილი, ზ. ჭადაშვილი (64. ლ. კოპალიანი).

*სათადარიგოები: ა. ბარნაბიშვილი, ა. ქელიხაშვილი, გ. ხუბიაშვილი, გ. კუხალაშვილი, ს. ძებისაშვილი*

მწვრთნელი: უ. ქანთარია

ზოოვეტი: ზ. გოგრიჭიანი, მ. მერეჩკო, ლ. ღონიაძე (23. გ. ტუხაშვილი), ი. ალასანია, გ. ჭრიველიძე, გ. პატარქალიშვილი, უ. მამულაშვილი (44. ბ. ყიფიანი), ი. ჯოჯიშვილი (18. ს. ჭიკაიძე), ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე, ზ. ტიელიძე

*სათადარიგოები: ა. კაპანაძე, ლ. ნამალაშვილი, ს. ლორთქიფანიძე, ლ. დათუნაშვილი*

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

გაფრთხილება: ლ. ქანთარია; ი. ალასანია, მ. მერეჩკო

არბიტრი: გ. ქუხილავა

**შუქურა – ადელი 2:0**

19. 10. ქობულეთი. „ჩელე-არენა". 200 მაყურებელი

1:0 გ. ჩელებაძე (12, პენალტით), 2:0 მ. კოპალიანი (90)

შუქურა: თ. კაკალაძე, მ. ფუტკარაძე (65. ი. ხუჭუა), ა. ბრაჭული, ლ. მახარაძე, დ. გაბელია, გ. ჩელებაძე, გ. ჩხიკვიშვილი, ლ. ჩაფიძე, ი. ტაკიძე, მ. კაკალაძე (72. გ. ზოიძე), მ. კოპალიანი

სათადარიგოები: ვ. ცენტერაძე, მ. ქათამაძე, მ. ბალაძე, ლ. ანანიძე, ა. გოგიტიძე

მწვრთნელი: ა. ბალაძე

ადელი: გ. შერვაშიძე, ი. ჰაადი, ნ. წულუკიძე, გ. ფალავანდიშვილი (82. დ. ლოლობერიძე), ა. ფარტენაძე, ნ. დავითაძე (82. ე. ერქომაიშვილი), თ. მჟავანაძე, თ. ხაბელაშვილი (66. ი. ლოლობერიძე), გ. სირაბიძე, გ. ქოქოლაძე, ლ. კოშაძე

სათადარიგოები: ზ. კონცელიძე, ვ. სიორდია, გ. თურმანიძე, დ. რუხაია

მწვრთნელი: ო. ნაგვერაძე

გაფრთხილება: ლ. ჩაფიძე, გ. გაბელია, მ. ფუტკარაძე; ი. ჰაადი, გ. სირაბიძე, ნ. წულუკიძე.

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**სამგურალი – სამტრედია 1:0**

20. 10. ქუთაისი. ტორპედოს საწვრთნელი ბაზა. 200 მაყურებელი

1:0 ვ. ფანცხავა (82)

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი. მ. ჩხარტიშვილი, ლ. კირკიტაძე, თ. კაპანაძე (9. ვ. ფანცხავა), ხ. უგრეხელიძე, ი. ხვადაგიანი, ზ. კუხალაშვილი (83. ო. ტორაძე), ლ. ნავერიანი, გ. თევდორაძე (57. ნ. ბაბუნიძე)

*სათადარიგოები: ზ. სალინაძე, ზ. ჩიხლაძე, გ. გორგოძე, დ. მემარნიშვილი*

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

სამტრედია: დ. კეკელიძე, ა. დვალიშვილი, ს. გოგია, დ. სამსეიშვილი, დ. ჩხიკვაძე, ბ. გედენიძე (76. გ. რუხაძე), მ. ჟვანია (85. გ. ბოხუა), ლ. ხაჭაპურიძე, გ. მელქაძე, შ. კერძევაძე, ზ. ხაჭიპერაძე

*სათადარიგოები: ა. თელია, ბ. ახობაძე, მ. როსტიაშვილი, ტ. რუხაია, ნ. ბანძავა*

მწვრთნელი: ლ. მეგენეიშვილი

გაფრთხილება: ბ. ხაჭიპერაძე; ლ. ხაჭაპურიძე

გაძევება: ს. გოგია

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**ლოკომოტივი – ჩხერიმელა 11:0**

19. 108 საგურამოს სპორტკომპლექსი. 150 მაყურებელი

1:0 დ. გუჯაბიძე (7), 2:0, 3:0, 4:0 დ. ჯიქია (9, 13, 15), 5:0 გ. გოროზია (17), 6:0 ლ. ზარანდია (54), 7:0 დ. ჯიქია (57), 8:0, 9:0 ლ. ზარანდია (60, 65), 10:0 ა. მზევაშვილი (68), 11:0 გ. ბაქრაძე (86)

ლოკომოტივი: დ. ლეგაშვილი, გ. გოროზია, გ. გაბაძე, ნ. ჭანტურია, გ. გურეშიძე, გ. მაკასარაშვილი, ა. გუგუშვილი (46. ლ. ზარანდია), მ. ცინცაძე, ე. სულთანიშვილი, დ. ჯიქია (63. ა. მზევაშვილი), დ. გუჯაბიძე (57. გ. ბაქრაძე)

*სათადარიგოები: ბ. საჯაია, დ. მიქავა, ჯ. ყანჩაშვილი, ლ. რეხვიაშვილი*

მწვრთნელი: გ. სანაია

ჩხერიმელა გივი კიკნაძე, ც. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, გ. მეტრეველი, თ. კიკნაძე, გ. ბ. თურმანიძე, გ. არევაძე (59. ლ. ლონლაძე), ნ. ბერაძე, შ. სვანიძე, გიორგი კიკნაძე, ო. გიორგობიანი.

სათადარიგოები: ა. ლაბაძე, გ. გ. თურმანიძე

მწვრთნელი: ლ. ჭყოიძე

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 8 | 7 | 0 | 1 | 21-3 | 21 |
| 2. კოლხეთი (ხ) | 8 | 6 | 1 | 1 | 11-7 | 19 |
| 3. ლოკომოტივი | 9 | 5 | 2 | 2 | 26-9 | 17 |
| 4. შუქურა | 9 | 5 | 1 | 3 | 14-7 | 16 |
| 5. სამგურალი | 8 | 4 | 2 | 2 | 14-10 | 14 |
| 6. სამტრედია | 8 | 4 | 1 | 3 | 9-7 | 13 |
| 7. ზოოვეტი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-13 | 8 |
| 8. ჩხერიმელა | 8 | 2 | 0 | 6 | 9-23 | 6 |
| 9. ლიახვი | 8 | 2 | 0 | 6 | 6-22 | 6 |
| 10. მერცხალი | 8 | 1 | 3 | 4 | 6-11 | 6 |
| 11. ადელი | 8 | 1 | 0 | 7 | 8-22 | 3 |

**მომდევნო ტური 26 ოქტომბერი**

ადელი – ლოკომოტივი
ჩხერიმელა – მერცხალი
სამგურალი – ლიახვი
სამტრედია – კოლხეთი (ხ)
ზოოვეტი – სპარტაკი

## მილანი


ადრიანო გალიანი

# გალიანი: ალეგრი არაფერ შუაშია

## ლაპორტა: გვარდიოლა მილანში წავა

იტალიურ საფეხბურთო სამყაროში დიდი ხანია ამბობენ, რომ თუ სერია A-ში ხუთ მარცხს იწვნევ, ჩემპიონი ველარ გახდები. სტატისტიკა ამაზე მიუთითებს და თანაც უკვე, ძალიან დიდი ხანია. ამ ლოგიკით, "მილანმა" უკვე დაკარგა სკუდეტოს მოპოვების შანსი და სხვა ნებისმიერი ლოგიკითაც იმავეს თქმა შეგვიძლია. მოკლედ, ჩემპიონატის დაწყებიდან მხოლოდ რვა ტურია გასული და ყველა ლოგიკით, "როსონერის" სკუდეტოს მოპოვების შანსი დაკარგული აქვს... ეს მართლაც გასაკვირი ამბავი იტალიურ საფეხბურთო სამყაროში ყველაზე აქტუალური თემაა და ბუნებრივია, რომ ჩვენც ხშირად გვიწევს ამაზე წერა... ჟურნალისტთა ნაწილი ამტკიცებს, რომ "მილანის" მესვეურები მზად არიან **მასიმილიანო ალეგრის** დაემშვიდობონ, თუ **პეპ გვარდიოლა** "როსონერის" გაწვრთნაზე თანხმობას განაცხადებს. "გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, ლომბარდიული გრანდის მესვეურები უკვე დაუკავშირდნენ ესპანელ სპეციალისტს და მისგან მოლაპარაკების დაწყებაზე თანხმობაც მიიღეს.

თუმცა, "მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ამ ცნობას არ ადასტურებს და ალეგრის მხარდაჭერას უცხადებს. თანაც, კატასტროფულ სტარტზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს:

*"ვიცოდი, რომ სეზონის სტარტზე პრობლემები შეგვექმნებოდა, მაგრამ ასეთი რამის წარმოდგენა მაინც შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, მწვრთნელის გათავისუფლების საკითხი არ დგას დღის წესრიგში, რადგან ამ ყველაფერში ის ნაკლებად არის დამნაშავე. ზაფხულში გუნდი მთლიანად გარდაისახა და მწვრთნელი რთული ამოცანის წინაშე დადგა... "მილანი" ახალ გზას დაადგა და ალეგრის დრო სჭირდება, რომ თავისი ხედვა ფეხბურთელებამდე მიიტანოს. ვაღიარებ, ფინანსური პრობლემების გამო, წამყვან ფეხბურთელებთან გამოთხოვებამ მოგვიწია, მაგრამ ეს უკვე წარსულია და მერწმუნეთ, "მილანი" აუცილებლად დაიბრუნებს ძველ დიდებას. ცუდ შედეგებზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ და აქვე ვდებ პირობას, რომ ვითარება მალე გამოსწორდება".*

### თუმცა...

იტალიელი ჟურნალისტები მაინც დაჟინებით ამტკიცებენ, რომ "მილანის" მესვეურები პეპ გვარდიოლასთან აქტიურ მოლაპარაკებებში არიან ჩაბმულნი. "გაძეტას" ვერსიით, თუ ესპანელი "მილანის" გაწვრთნაზე თანხმობას განაცხადებს, **სილვიო ბერლუსკონი** უმალ გაათავისუფლებს ალეგრის და გუნდს გვარდიოლას ჩააბარებს. მართალია, "როსონერის" მესვეურები წარუმატებლობებში სენიორ მასიმილიანოს არ ადანაშაულებენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკეთესი ვარიანტის შემთხვევაში, ალეგრის პოსტის დატოვება არ მოუწევს. ვისი ბრალიც არ უნდა იყოს "როსონერის" კრიზისი, ფაქტია, რომ ალეგრის ხელში გუნდს შედეგი არ აქვს და რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. სხვათა შორის, გვარდიოლას "მილანის" მთავარ მწვრთნელად შესაძლო დანიშვნის შესახებ კომენტარი **ჟოან ლაპორტამ** გააკეთა და ბოლოს, სწორედ მას უნდა გადავცეთ სიტყვა. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ლაპორტა "ბარსელონას" ყოფილი პრეზიდენტია, რომელმაც კატალონიურ გუნდში წარმატებული რეფორმა გაატარა და პეპიც სწორედ მან დანიშნა მთავარი მწვრთნელის პოსტზე:

*"გვარდიოლა ჩემი ახლო მეგობარია და მასთან ხშირად მიწევს ურთიერთობა. ბოლო საუბრიდან ისეთი დასკვნა გამოვიტანე, რომ მობეზრდა უფეხბურთობა და მზადაა ახალი წინადადებები განიხილოს. ვიცი, რომ მისით მიუნხენის "ბაიერნია" დაინტერესებული, მაგრამ ჩემი პირადი აზრით, მისთვის ყველაზე საინტერესო ვარიანტი "მილანია". ეს გუნდი კრიზისშია, პეპს კი გამოწვევები ძალიან იზიდავს. ამასთან, გვარდიოლას ყოველთვის მოსწონდა იტალია, იქ ხშირად დადიოდა და სამწვრთნელო სემინარებს ესწრებოდა. ცნობილია ისიც, რომ სწორედ "ბრეშაში" ასპარეზობის დროს გადაწყვიტა მწვრთნელობის დაწყება. ვგონებ, დიდია შანსი, გვარდიოლა სწორედ "როსონერის" ჩაუდგეს სათავეში. მეტიც, პრაქტიკულად დარწმუნებული ვარ, რომ პეპი "მილანში" წავა".*

**ლაშა ნიკლაური**

## ლაციო

# ლოტიტომ პეტკოვიჩი ადიდა

## ლაციოს სკუდეტოსთვის ბრძოლა შეუძლია

"მილანზე" გამარჯვებით გაგულისებულმა **კლაუდიო ლოტიტომ** მთავარი მწვრთნელი შეაქო და განაცხადა, რომ "ლაციოს" ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეუძლია. რომაული კლუბის პრეზიდენტი კმაყოფილია სეზონის სტარტზე ნაჩვენები შედეგით და მიიჩნევს, რომ მის გუნდს აქვს რესურსი სულაც სკუდეტოსთვის იბრძოლოს:

*"სიმართლე გითხრათ, "მილანთან" მატჩის წინ ცუდი წინათგრძნობა მქონდა და ამას აქვს თავისი მიზეზები. საერთოდ, "როსონერისთან" ყოველთვის გვიჭირდა თამაში და ძირითადად ვმარცხდებოდით... საბედნიეროდ, ამჯერად ყველაფერი კარგად დასრულდა და საკმაოდ ძლიერი მეტოქე სრულიად დამსახურებულად დავამარცხეთ. ამ ყველაფერში ვლადიმირ პეტკოვიჩის დამსახურება განუზომელია და მინდა მას გარჯა შევუქო. როდესაც ედი რეიამ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარი განაცხადა, ახალი მწვრთნელის ძიება დავიწყეთ და სწორედ მაშინ*


კლაუდიო ლოტიტო

*გამოჩნდა პეტკოვიჩის ვარიანტი. სიმართლე გითხრათ, მისი კანდიდატურა ფავორიტთა შორის არ იყო და თავიდან, შეხვედრაზე მისვლასაც კი არ ვაპირებდი. იგლი ტარემ დამარწმუნა, რომ ღირდა ვლადიმირთან შეხვედრა და საბედნიეროდ, მეც გამოვნახე დრო. პეტკოვიჩმა გამაოცა თავისი განათლებით, სწორი საფეხბურთო ხედვით და თავდაჯერებულობით. სწორედ მაშინ მივხვდი, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში "ლაციოს" სწორედ მისნაირი მწვრთნელი სჭირდებოდა. არჩევანით ძალიან კმაყოფილი ვარ და ვფიქრობ, რომ პეტკოვიჩის "ლაციოს" სკუდეტოსთვის ბრძოლა შეუძლია".*

**ლაშა ნიკლაური**

## ატალანტი


პოლ პოგბა

# ჯერ სად ხართ!

## პოგბა კიდევ ბევრჯერ გაგვაოცებს

"იუვენტუსი"-"ნაპოლის" შეხვედრაში 19 წლის ნახევარმცველმა **პოლ პოგბამ** გაიბრწყინა, რომელიც ტურინულ გრანდში გასულ ზაფხულს "მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადავიდა. ახალგაზრდა ფრანგმა მხოლოდ 15 წუთი დაჰყო მოედანზე, მაგრამ ამ მცირე მონაკვეთში გულშემატკივრებს არაერთხელ გამოსტყუა ტაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ულამაზესი გოლი გაიტანა და ტიფოზები ალაფრთოვანა. პოლმა საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაარტყა და ნეაპოლელთა კიპერი უშანსოდ დატოვა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პოგბას თამაშის დამახასიათებელი მანერა აქვს, მიუხედავად სიმაღლისა (189 სმ), ძალიან ტექნიკურია და საოცარი ფინტების კეთება ეხერხება. ნეაპოლელთა შუა ხაზში მყისვე შეიტანა არეულობა, რამაც სტუმრები საბოლოოდ გატეხა და ტურინულმა გრანდმაც სამი ქულა უპრობლემოდ მოიპოვა. თინეიჯერი შუახაზელის ასეთი ბრწყინვალე ასპარეზობა ბევრისთვის მოულოდნელი გამოდგა, მაგრამ არა მისი პირადი აგენტის **მინო რაიოლასთვის**:

*"პოლს საოცარი ტალანტი აქვს და რაც მთავარია, არც შრომისუნარიანობა აკლია. პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს და სურს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს. რაღაცით ზლატან იბრაჰიმოვიჩს მაგონებს, როგორც თამაშის მანერით, ისე ხასიათით. როდესაც მოედანზეა, მარგი ქმედების კოეფიციენტი ყოველთვის მაღალი აქვს და არც შოუს ელემენტებს აკლებს. ასე რომ, სულაც არ მიკვირს "ნაპოლისთან" მისი ასეთი გარჯა. პოლს სათამაშო დრო სჭირდება, რომ გაიზარდოს და კიდევ უფრო დაიხვეწოს. ტურინში მას ენდვნენ და ამას ყველაზე მეტად აფასებს. სურს, "იუვენტუსში" რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს და ამ გუნდის წარმატებებში თავისი წვლილი შეიტანოს. ჯერ სად ხართ, პოგბა კიდევ ბევრჯერ გააოცებს მსოფლიოს, თუმცა არა მე, რადგან მისი შესაძლებლობები დიდი ხანია კარგად ვიცი".*

**ლაშა ნიკლაური**

## ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური


ნორდსიელანდი-იუვენტუსი 1:1

### E ჯგუფი

**შახტარი-ჩელსი 2:1**

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, კუჩერი, რაკიცკი, რაცი - ჰიუბშმანი, ფერნანდინიო – ტეიშეირა (82. ილსინიო), მხითარიანი, ვილიანი (88. დუგლას კოშტა) - ლუის ადრიანო.

**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, დავიდ ლუიზი, ე. კოული - ობი მიკელი, ლემპარდი (18. აზარი) - რამირესი, ოსკარი, მატა – ტორესი (70. სტარიჯი).

**გოლები:** 1:0 ტეიშეირა (3), 2:0 ფერნანდინიო (52), 2:1 ოსკარი (88).

**გაფრთხილება:** კუჩერი, ჰუბშმანი – ე. კოული, დავიდ ლუისი.

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 18-13 (11-9); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 50 000

**ნორდსიელანდი-იუვენტუსი 1:1**

**ნორდსიელანდი (4-2-3-1):** ჰანსენი - პარხურსტი, ოკორე, რუნიე, მტილიგა - სტოკჰოლმი, ადუ – ლორენტცენი (88. კრისტიანსენი), ლაუდრუპი (70. კრისტენსენი), იონი – ბექმანი (67. ნორსტრანდი).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ლუსიო (76. ბენდტნერი), ბონუჩი, კიელინი - ისლა, მარკიზიო, პირლო, ვიდალი (83. ჯაკერინი), დე ჩელიე - ჯოვინკო, მატრი (70. ვუჩინიჩი).

**გოლები:** 1:0 ბექმანი (50), 1:1 ვუჩინიჩი (81).

**გაფრთხილება:** მტილიგა, რუნიე – კიელინი, მარკიზიო.

**კუთხური:** 5-18; **ჯარიმა:** 10-10; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 7-23 (5-9); **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 2. ჩელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 7-4 | 4 |
| 3. იუვენტუსი | 3 | 0 | 3 | 0 | 4-4 | 3 |
| 4. ნორდსიელანდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |

### F ჯგუფი

**ლილი-ბაიერნი 0:1**

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - ბერია, სიდიბე, შედიუ, დინიე - ბალმონტი, პედრეტი (90. როზენალი), მარტინი – კალუ (56. პაიეტი), რუ (77. მენდესი), დე მელო.

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ბადშტუბერი - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი (84. ალაბა), კროოსი (81. ლუის გუსტავო), რიბერი (46. შაქირი) - მანჯუკიჩი.

**გოლი:** 0:1 მიულერი (20-პენ)

**გაფრთხილება:** სიდიბე, დინიე, პედრეტი – ბოატენგი, შვაინშტაიგერი, ხავი მარტინესი, მანჯუკიჩი, შაქირი.

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 6-7(0-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 30 000

**ბატე-ვალენსია 0:3**

**ბატე (4-3-2-1):** გორბუნოვი - პოლიაკოვი, ფილიპენკო, შიმიჩი, ბორდაჩევი - ოლეხნოვიჩი, ლიხტაროვიჩი (53. სივაკოვი), ვოლოდკო (75. ბრესანი) – პავლოვი (66. მოზოლევსკი), ჰლები - როდიონოვი.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში – ჟოაო პერეირა, რამი, რიკარდო კოშტა, სისოკო - გაგო, ალბელდა (72. ბანეგა) – ფეგული (82. ბარაგანი), ტინო კოსტა, გუარდადო – სოლდადო (77. ჟონასი).

**გოლები:** 0:1 სოლდადო (45-პენ.), 0:2 სოლდადო (55), 0:3 სოლდადო (69).

**გაფრთხილება:** შიმიჩი, პავლოვი – ალბელდა, სოლდადო.

**კუთხური:** 1-4; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 7-15(4-9); **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 29 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| 2. ბატე | 3 | 2 | 0 | 1 | 6-5 | 6 |
| 3. ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 4. ლილი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

### G ჯგუფი

**სპარტაკი-ბენფიკა 2:1**

**სპარტაკი (4-2-3-1):** რებროვი - მაკეევი, პარეხა, სუხი, დ. კომბაროვი - რაფაელ კარიოკა, კალსტრიომი (ბრიზგალოვი 79) - ხურადო, ანანიძე (კ. კომბაროვი 57), ბილიალეტდინოვი (ველინტონი 73) - არი.

**ბენფიკა (4-3-2-1):** არტურ მორაეში – მაქსი პერეირა, გარაი, ჟარდელი, მელგარეჟო – ე. პერესი, მატიჩი (ო. ჯონი 89), ბრუნო სეზარი (გაიტანი 65) – სალვიო, ლიმა – როდრიგო (ო. კარდოსო 65).

**გოლები:** 1:0 რაფაელ კარიოკა (3), 1:1 ლიმა (33), 2:1 ჟარდელი (43-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** სუხი, ველინტონი, არი – ო. კარდოსო, მატიჩი.

**კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 14 (8) – 14 (6); **ბურთის ფლობა:** 61-39;

**მაყურებელი:** 30 000

**ბარსელონა-სელტიკი 2:1**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი – ადრიანო, ბარტრა, მასკერანო, ალბა – სონგი, ჩავი, ინიესტა – ა. სანჩესი (ვილია 80), პედრო (ტელიო 76), მესი.

**სელტიკი (4-4-1-1):** ფორსტერი – ლუსტიგი, უილსონი, ემბროუზი, ისაგირე – ბრაუნი (კომონსი 63), ვანიამა, ლედლი, მალგრიუ (ქაიალი 76) – სამარასი (ფორესტი 43) – ჰუპერი.

**გოლები:** 0:1 სამარასი (18), 1:1 ინიესტა (45), 2:1 ალბა (90).

**გაფრთხილება:** მასკერანო, ადრიანო – ფორესტი.

**კუთხური:** 15-1; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 26 (13) – 4 (2); **ბურთის ფლობა:** 73-27;

**მაყურებელი:** 77 781

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| 2. სელტიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 3. სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-7 | 3 |
| 4. ბენფიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

### H ჯგუფი

**გალათასარაი-კლუჟი 1:1**

**გალათასარაი (4-4-2):** მუსლერა – ებუე (საბრი სარიოღლუ 68), ნუნკუ, ქაია, რიერა – ჰამით ალთინთოფი (ბ. ილმაზი 39), სელჯუქ ინანი, ფელიპე მელო, ამრაბატი – უმუთ ბულუთი, ელმანდერი (ემრე ჩოლაქი 42).

**კლუჟი (4-4-2):** მარიო ფელგეირაში – სეპსი (რადა 53), კადუ, პიკოლო, ივო პინტუ – ლუის ალბერტო, აგირეგარაი, გოდემეში, კამორა – რაფაელ ბასტოსი (ნიკორა 72), კაპეტანოსი (მურეშანი 78).

**გოლები:** 0:1 ნუნკუ (19-საკ. კარში), 1:1 ბ. ილმაზი (77).

**გაფრთხილება:** უმუთ ბულუთი, ამრაბატი, ფელიპე მელო, საბრი სარიოღლუ – აგირეგარაი, ღაფაელ ბასტოსი.

**გაძევება:** აგირეგარაი (28)

**გამოუყენებელი პენალტი:** ფელიპე მელო (35).

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 16 (7) – 3 (1); **ბურთის ფლობა:** 60-40.

**მაყურებელი:** 39 013

**მანჩესტერ იუნაიტედი-ბრაგა 3:2**

**იუნაიტედი (4-3-3):** დე ხეა - რაფაელი, კერიკი, ევანსი, ბიუტნერი – ფლეტჩერი, კლევერლი, კაგავა (ნანი 46) – რუნი, ერნანდესი (გიგზი 79), ვან პერსი.

**ბრაგა (4-4-1-1):** ბეტუ – ლეანდრო სალინო, ნუნო კოელიო, პაულო ვინისიუსი, ეჩიეჯილე – კუშტოდიო, უგო ვიანა, რუბენ ამორიმი (ელდერ ბარბოსა 80), რუბენ მიკაელი (ზე ლუისი 88) – ალანი (მარსიო მოსორო 86) – ედერი.

**გოლები:** 0:1 ალანი (2), 0:2 ალანი (20), 1:2 ერნანდესი (25), 2:2 ევანსი (62), 3:2 ერნანდესი (75).

**გაფრთხილება:** - პაულო ვინისიუსი, ეჩიეჯილე.

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 10-10; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 12 (9) – 9 (4); **ბურთის ფლობა:** 54-46.

**მაყურებელი:** 73 195

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-3 | 9 |
| 2. კლუჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 3. ბრაგა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 4. გალათასარაი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ოთხშაბათის მატჩების წინ

# მთავარი ჯახი დორტმუნდშია

## მოურინიო: ბორუსია ძალიან კარგი გუნდია, სიფრთხილე გვმართებს!

ოთხშაბათის ტოპ-მატჩი უდავოდ დორტმუნდში დაგეგმილი შეხვედრაა, სადაც გერმანიის ჩემპიონი „ბორუსია" ესპანეთის ჩემპიონ „რეალს" მასპინძლობს. „მილანი" „მალაგასთან" გასვლითი მატჩის წინ უმძიმესი ნნეხის ქვეშაა, „მანჩესტერ სიტის" კი ამსტერდამში წაგების უფლება არ აქვს.



ჟოზე მოურინიო

### A ჯგუფი

**პორტუ–დინამო (კ) 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პორტუ (4-1-2-3):** ელტონი - დანილო, ორამენდი, მაიკონი, მიგელ ლოპესი - დეფური - ლუჩო, მოუტინიო - ვარელა, მარტინესი, ჯეიმსი.

**დინამო /კ/ (4-2-3-1):** კოვალი - დანილო, მიხალიკი, ხაჩერიდი, ტაიო - ჰარმაში, მიგელ ველოზო - იარმოლენკო, კრანჩარი, გუსევი - იდეიე.

**არბიტრი:** პაველ კრალოვეცი (ჩეხეთი)

**დინამო (ზ)–პსჟ 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დინამო /ზ/ (4-1-4-1):** კელავა - ვიდა, ტონელი, შიმუნიჩი, პივარიჩი - ადემი - რუკავინა, სამირი, კოვაჩიჩი, კოპი - ბეჩირაი.

**პსჟ (4-3-2-1):** სირიგუ - ჟალე, ალექსი, სახო, მაქსველი - ბოდმერი, მატუიდი, სისოკო - პასტორე, მენეზი - იბრაჰიმოვიჩი.

**არბიტრი:** ფირატ აიდინუსი (თურქეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 2. პსჟ | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| 3. დინამო (კ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 4. დინამო (ზ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

### B ჯგუფი

**არსენალი–შალკე 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი (4-3-3):** მანონე - ჯენკინსონი, მერტეზაკერი, ვერმაელენი, ანდრე სანტოსი - არტეტა, რემსი, კასორლა - ჟერვინიო, ჟირუ, პოდოლსკი.

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი - უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი - ნოიშტედტერი, ჰიოგერი - ფარფანი, ჰოლტბი, აფელაი - ჰუნტელაარი.

**არბიტრი:** იონას ერიკსონი (შვედეთი)

**მონპელიე–ოლიმპიაკოსი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მონპელიე (4-2-3-1):** პიონირი - ჟონეშამპი, კონგრე, ჰილტონი, ბედიმო - საი, სტამბული - კამარა, ბელჰანდა, კაბელა - ვრერა.

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** კეროლი - ტოროსიდისი, მანოლასი, კონტრერასი, ჰოლებასი - მანიატისი, მოდესტო - აბდუნი, ფუსტერი, მიტროლლუ - ჯებური.

**არბიტრი:** დანიელე ორსატო (იტალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. შალკე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. მონპელიე | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 4. ოლიმპიაკოსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |

### C ჯგუფი

**ზენიტი–ანდერლეხტი 20:00**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ზენიტი (4-3-3):** მალაფეევი - ანიუკოვი, ჰუბოკანი, კომბეროსი, კრიშიტო - ფაიზულინი, ვიტსელი, შიროკოვი - ბისტროვი, კერჟაკოვი, ჰალკი.

**ანდერლეხტი (4-4-2):** პროტო - ჟილე, კუიტაკე, ნუიტინკი, დეშახტი - იაკოვენკო, კანუ, ბილია, იოვანოვიჩი - პრაე, დე სუტერი.

**არბიტრი:** ივან ბებეკი (ხორვატია)

**მალაგა–მილანი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მალაგა (4-1-4-1):** კაბალიერო - გამესი, ველიგტონი, დემიკელისი, მონრეალი - კამაჩო - ხოაკინი, ისკო, პორტილიო, ელისეუ - სავიოლა.

**მილანი (4-1-3-2):** ამელია - დე შილიო, ბონერა, საპატა, ანტონინი - ამბროზინი - ემანუელსონი, მონტოლივო, კ.-პ. ბოატენგი - პაცინი, ელ შაარავი.

**არბიტრი:** პედრო პროენშა (პორტუგალია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| 2. მილანი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. ანდერლეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 4. ზენიტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

### D ჯგუფი

**ბორუსია (დ)–რეალი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, გროსკროიტცი - ს. ბენდერი, კელი - გიოტცე, პერიშიჩი, როისი - ლევანდოვსკი.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - სერხიო რამოსი, ვარანე, პეპე, ესიენი - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია, იოზილი, რონალდო - იგუაინი.

**არბიტრი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

**აიაქსი–მანჩესტერ სიტი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**აიაქსი (4-2-3-1):** ვერმეერი - ვან რინი, ალდერვეირელდი, მოისანდერი, ბლინდი - პოულსენი, ერიკსენი - სანა, დე იონგი, ბურიგტერი - ბაბელი.

**მანჩესტერ სიტი (4-4-2):** ჰარტი - რიჩარდსი, კომპანი, ლესკოტი, კლიში - მილნერი, იაია ტურე, ბერი, ნასრი - ჯეკო, აგუერო.

**არბიტრი:** სვეინ ოდვარ მოენი (ნორვეგია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-3 | 6 |
| 2. ბორუსია (დ) | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. მანჩესტერ სიტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 4. აიაქსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

### A ჯგუფი:

### პსჟ ზაგრებში საკადრო პრობლემებით ჩადის

„პორტუმ" ორივე თამაში მოიგო, არც ერთი გოლი არ მიუღია და თუ დღეს საკუთარ მოედანზე კიევის „დინამოსაც" დაამარცხებს, ეს მერვედფინალისკენ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება. ალსანიშნავია, რომ გასულ უქმეებზე პორტუგალიური გრანდის თავკაცმა **ვიტორ პერეირამ** სათასო მატჩში თითქმის ყველა ვარსკვლავი დაასვენა. მართალია, ამ ექსპერიმენტის გამო პერეირა კინალამ დაისაჯა, რადგან გაცილებით სუსტი მეტოქე „სანტა ეულალია" მხოლოდ 1:0 დაამარცხა, მაგრამ მთავარი ხომ შედეგია. სამაგიეროდ, კიეველებთან დღევანდელ შეხვედრაში „პორტუ" დასვენებული პირველი შემადგენლობით ითამაშებს და ფავორიტადაც მიიჩნევა.

„დინამოს" „რეპეტიცია" ჩაუვარდა: **ოლეგ ბლოხინის** შეგირდები ხარკოვის „მეტალისტთან" 1:3 დამარცხდნენ. თუმცა უკრაინელებს ჩრდილოპორტუგალიელებთან კარგი მოგონებები აკავშირებთ - ოთხი წლის წინ „დრაგაოზე" ხომ 1:0 მოიგეს. მაშინდელი „დინამოდან" დღეს კიეველთა განაცხადში მეკარე **შოვკოვსკი**, ასევე **მიხალიკი** და **ვუკოევიჩი** არიან.

ჯგუფის მეორე მატჩი ზაგრების „დინამოსა" და პარი სენ-ჟერმენის დუელია. ხორვატებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე შეხვედრა დათმეს და უკვე ზედმეტია თუნდაც იმაზე ლაპარაკი, რომ „დინამოს" მერვედფინალში გასვლის თეორიული შანსი აქვს. თანაც, ხორვატიის ჩემპიონს ერთ-ერთი ლიდერი და წამყვანი ნახევარმცველი **ადემი** (ტრავმა) აკლია. პარიზელთა თავკაც **კარლო ანჩელოტის** უფრო სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს, მაგრამ ისეთი შემადგენლობა ჰყავს, რომ წესით, ზაგრებიდან მაინც სამი ქულა უნდა წაიღოს. ანჩელოტის **ნენე, შანტომი, ტიაგო მოტა** და **ლავეცი** აკლია. სამაგიეროდ, ლაზარეთიდან **ბოდმერი** ბრუნდება.

### B ჯგუფი:

### ლუის ჰოლტბი ყურადღების ცენტრში

რურის დიდი დერბის მოგების შემდეგ „შალკე" ლონდონის „არსენალს" სტუმრობს და ეს მატჩი განსაკუთრებულია გელზენკირხენელთა ინგლისური წარმოშობის მქონე ფეხბურთელ **ლუის ჰოლტბისთვის**, რომელიც გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების კაპიტანია და იძულებული გახდა, ნათესავებისთვის ამ შეხვედრის 20 ბილეთი ეშოვნა.

რაკი დორტმუნდში მოიგეს, შალკელები ლონდონში თავანეულები ჩავიდნენ. მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** კარში კვლავ ახალგაზრდა **ლარს უნერშტალს** ჩააყენებს, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან კარგად თამაშობს და გამოცდილი **ტიმო ჰილდებრანდი** სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდო. საინტერესოა, ვის გაამწესებს ჰოლანდიელი სპეციალისტი ერთ-ერთ საყრდენად - გამოცდილ **ჯერმეინ ჯონსს** თუ ახალგაზრდა **მარკო ჰიოგერს**, რომელმაც რურის დერბიში ძალიან კარგად ითამაშა.

„შალკესგან" განსხვავებით, „არსენალმა" გასულ უქმეებზე კალენდარული მატჩი წააგო - „ნორვიჩთან" (0:1) ლონდონელებმა ძალიან ცუდად ითამაშეს, ნამატჩევს კი განსაკუთრებული კრიტიკა „მეთოფეთა" გერმანელმა ფეხბურთელებმა, **პერ მერტეზაკერმა** და **ლუკას პოდოლსკიმ** დაიმსახურეს. **არსენ ვენგერმა** ამ მარცხს შოკი უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ მისი შეგირდები „შალკესთან" გაცილებით ფხიზლად იქნებიან. ვენგერს **ოქსლეიდ-ჩემბერლეინი** დაუშავდა, რომელიც დღეს ვერ იასპარეზებს.

მეორე შეხვედრაში „მონპელიე" „ოლიმპიაკოსს" მასპინძლობს და ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის მერვედფინალში მოსახვედრად გაბრძოლების ერთ-ერთი უკანასკნელი შანსია. გელზენკირხენში მოპოვებული ქულით (2:2) „მონპელიემ" ჩემპიონთა ლიგაში პირველი ქულა აიღო, თუმცა ფრანგულ კლუბს იმ შეხვედრაში **გარი ბოკალი** გაუძევეს, რომელიც დღეს დისკვალიფიცირებულია. მწვრთნელი **რენე ჟირარიც** ტრიბუნაზე დაჯდება, რადგან იმ მატჩში ხელები და განსაკუთრებით თითები უშნოდ ატრიალა. „ოლიმპიაკოსი" უშანსოდ ნამდვილად არაა - მართალია, ბერძნებმა ორივე მატჩი დათმეს, მაგრამ, სამაგიეროდ, საბერძნეთის ჩემპიონატში შვიდივე თამაში მოგებული აქვთ.

### C ჯგუფი:

### თუ ალეგრი ამ თამაშსაც წააგებს...

ისევე, როგორც გუშინ, ჩემპიონთა ლიგა დღესაც საღამოს 8 საათზე დაიწყება, რადგან რუსული კლუბი საკუთარ მოედანზე თამაშობს: „ზენიტი" „ანდერლეხტს" მასპინძლობს და ისევე, როგორც B ჯგუფში, მეოთხე და მესამეადგილოსნების დაპირისპირება აქაც ორივე გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი და მიმართულების მიმცემია. ფავორიტი, გასაგები მიზეზების გამო, „ზენიტია" და თუ **ლუჩანო სპალეტის** გუნდს მართლაც სურს მერვედფინალში გასვლა, ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა მოიგოს. სტატისტიკაც „ზენიტის" მხარესაა: 2010/2011 წლების სეზონში პეტერბურგელებმა ბელგიელებს ორივე თამაში მოუგეს. რაც შეეხება „ანდერლეხტს": მართალია, ბელგიელებს ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანიათ, მაგრამ მილანში 0:0-ს მიაღწიეს, რაც „ანდერლეხტისთვის" ყურადსაღები წარმატებაა. თუმცა ბელგიურ კლუბს დღეს ტრავმის გამო მთავარი დამრტყმელი ძალა, **მბოკანი** დააკლდება.

გაცილებით საინტერესო უნდა გამოვიდეს „მალაგასა" და „მილანის" დაპირისპირება, რომელშიც ერთმანეთს ამ სეზონის გუნდი-აღმოჩენა (მალაგა) და გუნდი-იმედგაცრუება (მილანი) ხვდებიან. თუ „მალაგა" მესამე თამაშსაც მოიგებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მერვედფინალში ითამაშებს, თუმცა მოგება ძალიან სჭირდება „მილანსაც", რომელმაც იტალიის ჩემპიონატში ბოლო 71 წლის მანძილზე ყველაზე ცუდი სტარტი აიღო. ჩვენი იტალიელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ „მალაგასთან" წაგების შემთხვევაში „როსონერის" შეფები მწვრთნელ **მასიმილიანო ალეგრის** გაათავისუფლებენ.

### D ჯგუფი:

### დორტმუნდის დაცვას რთული გამოცდა ელის

მესამე ტურის ცენტრალური მატჩი, რა თქმა უნდა, სიკვდილის ჯგუფში გაიმართება: გერმანიის ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია" ესპანეთის ჩემპიონ მადრიდის „რეალს" მასპინძლობს. დორტმუნდელთათვის ეს იდეალურია მატჩია იმისათვის, რომ საკუთარ ფანებს მოსისხლე მტერ „შალკესთან" წაგების (1:2) გამო ღირსეულად მოუბოდიშონ. ფაქტია, რომ წელს „დორტმუნდი" ჩემპიონთა ლიგას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ბუნდესლიგას, რაც **იურგენ კლოპის** შეგირდებმა „აიაქსთან" (1:0) და „მანჩესტერ სიტისთან" გასვლით შეხვედრაში (1:1) დაამტკიცეს.

ფაქტია, რომ კლოპი აღარ ათამაშებს გუნდს შეცვლილი ტაქტიკით, უარს იტყვის ექსპერიმენტულ 3-5-2-ზე და 4-2-3-1-ს დაუბრუნდება. **იაკუბ ბლაშჩიკოვსკი** და **ილქაი გიუნდოგანი** ისევ ლაზარეთში არიან, **მარიო გიოტცე** კი, ბოლო ინფორმაციით, დღეს საღამომდე გამოჯანმრთელებას ასწრებს.

საკადრო პრობლემები „რეალის" თავკაც **ჟოზე მოურინიოსაც** აქვს - პორტუგალიელს დაცვაში მოუწევს ექსპერიმენტირება. „რეალისთვის" კადრების მხრივ კარგი მხოლოდ ისაა, რომ საყრდენი ნახევარმცველი **სამი ხედირა** გამოჯანმრთელდა. აქვე ვთქვათ, რომ ორ ტურში „რეალმა" ყველაზე მეტი, შვიდი გოლი გაიტანა და ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების საუკეთესო ბომბარდირიც (**კრიშტიანო რონალდო**) რეალელია. მოკლედ, „დორტმუნდის" დაცვას დღეს სერიოზული გამოცდა ელის.

*„დორტმუნდის „ბორუსია" სწრაფად პროგრესირებადი და უკვე ძალიან კარგი გუნდია. დორტმუნდელებს თავიანთ სტადიონზე ნებისმიერის დამარცხება შეუძლიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ,"* - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე მოურინიომ.

მეორე მატჩში „აიაქსი" „მანჩესტერ სიტის" მასპინძლობს და თუ ჯგუფიდან გასვლა უნდა, **რობერტო მანჩინის** გუნდი უნდა დაამარცხოს. თავის მხრივ, წაგება „სიტისაც" აკრძალული აქვს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




დორტმუნდელი მატს ჰუმელსი და მადრიდელი სამი ხედირა გერმანიის ნაკრებში ერთად თამაშობენ, დღეს კი ერთმანეთის მტრები იქნებიან




# მომავლის იმედად

**„მანჩესტერ ივნინგ ნიუსის" ჟურნალისტი ჯეიმს რობსონი „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილ ფეხბურთელს, 47 წლის გარი პალისტერს ესაუბრა ყოფილ კლუბში შექმნილი პრობლემებისა და შესაძლო გამოსავალის შესახებ. მოგეხსენებათ, „იუნაიტედს" განსაკუთრებული პრობლემები დაცვის ხაზში აქვს, რადგან ხშირად ავადმყოფობენ ნემანია ვიდიჩი, ფილ ჯონსი და კრის სმოლინგი.**

- ფილ ჯონსს უკვე რამდენჯერმე ჰქონდა სერიოზული ტრავმა. როცა ფეხბურთელს კარიერის დასაწყისში ზედიზედ აქვს ხოლმე ასეთი პრობლემები, რასაკვირველია, ეს მეტ სანერვიულოს აჩენს. ჯონსს ეს თამაშის მანერის გამო მოსდის. ფაქტია, მან მოედანზე საკუთარი თავის დაზოგვა არ იცის. ზუსტად ასეთ სტილში თამაშობდა ბრაიან რობსონიც, ვინც თავის დროზე ყველა ის ტრავმა გადაიტანა, რისი წარმოდგენაც საერთოდ შესაძლებელია. ვფიქრობ, რომ გარკვეულ მომენტებში ჯონსი ცოტა ფრთხილად უნდა იყოს, უნდა ეცადოს, როგორმე დაიოკოს თავისი საფეხბურთო ვნებები. თუმცა ისიც მესმის, რომ მისი სტილის ფეხბურთელს ამის გაკეთება ძალიან გაუჭირდება. კარიერის განმავლობაში ბრაიან რობსონსა და როი კინსაც არასოდეს უფიქრიათ, ორთაბრძოლებს გაქცეოდნენ. სამწუხაროდ, ჯონსმა მის ასაკში იმაზე მეტი ტრავმა მიიღო, ვიდრე შეიძლებოდა. სწორედ ამიტომ ვნერვიულობთ ყველანი მის მომავალზე.

მოედანზე სმოლინგის დაბრუნებაც მშვენიერი ინფორმაცია იქნება ალექს ფერგიუსონისთვის, რადგან საკადრო პრობლემების გამო მას აღარ მოუწევს ბრძოლაში ისეთი გამოუცდელი ბიჭების ჩაბმა, როგორიც, ვთქვათ, სკოტ ვუტონია. სწორედ სმოლინგი და ჯონსი უნდა იყვნენ „იუნაიტედის" მომავალი წარმატებების საფუძვლის ჩამყრელები. მეჩვენება, რომ მათ ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც შეუძლიათ თავის დამკვიდრება, ზუსტად ისე, როგორც 21-წლამდელებში იყვნენ შეუცვლელნი. ისეთ დიდ კლუბში, როგორიც „მანჩესტერ იუნაიტედია", ეს ფეხბურთელები სათანადო გამოცდილებას მალე მიიღებენ.

ფილიც და კრისიც სათანადოდ ათლეტურები და სწრაფები არიან. ორივე ძლიერ მონდომებულია. უკვე გაიარეს გუნდში [illegible] სმოლინგისგან განსხვავებით ჯონსის გამოყენება ეფექტურად შეიძლება ნახევარდაცვაშიც. ის, რომ ფილი ამ საქმესაც ცივსისხლიანად გაართმევს თავს, ნერვიულობადაც კი არ ღირს, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მისი ადგილი მაინც დაცვის ცენტრშია. ამ პოზიციაზე მას დიდი მომავალი აქვს. ამ ბიჭებმა უკვე დაადასტურეს თავიანთი ამბიციები. მათ მოახერხეს გუნდის ძირითადში ადგილის პოვნა, თანაც არა სადღაც პროვინციულ გუნდში, არამედ „მანჩესტერ იუნაიტედში". ცხადია, რომ მათ ფსიქოლოგიურ ზეწოლასთან გამკლავებაც შეუძლიათ. ასეთ დონეზე დამკვიდრება იოლი ნამდვილად არ არის. თავის დროზე პირადად მე მთელი წელიწადი დამჭირდა იმისთვის, რომ იმ ტემპისთვის ამეწყო ფეხი, რომლითაც მიწევდა ცხოვრება.

რაკი ამ ეტაპზე „იუნაიტედი" ვერც ერთს ვერ იყენებს, გუნდის პოტენციალი ამით სერიოზულად ზარალდება. მართალია, როტაცია რეგულარულად მიდის, მაგრამ ფერგი მეტისმეტად დამოკიდებულია რიო ფერდინანდზე. რიოს ტრავმატულობის გათვალისწინებით, არ მგონია, რომ ეს მის გეგმებში ყოფილიყო. „იუნაიტედი" ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ მას რალაც წილად საკუთარი დაცვის ხაზის ნდობის დაბრუნება სჭირდება.



გარი პალისტერი

● ფიფა

# ვიდეოფიქსაციის სისტემები მკვიდრდება

ფიფამ გოლის ფიქსაციის ორ სისტემაზე GoalRef-სა და Hawk-Eye-ზე სპეციალური ლიცენზიები გასცა. დეკემბერში ფიფას მსოფლიოს საკლუბო მუნდიალზე შესაძლოა ისინი უკვე საქმეშიც ვიხილოთ. ამას გარდა, მათ მწარმოებელ ფირმებს უფლება მიეცათ, მოლაპარაკებები წამოიწყონ ნებისმიერ ორგანიზაციასთან, ვინც მათი პროდუქციით დაინტერესდება.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის ივლისში ფიფას სპეციალური კომისიის (IFAB – მხოლოდ მას აქვს უფლება ფიფას ფეხბურთის წესებში ცვლილებების თაობაზე მიმართოს) ინიციატივით, მსოფლიოს ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ციურიხში გამართულ სხდომაზე დაუშვა ფეხბურთში გოლის ელექტრონული ფიქსაციის სისტემების შემოღების შესაძლებლობა, რის შემდეგაც მრავალმა კომპანიამ გამოთქვა ამ პროექტში ჩართვის სურვილი, მაგრამ ფინალურ ეტაპამდე მხოლოდ ორმა მათგანმა მიაღწია. გამარჯვებულმა კომპანიებმა ფიფასთან მოლაპარაკებების არაერთი რაუნდი გამართეს და როგორც იქნა, ყველაფერი მოგვარებულია. დარჩა ბოლო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი: არსებული სისტემები კონკრეტულ მატჩებში გამოიცდება, რის შედეგებსაც დამოუკიდებელი კომისია გააკონტროლებს (კომისია მოგვიანებით დაკომპლექტდება შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებით) და რეკომენდაციას ოფიციალურ შეხვედრებში მათ გამოყენებაზე მხოლოდ ამის მერე გასცემს.



ნოიერის კარში გასული ბურთი არ ჩაითვალა. ახალი სისტემების წყალობით ანალოგიური შეცდომის ალბათობა ნულს გაუტოლდება

● ჩელსი

# რომანი ხანგრძლივი პერსპექტივით



რობერტო დი მატეო ლონდონში საკუთარ მომავალს იმედიანად უმზერს

„ჩელსის" მთავარი მწვრთნელი **რობერტო დი მატეო** აცხადებს, რომ აღფრთოვანებულია თავისი ახალგაზრდა ფეხბურთელებით და იმედი აქვს, რომ ისინი ლონდონელთა ღირსეულ ლიდერებად ჩამოყალიბდებიან. ამასთან, სოციალურ ქსელებსა თუ ბლოგებზე უფრო და უფრო ხშირად შეხვდებით მტკიცებას, რომ სწორედ იტალიელმა სპეციალისტმა მოახერხა „ლურჯებში" **ჟოზე მოურინიოს** კვალის საბოლოოდ წაშლა, რადგან გუნდი უკვე აღარ არის დამოკიდებული **ჯონ ტერისა** თუ **ფრენკ ლემპარდზე**. გულშემატკივრებს ახარებთ ის ფაქტი, რომ კლუბმა თანხები არ დაინანა ახალი ფეხბურთელების ტრანსფერებში. შედეგად, ახალწვეულები **ოსკარი** და **ედენ აზარი** უკვე ამართლებენ მათზე გაცემულ ავანსებს. **მარკო მარინსა** და **სესარ ასპილიკუეტას** კი თავის გამოჩენის შესაძლებლობა ტრავმების გამო არ მისცემიათ, მაგრამ მათ ოსტატობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. *„ტერი და ლემპარდი წლების განმავლობაში იყვნენ გუნდის ლიდერები. ისინი დღემდე წარმოადგენენ გუნდის ხერხემალს. ვფიქრობ, მალე მოვა დრო, როცა ლიდერობას ახალი თაობა აიღებს ხელში, თუმცა იქამდე მათ ჯერ კიდევ მოუწევთ ბევრი რამის სწავლა. უბრალოდ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მაქვს შანსი, ვიმუშაო გუნდში, რომელიც ჩემი გულის ნაწილს წარმოადგენს. გულწრფელად ვამბობ, რომ ყველა იმსახურებს შექებას დიდებული სტარტის გამო. ახალწვეულები კი დამატებით უნდა გამოვარჩიო ახალ გარემოსა და განსხვავებულ სათამაშო სისტემასთან სწრაფი ადაპტაციის გამო. ამ კლუბში იმიტომ მოვედი, რომ ჩემი საქმე ვაკეთო. იმედია, ჩემი და „ჩელსის" საერთო ისტორია კიდევ დიდხანს გაგრძელდება,"* – განაცხადა 44 წლის დი მატეომ ESPN-თან ინტერვიუში.

● ამბები

## კეროლი არ ნანობს

„ლივერპულმა" 23 წლის **ენდი კეროლი** ამ ზაფხულს სულ ძალისძალად გაუშვა „ენფილდიდან". მართალია, **ბრენდან როჯერსს** თავდასხმის ხაზში სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა, მაგრამ ვეჭვობთ, მათთვის ენდის გასალები მოერგო. აყლაყუდა თავდამსხმელს „ვესტ ჰემში" რეგულარული სათამაშო პრაქტიკის მიუხედავად (8 თამაში ყველა ტურნირში ერთად) გოლები მაინც ვერ გააქვს. *„ლივერპულში" ძირითადში დამკვიდრების შანსიც კი არ მექნებოდა და „ვესტ ჰემის" წინადადებას სწორედ ამიტომ დავთანხმდი. საბოლოო გადაწყვეტილება მას მერე მივიღე, როცა სემ ელერდაისს პირადად ველაპარაკე. ეს ნაბიჯი იმიტომ გადავდგი, რომ როჯერსი მე არათუ ძირითადის ფეხბურთელად, ზოგადად გუნდის წევრადაც კი არ განმიხილავდა. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერი მწვრთნელის ნებისმიერ ტაქტიკურ სქემას მოვერგები. როგორც ჩანს, ის ასე არ ფიქრობდა. ნამითაც არ ვნანობ, რომ „ენფილდზე" აღარ ვარ, რადგან იქ ჩემი დარჩენა ყოველგვარ საღ აზრს იყო მოკლებული,"* – აცხადებს ენდი კეროლი.

## არსენალმა ნავასი მოიკითხა

ესპანური გამოცემა Super Deporte-ს ცნობით, თუკი იანვრამდე „არსენალმა" **თეო უოლკოტთან** თანამშრომლობა ვერ გაახანგრძლივა, შესაძლოა, ლონდონურმა კლუბმა „სევილიას" **ხესუს ნავასის** ტრანსფერზე კიდევ ერთხელ მიმართოს. 26 წლის განაპირა ნახევარმცველი „მეთოფეთა" სატრანსფერო გეგმებში ამ ზაფხულსაც ფიგურირებდა, მაგრამ საბოლოოდ მხარეთა შორის გარიგება არ შედგა. ფეხბურთელის შეძენა ინგლისელებს 15 მილიონ ევროდ აქვთ ჩაფიქრებული. „მეთოფეებს" იმედი აქვთ, რომ ესპანელები ტრანსფერს ფინანსური პრობლემების გამო დათანხმდებიან.

## კიდევ ერთი გაუგებრობა

ინგლისში არსებობს ანტირასისტული ორგანიზაცია Kick It Out (შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „განდევნე", „თავიდან მოიშორე"), რომლის ხელმძღვანელმა **ლორდმა ოუსელიმ ჯონ ტერის** წინააღმდეგ მას შემდეგ გაილაშქრა, როცა 31 წლის ფეხბურთელმა „შახტართან" წუხანდელ მატჩამდე უარი თქვა გაეკეთებინა კაპიტნის სამკლავური წარწერით: „ყველანი ერთად რასიზმის წინააღმდეგ". *„ძალიან მაღიზიანებს, როცა ტერის „ჩელსის" კაპიტნად ვხედავ, მაგრამ ისიც მესმის, რომ ეს გუნდის შიგნით გადასაწყვეტი საქმეა. ვიღაცას შეიძლება ძალიანაც მოსწონდეს ტერის ასეთი გამოხდომები,"* – აცხადებს ოუსელი.

## რიო, როგორც უფლებათა დამცველი

„დეილი მეილის" ცნობით, „მანჩესტერ იუნაიტედის" 33 წლის ცენტრალურ მცველს **რიო ფერდინანდს** განზრახული აქვს, ჩამოაყალიბოს ორგანიზაცია, რომელიც აქცენტს შავკანიანი ფეხბურთელების უფლებათა დაცვაზე გააკეთებს. ფეხბურთელის მტკიცებით, ის მეთოდები, რომლითაც ინგლისური ფეხბურთის ხელმძღვანელები ამ პრობლემას ებრძვიან, არაეფექტურია და „სტოკ სიტისთან" მატჩამდე მისი პროტესტი (მან ანტირასისტული შინაარსის მოსასხამის ჩაცმაზე უარი თქვა) სწორედ ამის გამოძახილი იყო. ფერდინანდი უახლოეს დღეებში ლონდონს რამდენჯერმე ეწვევა, სადაც თანამოაზრეებთან მოლაპარაკებებს გამართავს.

## ფეხბურთელი თუ მოჩხუბარი

„დეილი მირორის" ინფორმაციით, „ვესტ ჰემის" 29 წლის თავდამსხმელმა **კარლტონ კოულმა** „აპტონ პარკზე" კარიერის ბოლომდე დარჩენის მზადყოფნა დაადასტურა. ის თანახმაა, „ჩაქუჩებთან" ახალი, ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმოს. მას არც კონკურენტების სიმრავლე აშინებს. თუმცა კარლტონის ცხოვრებაში ეს ერთადერთი სიახლე არ არის. რამდენიმე წელია, ის შერეული ორთაბრძოლებით დაინტერესდა და თავისუფალ დროს სწორედ სპორტის ამ სახეობას უძღვნის. ცხადია, ორთაბრძოლებში არ მონაწილეობს, რადგან ამას კლუბთან გაფორმებული კონტრაქტი უკრძალავს. რამდენიმე დღის წინ კარლტონმა სსთ-ის (Mixed martial arts) ბრიტანელ ვარსკვლავ **ჯიმი მანუვასთან** ერთად ივარჯიშა და მას სპარინგპარტნიორობაც კი გაუწია. *„კარლტონთან დაპირისპირება არც ისე იოლი აღმოჩნდა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ დონეზე იქნებოდა მომზადებული. კიდევ რამდენიმე საერთო ვარჯიში და შეიძლება კიდევ უფრო რთული ილეთებიც ვასწავლო,"* – აცხადებს მანუვა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. VIII ტურის შეჯამება

# ოქროს საბადო სახელად ფალკაო

## ატლეტიკომ რეალი ჩაანაცვლა?



ეს ეს არის რადამელ ფალკაომ ატლეტიკო ლიდერებში დატოვა

**უკვე შეგუებულიც ვიყავით, რომ ლა ლიგა კვლავ ორი ძალის (ყველასთვის კარგად ნაცნობი) დაპირისპირების არეალი იქნებოდა, მაგრამ არგენტინელი სპეციალისტის, დიეგო სიმეონეს „ატლეტიკომ“ შესანიშნავი სიურპრიზი შემოგვთავაზა. 8 ტურის შემდეგ უკვე თამამად შეიძლება თქმა, რომ მადრიდელთა წარმატება იოტისოდენადაც არ არის შემთხვევითი. „ლოს როხიბლანკოსს“ ჰყავს შედეგზე ორიენტირებული ძალიან ყოჩაღი ახალგაზრდა მწვრთნელი, ჰყავს მსოფლიოში ალბათ საუკეთესო ცენტრფორვარდი (რომელსაც ახლახან „მარკამ“ ოქროს საბადო უწოდა) და არ დაგვავიწყდეს, რომ გუნდს უდიდესი ტრადიციები მოსდგამს. „ბარსელონას“ და „ატლეტიკოს“ 22-22 ქულა აქვთ - ყველაფერი სერიოზულადაა.**

## ბარსა-რეალობა

ორივე გრანდი უკვე ჩემპიონთა ლიგით არის დაკავებული და მათთვის ლა ლიგის მე-8 ტური წარმატებული წარსულია - „რეალმა“ მცირე ძალებითა და ექსპერიმენტებით „სელტა“ 2:0 დაამარცხა, ხოლო „ბარსელონამ“ ძველი, კარგი დრო გაგვახსენა, როცა გალისიურ-კატალონიური დაპირისპირება მოვლენა იყო ესპანეთში. თუმცა ამაში წვლილი „დეპორტივოსაც“ თანაბრად მიუძღვის, გუნდებმა მატჩი-სიგიჟე შემოგვთავაზეს, რომელიც ლიდერმა 5:4 მოიგო. გრანდებს შორის სტატუს-ქვო შენარჩუნებულია - **ტიტო ვილანოვას** გუნდი **ჟოზე მოურინიოსას** ისევ 8 ქულით უსწრებს.

ლაკორუნიული თრილერი სეზონის საუკეთესო მატჩობის თამამი კანდიდატია, „დეპორტივომ“ 0:3-ზეც კი დიდებულად გაიბრძოლა, რომ არა **ლეო მესი**, ალბათ, მიზანსაც მიაღწევდა. არგენტინელმა გოლების, ხოლო **სესკ ფაბრეგასმა** საგოლე პასების ჰეთთრიკი შეასრულა.

„რეალის“ თამაშში ყველაზე საინტერესო ჟოზე მოურინიომ შემოგვთავაზა - მან სასტარტო შემადგენლობაში ერთდროულად დააყენა **ლუკა მოდრიჩი, მესუთ იოზილი** და **კაკა**. ეს ტრიო კი არა, აქედან ორიც კი იშვიათად თამაშობს ერთად. „სელტასთან“ პირველი ტაიმი კი სამივემ ერთად ითამაშა. სპეციალისტთა დასკვნები გაიყო - იმ ტაიმში „რეალის“ ბურთის ფლობის ფანტასტიკური პროცენტი (76) ჰქონდა „ბარსას“ სტილში, მაგრამ ზოგის თქმით, მოდრიჩის აქტიურობა თრგუნავდა იოზილისას, გერმანელი უფრო ცენტრში შედიოდა და მარჯვნიდან „რეალი“ კარგად ვერ უტევდაო. ვნახოთ, მოეწონა თუ არა მოუს ექსპერიმენტი, მომავალ ტურში გავიგებთ.

## მესი VS რონი

**ლიონელ მესიმ** 90 წუთი ითამაშა „დეპორტივოსთან“ 5:4 მოგებულ შეხვედრაში. კარისკენ 5-ჯერ დაარტყა, 4-ჯერ ზუსტად, გაიტანა 3 გოლი. მის წინააღმდეგ წესი 2-ჯერ დაარღვიეს, თავად 3-ჯერ დაჯარიმდა და ყვითელი ბარათი მიიღო.

**კრიშტიანო რონალდომ** 90 წუთი ითამაშა „სელტასთან“ 2:0 მოგებულ შეხვედრაში. კარისკენ 9-ჯერ დაარტყა, ერთხელ ზუსტად, გაიტანა 1 გოლი (პენალტით). მის წინააღმდეგ 2-ჯერ დაარღვიეს წესი, ერთხელ რონალდო თამაშგარეში მოხვდა.

ჩვენს „ტურნირში“ ანგარიში საყაიმო იყო, თუმცა მესის უპირატესობა აშკარაა, ამიტომაც დიდ დაპირისპირებაში არგენტინელი დაწინაურდა - 5:4.

## იცით, თუ არა რომ...

* „ატლეტიკოს“ ფორვარდმა **რადამელ ფალკაომ** ბოლო 10 მატჩში 16 გოლი გაიტანა, რითაც ლეო მესის რეკორდი გაიმეორა. ფალკაოს აუცილებლად გაჰქონდა ყოველ შეხვედრაში.

* „ანოეტაზე“ მოგების შემდეგ „ატლეტიკო“ ზედიზედ 20 მატჩშია დაუმარცხებელი - 17 მოგება და 3 ფრე. ბოლოს მადრიდელებმა აპრილში „რეალთან“ 1:4 წააგეს.



ბარსელონამ მართალია, 4 გაუშვა, მაგრამ 5 გაიტანა

## მესის ტოლი ხესუსი

„მარკას“ ახალი სეზონიდან მკითხველს ანდობს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებას. გამოცემა არჩევს სამ საუკეთესოს და შემდეგ ინტერნეტით წყდება, მათ შორის ვინ უფრო მეტ ხმას მიიღებს. შემდეგ „მარკა“ ყოველ გამარჯვებულს 3-ს, მეორე ადგილზე გასულს - 2-ს და მესამეადგილოსანს 1 ქულას აძლევს.

8 ტურის შემდეგ 15-15 ქულით მესი და „სევილიას“ უპირობო ლიდერი **ხესუს ნავასი** ლიდერობენ. 12-12 ქულა აქვთ **იაგო ასპასსა** და ფალკაოს. 10 - **პატრიკ ებერტს** (ვალიადოლიდი). აღსანიშნავია, რომ კრიშტიანო რონალდოს სულ 8 ქულა აქვს და მე-10 ადგილზეა.

## ტურის ფრაზები

**მანუელ პელეგრინი:** *„რეალი“ არ უნდა დარბოდეს ბურთისთვის, არ მიყვარს მხოლოდ შედეგზე მოთამაშე გუნდები“*, - „მალაგას“ თავკაცი, ყოფილ გუნდზე.

**ტიტო ვილანოვა:** *„ჩვენ მეტად ვეღარ ვნახავთ ისეთ ფეხბურთელს, როგორიც მესია“*, - „ბარსას“ თავკაცი თავის შეგირდზე.

**ფილიპ მონტანიე:** *„მსაჯმა დიდი როლი შეასრულა ამ შეხვედრაში. არადა, „ატლეტიკო“ ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და მას მსაჯების მიმხრობა არ ესაჭიროება“*, - „რეალ სოსიედადის“ ფრანგი თავკაცი 0:1 მარცხის მერე.

**მიჩელი:** *„ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მებრძოლი ხასიათი გვაქვს“*, - „სევილიას“ თავკაცი „მალიორკასთან“ მატჩის მერე.

**რადამელ ფალკაო:** *„ეს ჩემს პროფესიულ კარიერაში პირველი გოლი იყო საჯარიმო დარტყმით“*, - კოლუმბიელი ფორვარდი, მას მერე, რაც ბოლო წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა.

**მანოლო ხიმენესი:** *„სანაკრებო პაუზა ბრწყინვალედ გამოვიყენეთ“*, - „სარაგოსას“ თავკაცი სტუმრად „გრანადას“ დამარცხების შემდეგ.

**ხოსე ლუის ოლტრა:** *„ორმაგი გრძნობა მაქვს, წავაგეთ და ვნანობ, მაგრამ რა მატჩი ვითამაშეთ? „ბარსელონას“ 4 გოლი გავუტანეთ“*, - „დეპორტივოს“ თავკაცი.



ხესუს ნავასი წლეულს შეუდარებლად თამაშობს

## ტურის დებიუტი

„ბარსელონას“ ფეხბურთელმა **ანდრეუ ფონტასმა** პირველად ითამაშა „მალიორკაში“, სადაც სეზონის ბოლომდე იჯარით გადავიდა. სხვათა შორის, აბსოლუტით მცველი **ხოაკინ კაპაროსმა** საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა. „მალიორკას“ რიგებში დებიუტი ჰქონდა **ჯოვანი დოს სანტოსს**, მექსიკელმა ფორვარდმა დებიუტი ორი საგოლე პასით აღნიშნა. სხვათა შორის, ისიც ყოფილი ბარსელონელია და მისი უმცროსი ძმა **ჯონათანი** ახლაც ამ კლუბშია.

## ტურის საუკეთესო გოლი

**გონსალო იგუაინი** (რეალი) „სელტას“ კარში

## ტურის საუკეთესო პასი

**სესკ ფაბრეგასი** (ბარსელონა) საგოლე პასი **ლიონელ მესის**.

## ტურის სტატისტიკა

34 გოლი ტურში (3,4 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 1 ფრედ დასრულდა და 4 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 58 ყვითელი ბარათი, 6 წითელი დაარიგეს.

ჰეთ თრიკი: **ლიონელ მესი (ბარსელონა)**

დუბლი: **ჟოან ვერდიუ (ესპანიოლი), არიც ადურისი (ბილბაო), ალვარო ნეგრედო (სევილია), პიცი (დეპორტივო), ლეო კარილიო (რაიო ვალეკანო).**

**ხოაკინმა** (მალაგა) ვერ გაიტანა პენალტი „ვალიადოლიდის“ კარში.

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **ფრანსისკო ალკასერი** (ხეტაფე, 19 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: **70 000 - „სანტიაგო ბერნაბეუ“**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **9 500 - „ალფონსო პერეს კოლისეუმი“**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **24 - რეალი**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **13 - ვალენსია**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **18 - გრანადა, რაიო ვალეკანო**

ყველაზე მეტი კუთხური: **15 - სევილია**

ყველაზე მეტი თამაშგარე: **8 - ესპანიოლი**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **71% - მალაგა**

### მომდევნო ტური

27 ოქტომბერი: **ესპანიოლი-მალაგა, ბეტისი-ვალენსია, სელტა-დეპორტივო, რაიო ვალეკანო-ბარსელონა.**

28 ოქტომბერი: **სარაგოსა-სევილია, ლევანტე-გრანადა, ბილბაო-ხეტაფე, ატლეტიკო-ოსასუნა, მალიორკა-რეალი.**

29 ოქტომბერი: **ვალიადოლიდი-რეალ სოსიედადი.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### ტურის გმირი



**რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)**

ისევ ფალკაო! 90-ე წუთზე „ატლეტიკოს“ 3 ქულა მოუტანა საჯარიმო დარტყმით.

### ბომბარდირები

**11** ლიონელ მესი (ბარსელონა)
**9** რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), კრიშტიანო რონალდო (რეალი)
**6** ტომერ ჰემედი (მალიორკა), არიც ადურისი (ბილბაო), ალვარო ნეგრედო (სევილია)

### ასისტენტები

**5** სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
**4** ბენიატ ეჩებარია (ბეტისი), ლიონელ მესი (ბარსელონა)
**3** ემილიო ნსუე (მალიორკა), იბაი გომესი (ბილბაო), ალეხანდრო დომინგესი (ვალეკანო)

### გოლი+პასი

**15** ლიონელ მესი (ბარსელონა)
**10** რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)
**9** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

### მე-12 ფეხბურთელი

**ისკო (მალაგა)**

ვიცით, რომ 2-4-1-3-ს პრაქტიკაში არავინ იყენებს, თუმცა ამ ტურს ეს განლაგება უფრო შეეფერება, იმდენად გამოიჩინეს თავი შემტევმა ფეხბურთელებმა - 6-მა ფეხბურთელმა დუბლი და მეტი შეასრულა და თითოეული მათგანი ალალად იმსახურებდა სიმბოლურში ადგილს.

## VIII ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



გოტფრიდ ლენცის საავტორო რუბრიკა

# დრონი მეფობენ

**კლაუდიო ლოტიტო** ხანდახან სიმართლესაც ამბობს ხოლმე; ბერლუსკონიმ „მილანი" „ყაზარმულზე" გადაიყვანა, ალეგრის დღეები დათვლილია; ტურინში პოგბა დაინახეს და დააფასეს, ნეაპოლელებს კი ძველებურად ვერ იტანენ; ანდრე ვილაშ ბოაში „ჩელსიზე" გადაირია, ოღონდ 6-თვიანი დაგვიანებით; მესი პელეს რეკორდსაც დაამხობს, ფალკაომ კი ჯარიმების დარტყმაც ისწავლა.

ერთი სიტყვით, თქვენ წინაშეა „ლელოს" მორიგი „დრიბლინგი" ევროპაში.

**იტალია**

## ლოტიტოს სიმართლე და ალეგრის მძიმე დღეები

**კლაუდიო ლოტიტო** უმეტესად სისულელეებს ბუტბუტებს ხოლმე, მაგრამ ამჯერად სიმართლე თქვა. *„ჩვენ ყველაზე მაგარი თავდასხმა გვყავს!"* - ამაყად განაცხადა „ლაციოს" პრეზიდენტმა „მილანთან" 3:2-ის შემდეგ. მართლაც: „ლაციალეს" 15 გოლიდან 13 **ერნანესის, კანდრევასა და კლოზეს** ანგარიშზეა. ამ ტრიოდან ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ვეტერანი გერმანელი გამოირჩევა, რომელმაც ამ სეზონში გერმანიის ნაკრებისთვის სამი გაიტანა, ერთი ევროპალიგაში შეაგდო, სერია A-ში კი მის ანგარიშზე 6 გოლია და ვინ იცის, სეზონის ბოლოს „ლაციოს" იქნებ მართლაც ჰყავდეს იტალიის ჩემპიონატის პირველი საუკეთესო ბომბარდირი 2001 წლის შემდეგ. მაშინ ეს წოდება რომაული კლუბის არგენტინელმა თავდამსხმელმა **ერნან კრესპომ** დაიმსახურა და მაშინ „ლაციო" ძალიან მაგარი გუნდი იყო.

ცხადია, აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ დღესდღეობით „მილანთან" საშინაო მატჩში სამი ქულის მოპოვება ლამისაა ყველა იტალიური კლუბისთვის სავალდებულო იყოს, რადგან „როსონერი" შავ დღეშია - რვა ტურში ხუთი თამაში წაგებული აქვს, ასეთი რამ კი „მილანს" ბოლოს 71 წლის წინათ დაემართა.

ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა ამ „მილანის" სავიზიტო ბარათად **კევინ-პრინს ბოატენგი** გამოაცხადეს, რომელიც „როსონერიში" თავიდან ძალიან კარგად გამოიყურებოდა, ახლა კი კასტინგზე მიწვეულ უნიჭო მსახიობს ჰგავს, რომელმაც შავ-წითელ ფერებში გაწყობილი ფორმა შემთხვევით, სადღაც იპოვა.

ერთი სიტყვით, „მილანი" შვიდი ქულით „ბოლონიასთან", „კიევოსთან" და „პესკარასთან" ერთად მე-15, მე-16, მე-17 და მე-18 ადგილებს ინაწილებს. ამიტომაც სკანდირებდნენ „ლაციოს" ჩრდილოელთმოძულე ტიფოზები, „მილანი" სერია B-ში დაქვეითდებაო, თუმცა საქმე აქამდე ალბათ არ მივა. „ლაციოსთან" წაგების შემდეგ **სილვიო ბერლუსკონის** ბრძანებით „მილანი" „ყაზარმულზე" გადავიდა და „მილანელოშია", საიდანაც ფეხბურთელებს ერთ კვირაში მხოლოდ ორჯერ შეეძლებათ გამოსვლა - „მალაგასთან" და „ჯენოასთან" მატჩებისთვის. ეს შეხვედრები „როსონერის" თავკაც **მასიმილიანო ალეგრისთვის** უკვე მართლა ბოლო შანსია.

*„ალეგრიმ ახლა უკვე სასწრაფოდ ქულები უნდა მოგვიტანოს,"* - თქვა **ადრიანო გალიანიმ** და იოლი მისახვედრია, როგორ გააგრძელებდა ამ წინადადებას, რომ არ გაქცეულიყო და გაეგო ჟურნალისტის კონტრკითხვა - *„წინააღმდეგ შემთხვევაში?"*

### გაიცანით: პოლ პოგბა!

საჯარიმოს მისადგომებიდან ძლიერი და ერთი შეხებით უზუსტესი დარტყმით **პოლ პოგბამ** არა მარტო „იუვენტუსის" გამარჯვება სრულყო (თანაც ვისთან? ნაპოლისთან!), არამედ ტურინული გრანდის ფორმით პირველი გოლი გაიტანა. ვერაფერს იტყვი, 19 წლის საყრდენ ნახევარმცველს ულამაზესი სადებიუტო გოლი გამოუვიდა.

*„ვინც ფიქრობს, რომ ეს ბიჭი სათადარიგოთა სკამისთვის ვიყიდეთ, ძალიან ცდება. პოგბა ითამაშებს და იმაზე ხშირად, ვიდრე თქვენ გგონიათ,"* - თქვა ზაფხულში „იუვეს" სპორტულმა დირექტორმა **ბეპე მაროტამ** და მაშინ იტალიელ ჟურნალისტებს ამ სიტყვებზე ჩაეცინათ. ახლა, „ნაპოლისთან" გატანილი ბრწყინვალე გოლის შემდეგ პოგბაზე საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დიდიე დეშამიც** კი დაფიქრდა და სავარაუდოდ, იტალიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახებს.

*„როცა დავინახე, როგორ შევარდა ბურთი ნეაპოლელთა კარში, უცებ დავყრუვდი: არაფერი მესმოდა, ველარაფერს ვიგებდი,"* - ასე აღწერა ახალგაზრდა ნახევარმცველმა თავისი პირველი ტურინული გოლი.

პოგბა 2009 წელს „ლე ავრიდან" „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდა - მაშინ 16 წლისაც არ იყო. *„ზაფხულში ჩემი გადაბირება „მილანს", „ჩელსის" და „არსენალს" სურდათ, მაგრამ მე „იუვეში" გადმოვედი, რადგან ამ კლუბში ჩემი გენიალური თანამემამულეები, პლატინი, ზიდანი, ტიურამი და ვიეირა თამაშობდნენ,"* - თქვა ამას წინათ პოგბამ. მანჩესტერში ის ხშირად ერეოდათ **მარიო ბალოტელიში**, რის გამოც პოგბამ თავზე აქეთ-იქიდან ორ-ორი ოქროსფერი ზოლი გაიკეთა. სხვა მხრივ, მანჩესტერთან არც ისე სასიამოვნო მოგონებები აკავშირებს: *„სერ ალექსი ხშირად მეუბნებოდა, შენი დროც მოვაო, მაგრამ მანჩესტერში ჩემი დრო არა და არ მოვიდა. ფერგიუსონისგან მოსალოც ტექსტურ შეტყობინებას არ ველოდები,"* - ასე მოიკითხა პოგბამ ფერგი.

ჩვენც დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ სერ ალექსს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს...

### უკეთური ვერონელები

იტალიაში ტური ისე არ ჩაივლის, რომ არასასიამოვნო ფაქტებს ადგილი არ ჰქონდეს, თუმცა „კალჩო" ამიტომაცაა ძალიან საინტერესო. სერია B-ში, „ლივორნოსა" და „ვერონას" მატჩის (0:2) სტუმარი ტიფოზები ძალიან ცუდად მოიქცნენ: აპრილში გულის ინფარქტით გარდაცვლილი ლივორნოელი ფეხბურთელი **მოროზინი** შეურაცხყვეს.

*„ეს გუნდი არ იმსახურებს არსებობას!"* - ყვიროდა მატჩის შემდეგ ლივორნოელთა კაპიტანი **ლუკი**. აქვე ძველი ისტორიაც: „ვერონას" ფანებმა 1996 წელს ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მათ გუნდში შავკანიანი ფეხბურთელი არ გადასულიყო - ტრიბუნაზე დიდი შავი თოჯინა გადმოკიდეს, რომელსაც ეწერა: **„Negro, go away!"**

### შენც, ჟურნალისტო?

საფეხბურთო იტალიაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამგვარ სკანდალებში ხშირად ჟურნალისტებიც ეხვევიან ხოლმე. ცუდი ფაქტი დაფიქსირდა ტელეკომპანია „რაის" რეგიონულ არხზე, რომელიც, მართალია, მხოლოდ პიემონტში უჩვენებს, მაგრამ მომხდარის შესახებ, რა თქმა უნდა, მთელმა იტალიამ და როგორც ხედავთ, არა მარტო იტალიამ გაიგო.

„იუვენტუსისა" და „ნაპოლის" დაპირისპირების წინ არხის კორესპონდენტმა გააკეთა პირდაპირი ჩართვა „იუვეს" ფანების თავშეყრის ადგილიდან, სადაც ტურინელი ტიფოზები მღეროდნენ, დაბანეთ ნეაპოლელები ცეცხლითო.

*„ნეაპოლელები ჩინელებივით ყველგან არიან,"* - თქვა „იუვენტუსის" ერთ-ერთმა ფანმა, რაზეც ჟურნალისტმა მიუგო: *„თქვენ მათ ყნოსვით ცნობთ?"*

მერე იწუწუნებენ, იტალიაში სამხრეთელები ჩრდილოელებს ვერ იტანენო...



მესი და პელე, პელე და მესი - 4 გოლიც და ლეო ფეხბურთის მეფის რეკორდსაც დაამხობს



**ინგლისი**

## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ანდრე!

ცოტა არ იყოს, დიდი ხნის შემდეგ, მაგრამ „ჩელსიმ" ბოლოს და ბოლოს ისე ითამაშა, როგორც ეს **ანდრე ვილაშ ბოაშს** უნდოდა 2011 წლის ზაფხულში, როცა „პორტუდან" „სტემფორდ ბრიჯზე", ლონდონური კლუბის თავკაცის რანგში აღმოჩნდა.

*„ჩელსი" ბრწყინვალე ფეხბურთს თამაშობს,* - ყოფილ გუნდზე თვალებგაბრწყინებული ლაპარაკობდა 35 წლის პორტუგალიელი, - *კრეატიულობა, ინდივიდუალური ოსტატობა, გენიალური ტრიო ნახევარდაცვაში (აზარი, მატა, ოსკარი)... ეს „ჩელსი" ძალიან მომწონს!"*

ვილაშ ბოაშისთვის ცუდი მხოლოდ ის არის, რომ პორტუგალიელი არა „ჩელსის", არამედ „ტოტენჰემის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მისმა ყოფილმა შეგირდებმა მისი ამჟამინდელი გუნდი 4:2 დაამარცხეს.

### განაწყენებული ჯეკო

„მანჩესტერ სიტის" ცენტრფორვარდმა **ედინ ჯეკომ** „ვესტ ბრომვიჩთან" 2:1-ზე მოგებულ შეხვედრაში დუბლი შეასრულა, მაგრამ მატჩის შემდეგ არ იცოდა, გახარებული უნდა ყოფილიყო, თუ არა, რადგან ინგლისურმა მედიამ ბოსნიელ თავდამსხმელს სუპერჯოკერის იარლიყი მიაწება.

*„აქამდე ჯოკერი არასდროს ვყოფილვარ, ყველგან და ყოველთვის სასტარტოში ვთამაშობდი ხოლმე,"* - განაწყენებული სახით თქვა 26 წლის ჯეკომ, რომელმაც პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში გოლების რაოდენობა ხუთამდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ **ტევესს, აგუეროსა** და **ბალოტელის** ერთად არ აქვთ ჯეკოზე მეტი გოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ **რობერტო მანჩინის** გუნდში ოთხივე თავდამსხმელი უკმაყოფილოა.

დასკვნა: ზამთრის სატრანსფერო პერიოდისთვის სპეკულაციები მალე დაიწყება.

**ესპანეთი**

## ვააა, პელე! ჰოოოო, მესი!

დიდი ხანია, „რიასორზე" არ უნახავთ ისეთი გადასარევი მატჩი (4:5), როგორიც „ბარსელონას" ლა კორუნიაში სტუმრობას მოჰყვა. 20 წუთის შემდეგ კატალონიელები „დეპორს" უკვე 3:0-ს უგებდნენ და თითქოს ყველაფერი ცხადი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, „ბარსას" ფეხბურთელებმა რამდენჯერმე უყურეს გერმანია-შვედეთს (4:4) და ეს თამაში ძალიან მოეწონათ, რადგან რაც მერე მოხდა, კომენტარს არ საჭიროებს...

...და რაც შეეხება ფაქტებს: **ლეო მესიმ** პრიმერადივიზიონში მე-15 ჰეთ-თრიკი შეასრულა, რითაც დიდი **ლადისლაო კუბალა** უკან მოიტოვა. 2012 წელს არგენტინელს ოფიციალურ მატჩებში 71 გოლი აქვს გატანილი და მხოლოდ ოთხი გოლიღა აკლია **პელეს** ნახევარსაუკუნოვან რეკორდამდე (75 გოლი 1959 წელს). წლის ბოლომდე ლეოს 15 ოფიციალური მატჩი აქვს დარჩენილი, მაგრამ მესი ისეთ ფორმაშია, ოთხი გოლისთვის 90 წუთიც ეყოფა...

### სადაც მესიმ დაიკვეხნოს...

ახლა ჯარიმების დარტყმაც ისწავლა... „ბარსას" მდევარ „ატლეტიკოს" „რეალ სოსიედადთან" გასვლით მატჩში გოლის გატანა უჭირდა და ის-ის იყო, ყველამ იფიქრა, მადრიდელები ქულებს კარგავენო, რომ 90-ე წუთზე **რადამელ ფალკაომ** 20 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაიტანა და „ატლეტიკოს" სან სებასტიანიდან მაინც სამი ქულა წამოაღებინა. ცნობისათვის, ფალკაოს აქამდე საჯარიმო დარტყმით არასდროს ეხეირა...

### მოურინიოს აჯაფსანდალი

ესპანურ მედიაში დიდი სჯა-ბაასი მიდის იმაზე, უნდა თამაშობდნენ თუ არა „რეალის" ძირითად შემადგენლობაში **მოდრიჩი** და **იოზილი** ერთად. „სელტასთან" საშინაო მატჩში ჟოზე მოურინიომ ამ დუეტს **კაკაც** დაამატა, რითაც დისკუსიის ცეცხლზე ნავთი დაასხა, „სამეფო გუნდმა" კი ნახევარდაცვის ცენტრში „გემრიელი აჯაფსანდალი" მიიღო. შესაბამისად, გვირაბის ბოლოს დანახულ სინათლეს ჰგავდა ჟოზეს ქმედება 47-ე წუთზე, როცა მან კაკა მოედნიდან გაიყვანა და თამაშში მის ნაცვლად გარემარბი **დი მარია** ჩართო. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „რეალს" **სამი ხედირა** გამოუჯანმრთელდა, დღეს, დორტმუნდში საჩემპიონთალიგო მატჩისთვის მადრიდული გრანდის შუა ხაზი თავისით დალაგდება.

**გერმანია**

## ზამერის იუმორი

ტელევიზიაში გამოსვლისას ხანდახან უნდა იხუმრო - ეს დაუწერელი კანონია, რომელიც „ბაიერნის" სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმაც** იცის. გერმანული მედიისთვის ყველაზე აქტუალური თემის შესახებ დასმულ კითხვას ზამერმა „სქაის" პირდაპირ ეთერში ასე უპასუხა: *„იუპ ჰაინკესთან არანაირი თანამშრომლობა არ მაქვს, მე მხოლოდ ჩემს მეუღლესთან ვთანამშრომლობ."*

მათიასს მართლაც კარგი ხუმრობა გამოუვიდოდა, ოღონდ იმ შემთხვევაში, სიტყვა „თანამშრომლობის" ნაცვლად „ურთიერთობა" რომ გამოეყენებინა. თანაც, ჟურნალისტმაც სწორედ მწვრთნელთან ურთიერთობის შესახებ ჰკითხა. ამასთან, ზამერი ფრთხილად უნდა იყოს, რადგან ცოლ-ქმარს შორის ურთიერთობისთვის თანამშრომლობის დარქმევა უმეტესად გაყრის წინა პირობაა ხოლმე...

### ფელიქსი

...და იდგა **ფელიქს მაგათი** შერეულ ზონაში და ისმენდა ჟურნალისტის მწარე კითხვებს. მერე მარჯვენა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიყო და ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მაშინვე დაწერეს, კაცები ამას იმ დროს აკეთებენ, როცა მუქარის ქვეშ ექცევიანო.

ჟურნალისტმა კი ჰკითხა: *„ამბობენ, მწვრთნელი მაგათის გათავისუფლება მხოლოდ სპორტულ დირექტორ მაგათს შეუძლიაო და მართალია?"*

ფელიქსის პასუხი: *„რა თქმა უნდა, არსებობს ვიღაც, ვინც ჩემზე მაღლა დგას და ამ კითხვით მას უნდა მიმართოთ."*

ამბობენ, მაგათზე მაღლა მხოლოდ ავტოკონცერნ „ფოლკსვაგენის" შეფი **მარტინ ვინტერკორნი** დგასო, მაგრამ ეგ „იმხელა კაცია", ჩვეულებრივ ჟურნალისტს მინიმუმ ორი თვე დასჭირდება იმისათვის, რომ ჰერ ვინტერკორნისთვის კითხვის დასმის უფლება მოიპოვოს...

**გოტფრიდ ლენცი**

## უცხოური ფეხბურთი

**პასი ამერიკიდან**

# ტრეზეგე ჯერ არ მიდის


ტრეზეგე ფეხბურთის თამაშით სიამოვნებას იღებს

"რივერ პლეიტის" ცენტრფორვარდმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას უახლოეს მომავალში არ აპირებს. **დავიდ ტრეზეგე** მომავალ კვირას გასამართი კლასიკოსთვის ემზადება, რომელშიც "რივერი" საკუთარ მოედანზე "ბოკა ხუნიორსს" უმასპინძლებს.

ტრეზეგე ფიფას ოფიციალურ საიტს გაესაუბრა და ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შესახებ შემდეგი რამ განაცხადა: *"ზოგი ფეხბურთელი კარიერას იმიტომ ასრულებს, რომ სურს ხალხს საუკეთესო ფორმაში მყოფი დაამახსოვრდეს, ზოგს კი უბრალოდ თამაში აღარ შეუძლია. არიან ისეთებიც, ვინც მოტივაციას კარგავენ და სიამოვნებას ველარ იღებენ. მე, ჯერჯერობით არც ერთ კატეგორიაში არ ვარ, მაგრამ როდესაც ვიგრძნობ, რომ ვარჯიში და თამაში აღარ მსიამოვნებს, ფეხბურთს თავს იმავე წამს დავანებებ".*

არგენტინელმა, რომელმაც საფრანგეთის ნაკრების ღირსების დაცვა გადაწყვიტა, სამფეროვნებზეც გამოთქვა თავისი აზრი: *"იმედი მაქვს, საფრანგეთი მუნდიალის საგზურს მოიპოვებს და კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან ამ ნაკრებს ამის რესურსი ნამდვილად აქვს".*

34 წლის ფეხბურთელი საფრანგეთის ნაკრებში 2008 წლამდე თამაშობდა და ეროვნული გუნდის რიგებში ჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო 2000 წელს ევროპის ჩემპიონატიც მოიგო. ტრეზეგეს ყოფილ თანაგუნდელებზე, **ლორან ბლანსა** და **დიდიე დეშამზე** ჰკითხეს: *"ორივე ძალიან კარგი მწვრთნელია. ზუსტად არ ვიცი რა მოხდა, მაგრამ ბლანმა ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა, მის ნაცვლად კი ასევე მშვენიერი მწვრთნელი მოვიდა, რომელსაც შეუძლია საფრანგეთს წარმატება მოუტანოს".*

დავიდი ახლა ტრავმირებულია და დაზიანებას მონაკოში მკურნალობს. ის დარწმუნებულია, რომ კვირისთვის გამოჯანმრთელდება. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ 28 ოქტომბერს, თბილისის დროით 22 საათზე, "რივერ პლეიტი" "ბოკა ხუნიორსს" უმასპინძლებს.

**ტატო ბაციკაძე**

# მენეზეშმა ესპანეთის ნაკრები შეაქო

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მანო მენეზეშმა**, ჟურნალისტებთან საუბრისას "ფურია როხა" შეაქო და განაცხადა, რომ ამ მომენტისთვის ბრაზილიის ნაკრებს ესპანელებთან ბრძოლა გაუჭირდება.

*"დღესდღეობით, ბრაზილიის ეროვნულ გუნდს ესპანელებთან თანაბრად თამაშის უნარი არ შესწევს, რადგან იბერიელები ძალიან ძლიერები არიან. თამაშის დროს, საკუთარი პირობები მათთვის ჯერ არავის უკარნახია, პირიქით, ესპანელებს იქით შეუძლიათ, მეტოქე ისე ათამაშონ, როგორც თავად სურთ. ძალიან შთამბეჭდავია ისიც, თუ როგორ ეპყრობიან ბურთს ესპანელი ფეხბურთელები"* – უთხრა ჟურნალისტებს მანო მენეზეშმა.

**ტატო ბაციკლაძე**

# ჟუნინიოს მალუდასთან თამაში სურს

"ვასკო და გამას" 37 წლის კაპიტანი **ჟუნინიო პერნამბუკანო** იმედოვნებს, რომ **ფლორან მალუდასთან** ერთად კიდევ ერთხელ ითამაშებს. ჟუნინიო და მალუდა თანაგუნდელები "ლიონში" იყვნენ, საიდანაც ფრანგი "ჩელსიში" გადავიდა. ამ სეზონში 32 წლის მალუდას პრობლემები აქვს და ლონდონელთა რიგებში თამაში საერთოდ არ უწევს, შესაბამისად ძალიან დიდია იმის შანსი, რომ მან გუნდი იანვარში დატოვოს. მალუდას გადაბირების მსურველთა შორის, რამდენიმე ევროპულ კლუბთან ერთად, ბრაზილიური "სანტოსი" და "ვასკო და გამაც" სახელდება.

*"მე მას ტელეფონით ვესაუბრე და ვუთხარი, რომ "ვასკოს" მისი შეძენა სურდა, მაგრამ სამწუხაროდ ტრანსფერი ფინანსური საკითხების გამო ჩაიშალა, თუმცა ვიმედოვნებ, რომ იანვარში ყველაფერი მოგვარდება და ის ჩვენთან ითამაშებს"* – განუცხადა ჟუნინიომ ფრანგულ პრესას.

**ტატო ბაციკაძე**

# სამწვრთნელო გადაადგილებები არგენტინაში

არგენტინულ კლუბებში ორი სამწვრთნელო ცვლილება მოხდა. მე-11 ტურში, "სან ლორენსოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი "ვილიარეალის", "ვალენსიას", "ტენერიფეს" და "ბარსელონას" ყოფილ ფეხბურთელ **ხუან ანტონიო პიცის** ჰქონდა, რომელიც აქამდე კიდევ ერთი ყოფილ გუნდ "როსარიო სენტრალს" ავარჯიშებდა. "სან ლორენსო" გასავარდნ ზონაშია და გასაკვირი ნამდვილად არ არის, რომ ხელმძღვანელებმა **კარუსო ლომბარდის** კარისკენ მიუთითეს. პიცის ხელში გუნდმა პირველი მატჩი სტუმრად, "გოდოი კრუსთან" ჩაატარა და ფრედ, 0:0 ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ ხუან ანტონიო პიცი არგენტინელი გახლავთ, მაგრამ მოთამაშის კარიერის განმავლობაში ესპანეთის ნაკრებში გადაწყვიტა თამაში, რომლის რიგებშიც 22 შეხვედრაში 8 გოლიც გაიტანა.

მეორე ცვლილება უკვე მე-11 ტურის შემდეგ მოხდა და აქაც "ვილიარეალის" ყოფილი მოთამაშე ფიგურირებს – "ტიგრეს" ხელმძღვანელებს ყელში ამოუვიდათ ის, რომ გუნდს ჩემპიონატის დაწყებიდან მოგება არ ჰქონდა და მთავარი მწვრთნელის პოსტი **როდოლფო არუაბარენას** დაატოვებინეს. პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 37 წლის არაუაბარენას, არგენტინის ნაკრების კიდევ ერთი ყოფილი ფეხბურთელი, **ნესტორ გოროსიტო** შეცვლის

**ტატო ბაციკაძე**

## ქართული სპორტი

**მშვილდოსნობა. ერევნის ტურნირი**

# ქართველთა სომხური ალაფი

ქართველმა მშვილდოსნებმა წარმატებით იასპარეზეს ერევანში გამართულ საერთაშორისო ტურნირში - ქალთა შორის პირად პირველობაში ქართული ფინალი გაიმართა, რომელშიც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **ქრისტინე ესებუამ იულია ლობჟანიძე** დაამარცხა. ვაჟთა შორის ასევე პირადში **ლაშა ფხაკაძე** მესამეზე გავიდა, გუნდურში ქალებში თბილისის გუნდმა, ვაჟებში კი ხელვაჩაურის პირველმა ნაკრებმა გაიმარჯვეს. შერეულ წყვილებში ლობჟანიძეს და ფხაკაძეს ვერცხლი დარჩათ.

ორგანიზატორები ირანმა და ზოგიერთმა შეპირებულმა ქვეყანამ დააზარალა - არ ჩავიდნენ შეჯიბრებაზე, რის გამოც ტურნირს მხოლოდ მასპინძლები, თბილისისა და ხელვაჩაურის გუნდები შემორჩნენ. ამის მიუხედავად, ეს ასპარეზობა მაინც კარგი სტარტი იყო ჩვენებისთვის, რადგან მათი უმეტესობა ახალგაზრდაა და სატურნირო პრაქტიკის დეფიციტს განიცდიან. მით უფრო - უცხოურისას.

ქალების პირად პირველობაში საკვალიფიკაციო ეტაპი ჩვენების დიდი უპირატესობით წარიმართა და მოწინავე სამეული მხოლოდ მათ შეავსეს. ჩვენებურთაგან ყველაზე კარგად უკრაინიდან გადმობირებულმა ლობჟანიძემ ისროლა - 650 ქულა დააგროვა. ის ორივე სერიაში ლიდერობდა, ესებუა კი ასევე ორივეში მეორე იყო და 617-ით საბოლოოდაც მეორეზე გავიდა. მესამე **თეონა კუტალაძე** აღმოჩნდა 582-ით. სამივე მათგანი თბილისელია, დედაქალაქელთა ასეთი ლიდერობა კი არცაა გასაკვირი იმ ფონზე, რომ ბათუმელთა წამყვანი სპორტსმენები - **ხათუნა ნარიმანიძე** და **ასმათ დიასამიძე** ტურნირში არ მონაწილეობდნენ. ერევანში ხუთეულში კიდევ ერთი ქართველი შევიდა და ის სწორედ აჭარის რეგიონიდანაა - ხელვაჩაურელი **ნინო დევაძე** 547 ქულით მეხუთეზე გავიდა.

ჩვენი გუნდის ლიდერებს არც ფინალში გასვლა გასჭირვებიათ. მით უფრო, მერვედფინალში ორივე თავისუფალი იყო, ნახევარფინალშიც უპრობლემოდ იმარჯვეს და მთავარი ჯილდოსთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ფრიად დაძაბულიც გამოდგა და ფრედ დასრულდა - 131:131. ჩემპიონის გამოსავლენად დამატებითი სროლა დაინიშნა. ისარი ორივემ 10-იანში გაარტყა, მაგრამ ესებუამ პირდაპირ ცენტრში დასვა, ანუ უფრო „ახლო ათიანი" იყო და ოქროს მედალიც მას დარჩა. მესამეზე სომეხი **გოარ შახნაზარიანი** გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში თანაგუნდელი **როზა გრიგორიანი** დაამარცხა. დევაძე მეხუთეზე გავიდა, კუტალაძე - მეშვიდეზე.

ვაჟებში საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენგან ყველაზე უკეთ თბილისელმა ფხაკაძემ ისროლა - 613 ქულით მესამე იყო. აქ პირველ-მეორე ადგილები 640-640 ქულით მასპინძლებმა - **არშაკ პეტროსიანმა და ვასილ შახნაზარიანმა** გაინაწილეს, უკეთესი კოეფიციენტებით კი პირველობა პეტროსიანს ერგო. შესარჩევში მეოთხე ისევ მასპინძელი დავით ხაჩატრიანი გავიდა 608-ით, მომდევნო სამი ადგილი კი ხელვაჩაურელებმა გაინაწილეს - **გიგა კაკაბაძემ** 588 ქულა დააგროვა, **ტარიელ ქადიძემ** - 585, **დავით ლეკვეიშვილმა** - 574. ამათგან კაკაბაძის გამოსვლას გამოვარჩევთ - პირველი სერიის შემდეგ ის მერვე ადგილზე იყო, მაგრამ მეორეში ბევრად უკეთ ისროლა და ფხაკაძესთან ერთად იმ სერიაში მესამე-მეოთხე ადგილი გაიყო. აღსანიშნავია, რომ ერევანში მისი ძმა - **გოგიტა კაკაბაძეც** ისროდა.

პლეი ოფში ნახევარფინალში ჩვენგან მხოლოდ ფხაკაძე გავიდა, რომელიც იქ შახნაზარიანთან 75:86 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ ორიოდ კვირის წინ შახნაზარიანი ხელვაჩაურში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მესამე ადგილზე გავიდა, თუმცა მაშინ ფხაკაძეს არ შეხვედრია. მასთან წაგების შემდეგ ჩვენებურმა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ზემოხსენებულ ხაჩატრიანს 109:96 მოუგო და პრიზიორიც გახდა.

ქალთა გუნდური პირველობის ფინალში თბილისის გუნდმა (ლობჟანიძე, ესებუა, კუტალაძე) მასპინძელთა პირველ გუნდს (გოარ შახნაზარიანი, როზა გრიგორიანი, **გოარ აკოფიანი**) 201:180 აჯობა და მთავარ პრიზსაც დაეუფლა. მესამეზე ხელვაჩაურელები (დევაძე, **მედეა აბულაძე, ციალა ფუტკარაძე**) გავიდნენ. საამისოდ მათ ერევნელთა მეორე ნაკრებს დიდი სხვაობით - 181:158 მოუგეს.


ქრისტინე ესებუა

ბიჭებში კარგად გამოვიდა ხელვაჩაურელთა ახალგაზრდული გუნდი - გიგა კაკაბაძე, ქადიძე, ლეკვეიშვილი, რომელმაც ფინალში გადამწყვეტ პაექრობაში დრამატული ბრძოლა მოუგო მასპინძელთა პირველ გუნდს. ეს შეხვედრა ფრედ დასრულდა - 211:211 და წესისამებრ, დამატებითი სერია დაინიშნა, რომელშიც სამივე მონაწილე თითო ისარს ისვრის. აქ ჩვენები უფრო ზუსტნი იყვნენ - 27:25 მოიგეს. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ხელვაჩაურელთა მეორე გუნდი (**არჩილ ფარსენაძე, მამუკა შუშაძე**, გოგიტა კაკაბაძე) მასპინძელთა ასევე მეორე შემადგენლობასთან დამარცხდა - 179:195.

შერეულ წყვილებში ჩვენგან ამჯერად ლობჟანიძე და ფხაკაძე გამოვიდნენ, რადგან თავიანთ გუნდებში საუკეთესო შედეგი მათ ჰქონდათ. თავიც არ შეურცხვენიათ და ფინალშიც გავიდნენ, სადაც ერევნელ და-ძმასთან - ვასილ და გოარ შახნაზარიანებთან 136:141 წააგეს.

აღსანიშნავია, რომ ლობჟანიძისთვის ეს მეორე ტურნირი იყო საქართველოს სახელით ხელვაჩაურში მოგებული ზემოხსენებული შეჯიბრების შემდეგ. **თამაზ ფუტკარაძე**, რომელიც ამჯერად მთავარ მწვრთნელად ახლდა გუნდს ერევანში, მისი გამოსვლით კმაყოფილია და ამბობს, თუ ლობჟანიძეს სათანადო პირობებს შეუქმნიან და ძველ ფორმას დაიბრუნებს, ნაკრებისთვის დიდი ძალა იქნება. იმედია, მას მართლაც მიეცემა სრულფასოვნად ვარჯიშის საშუალება, რაც ჩვენს ნაკრებს დიდად წაადგება. თუმცა ჯეროვანი სავარჯიშო პირობები პრობლემა არა მხოლოდ ლობჟანიძის, არამედ ნაკრების სხვა წევრებისთვისაცაა.

ერევნული შეჯიბრებით ჩვენი მშვილდოსნებისთვის სეზონის ძირითადი ნაწილი დასრულდა, თუმცა ჰორიზონტზე 1-2 შეჯიბრების კონტურები ჯერ კიდევ ჩანს. ოღონდ - ძირითადად ბათუმელებისთვის, რომლებიც პირად მიწვევას ელოდებიან აზერბაიჯანიდან და იტალიიდან. აზერბაიჯანელები ხელვაჩაურშიც იყვნენ ჩასულები და მაშინ გამოთქვეს სურვილი, დეკემბერში ბაქოში გასამართ საერთაშორისო ტურნირში საპასუხო ვიზიტით ბათუმელებიც მიიწვიონ. მათგან საბოლოო პასუხს ჩვენები თვის ბოლოს ელოდებიან. ხელვაჩაურში მასპინძლებს იტალიის გუნდიც ჰყავდათ მიწვეული, რომლებიც არ ჩავიდნენ, მაგრამ იმათმა პრეზიდენტმა **მარიო სკარცელამ**, რომელიც, ამავდროულად, მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიცაა, აღუთქვა, რომ ასევე დეკემბერში იტალიაში მიიწვევდა ერთ-ერთ ტურნირზე. მის პასუხსაც ამ დღეებში ელოდებიან. თუ მართლაც მიიღეს მიწვევა, მხოლოდ გზის ფულის შოვნა დასჭირდებათ, რადგან ადგილზე ცხოვრების ხარჯებს იტალიური მხარე იღებს საკუთარ თავზე. აღსანიშნავია, რომ ორივე ტურნირი დარბაზში იმართება.

**ირაკლი თავაძე**

**ჭადრაკი**



# ამჯერად რაპიდში

**ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ქართველ მოჭადრაკეთა ფესტივალი. საქართველოს თასი ამჯერად სწრაფ ჭადრაკში თამაშდება. მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში ჩაებნენ ქვეყნის ნაკრების წევრები — **მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, კონსტანტინე შანავა, ბელა ხოტენაშვილი, ნინო ხურციძე,** საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი **მაია ლომინეიშვილი,** ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიდოსტატი **ზურაბ სტურუა** და სხვები. გუშინ ოთხი ტურის პარტიები გაიმართა. 3,5-3,5 ქულით **ნინო ხურციძე, ლევან ფანცულაია, დავით ჯოჯუა, დავით არუთინიანი, გიგა ყუფარაძე** და **ლუკა პაიჭაძე** დაწინაურდნენ. 10-მა მოჭადრაკემ 3-3 ქულას მოუყარა თავი. თასის მფლობელს დღევანდელი დასკვნითი ხუთი ტური გამოავლენს, ხვალ კი ბლიცში (4 წუთს + 2 წამი) შევიტყობთ გამარჯვებულის ვინაობას.

**ვაჟა დანელია**

*ავტორის ფოტო*

● მძლეოსნობა

# უხვი ნადავლით ბაქოდან

სამ წელიწადში თბილისი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. ამ ღონისძიებისთვის მზადება კარგა ხანია, დაიწყეს ჩვენმა მძლეოსნებმა.

1997-1999 წლებში დაბადებული გოგო-ბიჭებისთვის უკვე რამდენიმე ღონისძიება მოეწყო. გასულ უქმეებზე ქართველმა სპორტსმენებმა აზერბაიჯანის ღია პირველობაში იასპარეზეს. შეჯიბრება დახურულ დარბაზში გაიმართა. „სპორტის დედოფლის" ექვს სახეობაში თანატოლებთან პაექრობისას სტუმრებმა 8 ოქროს, 5 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩვენებურთაგან განსაკუთრებით გამოირჩა **ზაურ ებრალიძე,** რომელმაც 600 მეტრზე რბენაში (1.39,40) პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო 200 მეტრზე (26,68) მეორე ადგილს დაჰყაბულდა. ებრალიძის მსგავსად, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **თეონა მაჭარაშვილი** (60 მ, 8,07), **მარიამ ჩაკაბერია** (200 მ, 27,43), **ლიდია ბერძენიშვილი** (600 მ, 1.48,97), **ქრისტინა ზოლოტუხინა** (სიმაღლეზე ხტომა, 1,45), **მარი ძაგნიძე** (სიგრძეზე ხტომა, 4,85), **დავით ჭედია** (200 მ, 25,71), **გიორგი მუჯირიძე** (ბირთვის კვრა, 14,35). ვერცხლის მედლები დაიმსახურეს **მაკა სანიკიძემ** (600 მ, 1.49,76), **სალომე ფოცხვერაშვილმა** (სიგრძეზე ხტომა, 4,52), **მარი მწითურმა** (სიმაღლეზე ხტომა, 1,35) და **ნიკა ყაზარაშვილმა** (სიგრძეზე ხტომა, 5,30), ხოლო **თამარ მახარაძე** (სიგრძეზე ხტომა, 4,26) და **სანდრო ლამბაშიძე** (600 მ, 1.41,10) მესამე ადგილებს დასჯერდნენ. **დავით ლუკავამ** სიგრძეზე ხტომაში (5,25) მე-4 ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# სისტემური უყურადღებობა

სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის (პრეზიდენტი **რევაზ ბუკია**) ინიციატივით ჩხოროწყუში ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და დაფინანსებით საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თასი გათამაშდა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1998-1999 წლებში დაბადებული გოგობიჭები, ანუ ისინი, რომლებმაც 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე უნდა დაიცვან ქვეყნის სპორტული ღირსება. მოზარდები ამჯერად ოთხ დისციპლინაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

**კვარცხლბეკი**

**გოგონები. 60 მ.** 1. გულიკო გამზარდია (7,81), 2. ალიონა თათარაშვილი (ორივე — ფოთი, 8,06), 3. მეგი ლატარია (ხობი, 8,29). **300 მ.** 1. გულიკო გამზარდია (53,90), 2. მარიამ ჯომედავა (ზუგდიდი, 54,85), 3. ალიონა თათარაშვილი (54,91). **სიგრძეზე ხტომა.** 1. გულიკო გამზარდია (4,19), 2. მარიამ ჯომედავა (4,17), 3. მეგი ლატარია (4,00). **ბურთის ტყორცნა.** 1. მარიამ ჯომედავა (39,10), 2. ნინო კვარაცხელია (ჩხოროწყუ, 35,20), 3. მეგი ლატარია (35,0).

**ბიჭები. 60 მ.** 1. გოგა მიქაია (7,22), 2. ირაკლი ჩანგელია (ორივე — ჩხოროწყუ, 7,28), 3. ოთარ რურუა (აბაშა, 7,29). **500 მ.** 1. თორნიკე რურუა (აბაშა, 1.33,0), 2. აკაკი ჩანგელია (ჩხოროწყუ, 1.35,31), 3. ოთარ რურუა (1.35,71). **სიგრძეზე ხტომა.** 1. გოგა მიქაია (5,07), 2. მიხეილ როგავა (წალენჯიხა, 4,50), 3. ირაკლი ჩანგელია (4,32). **ბურთის ტყორცნა.** 1. რამაზ კუპრავა (მარტვილი, 60 მ), 2. თორნიკე რურუა (58,70), 3. მერაბ მიმინოშვილი (აბაშა, 57,00).

*„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ მოზარდებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება ჰქონოდათ. პრიზიორები მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოეს. მონაწილეთა რაოდენობა, ალბათ, მეტი იქნებოდა, მაგრამ ზუგდიდიდან სრული გუნდი ვერ წავიყვანეთ, რადგან არავინ დაგვიფინანსა. საკუთარი სახსრებით კი თითო-ოროლა სპორტსმენმა თუ შეძლო წამოსვლა. არადა, ასეთ უყურადღებობას სისტემური ხასიათი მიეცა. იმედია, ჩვენს გულისტკივილს გაითვალისწინებენ"*, - გვითხრა რევაზ ბუკიამ.

**ვაჟა დანელია**

● ჭადრაკი



სოფიკო გურამიშვილი

# ლიდერებს კვალში მიჰყვება

ჰოლანდიის საჭადრაკო ფესტივალმა მრავალ ცნობილ და სახელოვან დიდოსტატსა და საერთაშორისო ოსტატს მოუყარა თავი. განსაკუთრებულ ყურადღებას ოთხთა წრიული ტურნირი იპყრობს - აქ ერთმანეთს ეპაექრებიან მასპინძლები - სერგეი ტივიაკოვი და ანიშ გირი, ქალთა ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი და ამერიკელი ჰიკარუ ნაკამურა. სამი ტურის შემდეგ 2,5 ქულით წინ ნაკამურაა.

ჰაგევენშივე მიმდინარეობს ღია საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი დიდოსტატი **სოფიკო გურამიშვილიც** მონაწილეობს. ასპარეზობის სტარტზე იგი შავი ფიგურებით სინგაპურელ ედვარდ კაი ლიის დაუზავდა, მეორე ტურში მასპინძელი რონალდ რიტსემა დაამარცხა, მერე მენო ოკესს შეუთანხმდა ყაიმზე, მეოთხე ტურში შვედ ფილიპ ლინდგრენს აჯობა, ოთხი შესაძლებლიდან 3 ქულა მოაგროვა და ლიდერებს - ერვინ ლამის, სიპკე ერნსტს, ტომაშ ვილიმსსა (სამივე - ჰოლანდია) და ლეონარდო ვალდეს (კოსტა რიკა) ნახევარი ქულით ჩამორჩება.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# პირველი ბარიერი გადალახა

აშკელონში (ისრაელი) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ორი ქართველი ჩაება. **თამარ ჭალაგანიძე** საკვალიფიკაციო ეტაპზევე გამოეთიშა შეჯიბრებას, **ანი გოგვაძემ** კი ძირითადი ბადიდან აიღო სტარტი. გუშინ პირველ წრეში კვალიფიკაციიდან შემოსული რუსი სოფია ვაინბერგი დაამარცხა ორ სეტში - 6:1, 7:5. მეორე წრეში მერვე ნომრად განთესილ იანა ბუშინას (რუსეთი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა იოლად სძლია მასპინძელ რონა ლავიანს - 6:0, 6:2.

**ვაჟა დანელია**

● სამბო. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ექო

# ერთ თვეში ოთხი ვერცხლი

**ახლახან სოფიაში სამბოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის გორის ჭიდაობის კომპლექსური სკოლის ორი წარმომადგენელი ირაკლი ლომიძე (68 კგ) და უტა კოკაური (+100 კგ) შინ ვერცხლის მედლებით დაბრუნდნენ. საქართველოს ნაკრების ორივე წევრი ძიუდოისტია, მაგრამ სამბოში შედარებით გამოცდილი კოკაურია, რომელიც წლევანდელ გაზაფხულზე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზეც ფინალისტი გახდა. ლომიძე მხოლოდ მეორედ ჭიდაობდა სამბოს. ადრე საქართველოს პირველობა მოიგო.**

ირაკლი ლომიძე: „მსოფლიოზე ოთხ მოწინააღმდეგიდან ფინალამდე სამი დამაჯერებლად დავამარცხე. ფინალი რუს ელი ილიასოვთან მტკივნეული ილეთით წავაგე. სამბოში არასაკმაო გამოცდილების მიუხედავად, ვთვლი, რომ ჩემპიონობა ხელიდან არ უნდა გამეშვა. ჩოგბჯენში ჭიდაობაში მოვიკოჭლებ. რუსმა სამბისტმა კი სწორედ ამით ისარგებლა და პარტერში ჩემი პირველივე ჩავარდნა მტკივნეული ილეთით და გამარჯვებით დაასრულა. ახლა ვაპირებ თბილისში სამბოში ნაკრების შეკრებებსაც დავესწრო, რათა სამომავლოდ უკეთ გამოვიდე. ისე არ გამიგოთ, თითქოს ძიუდოდან სულ სამბოზე გადავერთვები. უახლოესი შეჯიბრება ნოემბერში გასამართი საქართველოს ჩემპიონატია ძიუდოში"

უტა კოკაური: „წლეულს სამბოში ევროპის ჩემპიონატზეც ფინალი წავაგე, თანაც ერთსა და იმავე სპორტსმენთან, რუმინელ დანიელ ნეტიასთან. ყველაზე უპატიებელი კი ისაა, რომ ნეტიას, რომელიც 190 კგ-ს იწონის და ჩემზე 75 კილოგრამით მძიმეა, სოფიაში 8:0, ევროპის ჩემპიონატზე რუმინეთში კი 8:1 ვუგებდი. რუმინელმა ტაქტიკით მაჯობა ბუქარესტშიც და სოფიაშიც. მსოფლიოზე ანგარიშში ასეთი დიდი სხვაობისას, ერთ ეპიზოდში მეტოქე ჩემი საყვარელი ილეთის, „გარე ფეხის" შესასრულებლად შესაფერის პოზიციაზე დამიდგა, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს გამიზნულად გაუკეთებია და როდესაც დავაპირე ამ ფანდით საქმე ბოლომდე მომეთავებინა, კონტრილეთზე წამოვეგე. ეს ტაქტიკური ხარვეზი გამოსწორდება, სამომავლოდ ასეთი დასანანი მარცხი ჩემი კარიერიდან უნდა გამოვრიცხო."

ორივე ფალავანი **ნიკო ბიბილაშვილის** და **ანზორ თენაძის** შეგირდები არიან. ისინი წვრთნიან **ბექა ღვინიაშვილსა** და **ვაჟა მარგველაშვილსაც,** რომლებიც ორიოდ კვირის წინ ძიუდოში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე აგრეთვე ვერცხლის პრიზიორები გახდნენ. ოთხი ვერმოგებული ფინალის მიზეზები ნიკო ბიბილაშვილსაც დავეკითხეთ.

*„ამ ახალგაზრდების წარმატება უდავოდ დასაფასებელია! პირადი მწვრთნელები სოფიაში არ ვყოფილვართ და რასაკვირველია, როცა შეჯიბრებისთვის არ გიდევნებია თვალი, ძნელია დასკვნის გაკეთება. ფინალებში დამარცხების მიზეზებს მალე ერთად გავაანალიზებთ და დასკვნებსაც გამოვიტანთ. ზედაპირულად ის შემიძლია გითხრათ, რომ ირაკლი ლომიძე სამბოში ჯერ მაინც ახალბედაა. კოკაურმა კი პრინციპულ შეხვედრებში, როცა პირადი მწვრთნელი არ ახლავს, დამოუკიდებლადაც უნდა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. მის ტალანტზე საუბარი გადაჭარბებულად არასოდეს გვეჩვენებდა და მჯერა, ისიც და ლომიძეც უთუოდ გაამართლებენ მოლოდინს"* - გვითხრა ნიკო ბიბილაშვილმა.



უტა კოკაური ( მარცხნივ) და ირაკლი ლომიძე

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
დავით ასპანიძის ფოტო

● რეგიონი. ძიუდო

# ჩიქვილაძის ტურნირი

**ახმეტაში ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლის დარბაზმა ძიუდოში ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიო პრიზიორის ფარნაოზ ჩიკვილაძის ხსოვნის რესპუბლიკურ ტურნირს უმასპინძლა.**
**ფარნაოზ ჩიკვილაძე ცხოვრობდა ახმეტის რაიონში სოფელ ჩაბინაანში. მისი სახელობის ტურნირი ახმეტაში 1982 წლიდან ტრადიციულიად ყოველ წელს ტარდება.**
**ტურნირში მონაწილეობდა თბილისის (3), ახმეტის (2), გორის, დუშეთის, გარდაბნის, საგარეჯოს, ყვარლის, თელავის თითო გუნდი.**

**კვარცხლბეკი**

**უმცროს ასაკი** (2000-2002 წწ). **26 კგ.** 1. ზურაბ ქავთარაძე (დუშეთი), 2. თამაზ სარქისაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3. ზეზვა ბაჩიაშვილი (თელავი), 3. გიორგი შათირიშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**29 კგ.** 1. დავით ბახბახიშვილი (თელავი), 2. გიორგი ქიტესაშვილი, 3. მუხამედ ტოხოსაშვილი (ორივე - ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3. გიორგი ჯაბნიაშვილი (დუშეთი).

**32 კგ.** 1. დავით ნინიაშვილი, 2. მიხეილ შათირიშვილი (ორივე ახმეტა - ძიუდოს სკოლა), 3. ბექა ნიფიანი (მარნეული), 3. ლუკა ლანიაშვილი ( დუშეთი).

**35 კგ.** 1. არმაზ არჩუაძე (საგარეჯო), 2. ლევან ებელაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა.), 3.კაპანაძე გიორგი (თბილისი, "შევარდენი"), 3. ვაჟა გუჯეჯიანი (თბილისი, სამგორი).

**38 კგ.** 1. გიორგი ახალაური (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 2. ლუკა გულედანი (თბილისი), 3. დათო ჩუტკერაშვილი (თბილისი, სამგორი), 3. დათო ფაქიზაშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა).

**43 კგ.** 1. ბექა ბაგაური (თბილისი „შავარდენი,"), 2. ალეკო ნებიერიძე, 3. ჯემალ ბერიანიძე (ორივე - გორი), 3. ბაჩო ნიკლაური (დუშეთი).

**46 კგ.** 1. მიხეილი ბახბახიშვილი (თელავი), 2. ნიკა ბასილაშვილი (საგარეჯო), 3. რატი ჩაჩხიანი (თელავი), 3. მიშა ბექაური (თბილისი "შევარდენი").

**+46კგ.** 1. თენგო ზუბიაშვილი (თბილისი, "შევარდენი"), 2. დიტო ნონიკაშვილი (გორი), 3. ლუკა მჭედლიშვილი, 4. ჯაბა კოლხიტაშვილი (თბილისი, სამგორი).

**უფროსი ასაკი (1997-1999 წწ).**

**42 კგ.** 1. ილია შიოშვილი, 2. უშანგი ქიტესაშვილი, 3.ბაჩიაშვილი ზურა, 3. ისლამ ქავთარაშვილი (ყველა - ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**46 კგ.** 1. ხვიჩა მესაბლიშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 2. გოგა ტუგულაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3. დათო ჩოკოლაშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 3. რობი მლებრიშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**50 კგ.** 1. ნიკო ჭიკაიძე (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 2. ბექა ასლანაშვილი (თბილისი, სამგორი), 3. ვაჟა აბრამიშვილი (თბილისი , "ჯორჯია"), 3. ზურაბ ლომიაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**55 კგ.** 1. ალუდა ჩეკურიშვილი (გურჯაანი), 2. ბაჩანა სარქისაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3. გიორგი ჩაჩქანიშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა), 3. გიორგი ნახუცრიშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**60 კგ.** 1. ფირუზ ქეთიაშვილი (ახმეტა ძიუდოს სკოლა), 2. გაგა მახნიაშვილი (თელავი), 3. ალიკა ბერძენიშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა) 3. გიგა იმერლიშვილი (ახმეტა, კომპლექსური სკოლა).

**66 კგ.** 1. ნიკა ლაბაძე (ლაგოდეხი), 2. ჯაბა ფიცხელაური (ახმეტა, ძიუდოს სკოლა) 3. იმედა გოგოლაძე (ლაგოდეხი), 3. გოგა ნიკლაური (დუშეთი).

**73 კგ.** 1. გოგა ქევხიშვილი (თბილისი), 2. დიმიტრი გუგუტიშვილი (თელავი), 3. რატი ახალაური (ახმეტა ძიუდოს სკოლა), 3. ლევან ძიბელაშვილი (გურჯაანი).



**+73 კგ.** 1. გიორგი ქანთარია (თბილისი, "ჯორჯია") 2. გურამ ქოსმენაშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა), 3. ოთარ გურგენიძე (თბილისი), 3. შალვა ჯავახიშვილი (ახმეტა, ძიუდოს სკოლა).

**ლელა ხეჩოშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

**სუპერლიგა 2012-13. I ტურის რჩეულნი**

# ლამარიც აქ არის




სუპერლიგის 2012-13 წლების გათამაშება შაბათს დაიწყო. პირველ ტურში ფავორიტები აუტსაიდერებს დაუპირისპირდნენ და ამიტომაც ვიხილეთ არათანაბარი ბრძოლები. ყველაზე დიდი, 28-ქულიანი სხვაობა ქუთაისში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მცირე 19-ქულიანი(!) ჰანდიკაპი იყო, რომელიც „ოლიმპი"-"სოხუმის" მატჩში ვიხილეთ.

პირველი ტურის შემდეგ ერთ დადებით ასპექტზე შეიძლება ყურადღების გამახვილება: თუ წინა წლებში ქართულ გუნდებში ამერიკელები კოლეჯების ლიგებიდან ჩამოჰყავდათ, ამჯერად ევროპაში გამოცდილ ოკეანისგაღმელებს ირჩევენ. მათ შორის სხვაობა ისაა, რომ პირდაპირ კოლეჯიდან ახალგაზრდის გამოწვევა ერთგვარ რისკთანაა დაკავშირებული - საკითხავია, შეეგუება თუ არაევროპულ კალათბურთს, აქაურ ყოფას და საერთოდ, დააკმაყოფილებს თუ არა თუნდაც საქართველოს ჩემპიონატის დონეს. მაგალითად, შარშან „შსს აკადემიაში" სეზონის დასაწყისში ჩაირიცხა **რობო კრეპსი**, რომელიც პირველ წრეში გამორჩეული იყო, მაგრამ ზამთარში კლუბის ხელმძღვანელობას კონტრაქტის გაწყვეტა სთხოვა - აქ ვეღარ ვძლებ, სამშობლო მენატრებაო. იმავე შსს-ში **ჯასტინ ტაბსი** და **ენტონი მუდი** ირჯებოდნენ. სეზონის დასრულების შემდეგ მწვრთნელს მათი დაბრუნების სურვილი არ გასჩენია, რადგან ვერ გაამართლეს. სამაგიეროდ გაამართლა **ქიენ კარტერმა**, რომელიც „დინამოდან" საბერძნეთში გადავიდა.

ყოველგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად ქართულმა კლუბებმა ახალი სეზონის წინ ისეთ კალათბურთელებს უხმეს, რომლებსაც ევროპაში თამაშის გამოცდილებაც გააჩნდათ და ბებერ კონტინენტზე შესაძლებლობები დამტკიცებული ჰქონდათ. მაგალითად: რუსთაველი **კაელ ნელსონი** ლატვიური „ლიეპაიადან" ჩამოვიდა, **ნეით ბოუის** პორტუგალიაში არაერთი სეზონი აქვს გატარებული, შსს-ელი **დეონტა ვონი** პოლონურ „პოლფარმას" ღირსებას იცავდა, მისი თანაგუნდელი **კირ არჩიბეკი** პოლონეთში სამი წელი თამაშობდა, დინამოელ **ლამარ კარიმს** კვიპროსი, უკრაინა, საფრანგეთი და შვეიცარია აქვს მოვლილი... მათი გამოცდილება ქართველ კალათბურთელებსაც გამოადგებათ.

ლამარის თამაში ქართველმა გულშემატკივარმა პირველად შაბათს, 20 ოქტომბერს იხილა („დინამო" დუდუ დადიანის მემორიალზე არ გამოდიოდა) და მისდამი უთუოდ დადებითად განეწყობოდა. კარიმი მრავალმხრივი კალათბურთელი ჩანს და დღესვე შეიძლება ითქვას, რომ „დინამოს" მწვრთნელმა სწორი არჩევანი გააკეთა. ჟურნალისტთა გადაწყვეტილებით პირველი ტურის საუკეთესო კალათბურთელად სწორედ ლამარი დასახელდა.




| | |
|---|---|
| ქუთაისი-სამედიცინო | 87:49 |
| შსს აკადემია-ბათუმი | 92:65 |
| ოლიმპი-სოხუმი | 97:78 |
| სტუ-რუსთავი | 62:94 |
| დინამო-თსუ | 85:53 |

### რეკორდები

**ქულა**

28 - ლამარ კარიმი (დინამო)
2-ქულ 8/11; 3-ქულ 3/5; საჯ 3/5
20.10.12 დინამო-თსუ

**მოხსნა**

14 - კაელ ნელსონი (რუსთავი)
(მეტოქ: 7; საკუთ: 7)
20.10.12 სტუ-რუსთავი

**პასი**

9 - რეზო როგავა (შსს აკადემია)
20.10.12 შსს-ბათუმი

**ჩაჭრა**

4 - ნეით ბოუი (რუსთავი)
20.10.12 სტუ-რუსთავი

**დაფარება**

3 - მილან ოლუიჩი (დინამო)
20.10.12 დინამო-თსუ

### ქულა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლამარ კარიმი | დინამო | 1 | 28 | 28 |
| 2 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 1 | 25 | 25 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 1 | 22 | 22 |
| 4 | ნეით ბოუი | რუსთავი | 1 | 21 | 21 |
| 5 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 1 | 20 | 20 |
| 6 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 1 | 19 | 19 |
| 7 | მილან ოლუიჩი | დინამო | 1 | 18 | 18 |
| 8 | გივი ბაქრაძე | თსუ | 1 | 18 | 18 |
| 9 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 1 | 18 | 18 |
| 10 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 1 | 17 | 17 |

### მოხსნა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 1 | 7 | 7 | 14 | 14 |
| 2 | მილან ოლუიჩი | დინამო | 1 | 5 | 8 | 13 | 13 |
| 3 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 1 | 6 | 5 | 11 | 11 |
| 4 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 1 | 6 | 4 | 10 | 10 |
| 5 | ვახტანგ ქადარია | სოხუმი | 1 | 4 | 6 | 10 | 10 |
| 6 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 1 | 2 | 7 | 9 | 9 |
| 7 | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 1 | 1 | 8 | 9 | 9 |

### პასი

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რევაზ როგავა | შსს აკადემია | 1 | 9 | 9 |
| 2 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 1 | 9 | 9 |
| 3 | ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 1 | 8 | 8 |
| 4 | სტენ სოკი | ოლიმპი | 1 | 7 | 7 |
| 5 | რევაზ დიდია | ქუთაისი | 1 | 7 | 7 |
| 6 | ვახტანგ ჩქარეული | თსუ | 1 | 6 | 6 |
| 7 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 1 | 6 | 6 |

### ჩაჭრა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 1 | 4 | 4 |
| 2 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 1 | 4 | 4 |
| 3 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 1 | 3 | 3 |
| 4 | დავით დეკანოიძე | სოხუმი | 1 | 3 | 3 |
| 5 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 1 | 3 | 3 |
| 6 | აკაკი დვალიშვილი | ოლიმპი | 1 | 3 | 3 |
| 7 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 1 | 3 | 3 |

### დაფარება

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 1 | 3 | 3 |
| 2 | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 1 | 2 | 2 |
| 3 | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 1 | 2 | 2 |
| 4 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 1 | 2 | 2 |

### შეცდომა

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსლან ნაზმიევი | სოხუმი | 1 | 7 | 7 |
| 2 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 1 | 6 | 6 |
| 3 | ლამარ კარიმი | დინამო | 1 | 5 | 5 |
| 4 | ზურაბ კორკოტაძე | სტუ | 1 | 5 | 5 |

**ლეგიონერი**

# გუნდები იტალიაშიც იშლება




ვინც გუშინდელ ნომერში საკალათბურთო ლეგიონის მატჩების მიმოხილვა იხილა, ემახსოვრება, რომ **ნიკა მეტრეველი** სამშაბათს ელოდა - სწორედ ამ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო მისი და „ნაპოლის" ურთიერთობის საკითხი. იგი ნეაპოლურ გუნდთან ვარჯიშობდა და იმედოვნებდა, რომ მომავალ უქმეებამდე ყველაფერი მოგვარდებოდა და სერია B-ში თამაში აღარ გადაიდებოდა.

...მაგრამ მაინც გადაიდო. გუშინ ნიკამ იტალიიდან არასასიამოვნო ამბავი შეგვატყობინა:

*- „ნაპოლი" დაიშალა. გუნდი ჩემპიონატიდან უკვე მოხსნეს. კლუბის ხელმძღვანელობამ დღეს დილას დაგვიბარა, სიტუაციაში გაგვარკვია და ყველა კალათბურთელს დაემშვიდობა.*

როგორც ხედავთ, ასეთები იტალიაშიც ხდება. ნეაპოლური გუნდი აქამდეც აღმოჩენილა მსგავს სიტუაციაში. არადა, იყო დრო, ევროლიგაზეც თამაშობდა.

ახლა საინტერესოა, რას აპირებს ნიკა მეტრეველი. შეგახსენებთ, რომ კონტრაქტის მიხედვით იგი სიენას „მონტეპასკის" კუთვნილებაა, გასულ სეზონში „დინამო სასარიში" განათხოვრების წესით თამაშობდა. როგორც კალათბურთელმა გვითხრა, ნეაპოლიდან სიენაში გაემგზავრება, ვარჯიშს „მონტეპასკისთან" განაგრძობს და ახალ ვარიანტს დაელოდება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ნეაპოლში ჩასვლამდე მეტრეველს „ბრეშა" ეპატიჟებოდა. როგორც ჩანს, ეს ვარიანტიც გამოირიცხა:

*- „ბრეშადან" წინადადება მართლაც იყო, მაგრამ ახლა გვიანაა, ამ გუნდში ჩემი ამპლუის კალათბურთელი უკვე აიყვანეს. დაველოდები მენეჯერს და ვიმედოვნებ, რომ მალე მიპოვის ისეთ გუნდს, რომელშიც სათამაშო დრო საკმარისად მექნება,* - ესეც მეტრეველის სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ლეგიონერები

# ზიბზიბაძის კინკილა ლელო, მალაღურაძის ექვსი ქულა

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატ ფედერალ 1 დივიზიონში მეექვსე ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან სატურნირო ცხრილის სათავეში ალარავინაა. თუმცა პლეი ოფში გასვლის შანსს „შვიდი ქართული“ გუნდი ინარჩუნებს.**



შეტევაში თედო ზიბზიბაძე

A ჯგუფში მე-6 ტურის შემდეგ **შოთა მელიქიძისა** და **ავთანდილ კოპალიანის** „მაკონი“ 19 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ „ბურგ ან ბრესს“ ოთხი ქულით ჩამორჩება. ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად შეძლო „დიჟონის“ დამარცხება - 20:15.

მაკონელებს ორი ქულით ჩამორჩება და მეოთხე ადგილზეა **ზერო პეტრიაშვილის** „ვიენი“, რომელმაც სტუმრად მოუგო უმძიმეს მატჩში **გიორგი გაბელიას** „სენტ ეტიენს“ - 16:15. პეტრიაშვილი განაცხადში არ იყო, გაბელიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა. „სენტ ეტიენს“ 11 ქულა დაუგროვდა და XI ადგილზეა.

სენტეტიენელებს ერთი ქულით უსწრებს და მეშვიდე საფეხური უჭირავს **გიორგი ჯაშიტაშვილის** „შალონს“, რომელმაც სტუმრად დიდი ანგარიშით წააგო გათამაშების ლიდერ „ბურგ ან ბრესთან“ - 0:37. ჯაშიტაშვილი განაცხადში არ იყო.

შვიდი ქულით ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზეა **ელიზბარ ყუფარაძისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონი“, რომელმაც შინ წააგო მეორეადგილოსან „ლილთან“ - 9:25. ყუფარაძემ და გიგაურმა ძირითად შემადგენლობაში ითამაშეს.

ჯგუფის აუტსაიდერი კი **გიორგი სულუაშვილის** „სტრასბურია“, რომელმაც ექვს მატჩში მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება მოახერხა. სტრასბურელებმა ამჯერად სტუმრად წააგეს „ბობინისთან“ - 10:22. სულუაშვილი განაცხადში არ იყო.

### A ჯგუფი

**ბურგ ან ბრესი-შალონი 37:0, ბობინი-სტრასბური 22:10, სენტ ეტიენი-ვიენი 15:16, დიჟონი-მაკონი 15:20, მონლუსონი-ლილი 9:25**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბურგ ან ბრესი - 23 ქულა, 2. ლილი - 22, 3. მაკონი - 19, 4. ვიენი - 17, 5. ბობინი - 13, 6. დიჟონი - 13, 7. შალონი - 12, 8. სენტ ეტიენი - 11, 9. მონლუსონი - 7, 10. სტრასბური - 1.**

### VII ტური

**სტრასბური-ბურგ ან ბრესი, ვიენი-ბობინი, შალონი-დიჟონი, მაკონი-მონლუსონი, ლილი-სენტ ეტიენი.**

B ჯგუფში პლეი ოფში მოხვედრის შანსს ქართველ მორაგბეთა ოთხივე გუნდი ინარჩუნებს. მათ შორის **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარიც“, რომელიც ათი ქულით ბოლო ადგილზეა და საპლეიოფო ზონაში, მეოთხე ადგილზე მყოფ **დავით კაჭარავას** „როდეზს“ ოთხი ქულით ჩამორჩება.

მეექვსე ტურში ერთმანეთის პირისპირ სწორედ ეს გუნდები დადგნენ. როდეზელებმა, რომლებიც გათამაშების დებიუტანტები არიან, საკუთარ მოედანზე მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და დამაჯერებლად დაამარცხეს - 42:13.

**ბექა ურჯუკაშვილისა** და **თენგიზ გელანტიას** „ობენამ“, რომელიც 12 ქულით მეექვსე ადგილზეა, პირველი ქულები დააკარგვინა გათამაშების ლიდერ „ბურგუენს“. ობენელებმა შინ ფრეს მიაღწიეს - 24:24. ურჯუკაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, გელანტია განაცხადში არ იყო.

**ირაკლი ნინიძის** „რომანმა“ სტუმრად წააგო მეორეადგილოსან „ვალანსთან“ - 24:28. რომანელებს ახლა 11 ქულა აქვთ და მე-8 ადგილზე არიან.

### B ჯგუფი

**ბლანიაკი-ლა სეინი 35:28, ვალანსი-რომანი 28:24, როდეზი-შატორენარი 42:13, ობენა-ბურგუენი 24:24, აგდი-ლავორი 11:6.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბურგუენი - 25 ქულა, 2. ვალანსი - 17, 3. აგდი - 17, 4. როდეზი - 14, 5. ლავორი - 13, 6. ობენა - 12, 7. ლა სეინი - 12, 8. რომანი - 11, 9. ბლანიაკი - 11, 10. შატორენარი - 10.**

### VII ტური

**რომანი-ბლანიაკი, შატორენარი-ვალანსი, ლა სეინი-ობენა, ბურგუენი-აგდი, ლავორი-როდეზი.**

C ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან მხოლოდ ერთმა, **თედო ზიბზიბაძის** „პერიგომ“ ითამაშა, ხოლო **ბაჩუკი გუჯარაიძისა** და **შოთა ცხოვრებაშვილის** „სენ ნაზერის“ მატჩი **ნიკოლოზ მალალდაძის** „მარმანდთან“ გადაიდო.

პერიგოელებმა კი საკუთარ მოედანზე დიდი ანგარიშით დაამარცხეს „ვანი“ - 43:15. ზიბზიბაძემ 72-ე წუთზე ლელო გაიტანა და სამი წუთის შემდეგ შეცვალეს. „პერიგო“ 17 ქულით მეოთხე ადგილზეა.

„სენ ნაზერს“ 18 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-2 საფეხური უჭირავს, „მარმანდი“ კი ათი ქულით მეშვიდეა.

### C ჯგუფი

**ლანჟონი-აგეტმო 26:26, პერიგო-ვანი 43:15, სენ ჟან დე ლუზი-ნუარი 29:3, სენ ჟან დანჟელი-ტიროსი (გადაიდო), სენ ნაზერი-მარმანდი (გადაიდო).**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტიროსი - 22 ქულა, 2. სენ ნაზერი - 18, 3. სენ ჟან დე ლუზი - 18, 4. პერიგო - 17, 5. ლანჟონი - 15, 6. ვანი - 14, 7. მარმანდი - 10, 8. აგეტმო - 8, 9. სენ ჟან დანჟელი - 6, 10. ნუარი - 5.**

### VII ტური

**ნუარი-პერიგო, ვანი-ლანჟონი, აგეტმო-სენ ნაზერი, მარმანდი-სენ ჟან დანჟელი, ტიროსი-სენ ჟან დე ლუზი.**

D ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდმა წააგო. **მერაბ კვირიკაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „სენ ჟუნიენი“ სტუმრად ვერას გახდა გათამაშების ლიდერ „მონტობანთან“ - 0:34. კვირიკაშვილმა სრულად ითამაშა, მჭედლიშვილი მოედანზე 32-ე წუთიდან გამოჩნდა.

**ლაშა მალაღურაძისა** და **სიმონ მაისურაძის** „ბაგნერემ“ ასევე სტუმრად წააგო დაძაბულ ბრძოლაში „კასტანესთან“ - 21:23. მალაღურაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა და ორი საჯარიმო გაიტანა (ექვსი ქულა). მაისურაძეს არ უთამაშია.

### D ჯგუფი

**მონტობანი-სენ ჟუნიენი 34:0, ლურდი-ლანამეზანი 24:19, ლიმოჟი-ნევერი 22:15, სენ მედარი-ოლორონი 19:18, კასტანე-ბაგნერე 23:21.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. მონტობანი - 26 ქულა, 2. ოლორონი - 16, 3. ლურდი - 16, 4. ნევერი - 15, 5. ლიმოჟი - 15, 6. კასტანე - 14, 7. ლანამეზანი - 13, 8. სენ ჟუნიენი - 10, 9. სენ მედარი - 10, 10. ბაგნერე - 7.**

### VII ტური

**ლანამეზანი-ლიმოჟი, ნევერი-სმონტობანი, ოლორონი-ლურდი, სენ ჟუნიენი-კასტანე, ბაგნერე-სენ მედარი.**



რეზო გიგაური რაკში თამაშისას

საქართველოს ჩემპიონატი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# აიას რეკორდი და ჯიქების მარცხი დასავლეთში

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. განვლილი მე-8 ტურის მატჩების შედეგებმა სატურნირო ცხრილში მხოლოდ ერთი ცვლილება შეიტანა. ლიდერთა ჯგუფში ქუთაისის „აიამ“ და თბილისის „არმაზმა“ ადგილები გაცვალეს. ქუთათურები ახლა მესამე საფეხურზე არიან და ნელ-ნელა უახლოვდებიან „ლელოსა“ და „არმიას“ საგრძნობლად დაწინაურებულ დუეტს.**

მე-8 ტური იმითაც იყო გამორჩეული, რომ ქუთაისის „აიასა“ და თბილისის „აკადემიას“ შორის დაპირისპირებაში რეკორდული ანგარიში დაფიქსირდა. ქუთაისურმა გუნდმა შინ, „დინამოს“ სტადიონზე მეტოქეს 12 ლელო გაუტანა და დიდი ანგარიშით 76:8 მოუგო. ყველაზე მეტჯერ აკადემიელთა ჩათვლის მოედანში პოლონეთიდან დაბრუნებულმა ფულბეკმა **სერგო კვერნაძემ** შეაღწია, მის ანგარიშზე ოთხი ლელოა, ერთით ნაკლები მიითვალა გარემარბმა **ზურაბ ძნელაძემ**.

„აკადემიას“ ასეთი ანტიგმირობის მიზეზი სეზონის წინ წამყვანი მოთამაშეების დაკარგვაა, რასაც ჩემპიონატის მიმდინარეობისას გახშირებული ტრავმიანობა დაემატა. ერთი სიტყვით, თბილისურმა გუნდმა „აიას“, რომელიც ნელ-ნელა შედის სათამაშო ფორმაში და ყველასთვის მრისხანე ძალა ხდება, წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ქუთათურთა გუნდისთვის კვერნაძე კარგი შენაძენია, როგორც უკვე ვთქვით, ის ამპლუით ფულბეკია, მაგრამ „აკადემიასთან“ მატჩში შუამარბად მოგვევლინა და ამ პოზიციაზე უფრო ნაყოფიერი გამოდგა. სათამაშო ფორმის აღდგენის პროცესშია საფრანგეთიდან მობრუნებული ცხრა ნომერი **გიორგი როხვაძე**, რომელიც ორიოდ წლის წინათ ეროვნული ნაკრების კანდიდატადაც განიხილებოდა.

საკმაოდ დაძაბული გამოდგა მატჩი ბათუმში, სადაც ადგილობრივმა გუნდმა გათამაშების დებიუტანტ თბილისის „ილიაუნი ჯიქს“ უმასპინძლა და 18:12 დაამარცხა. ლელოს გატანა ვერც-ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა. მასპინძელთა ექვს საჯარიმოს კი „ჯიქებმა“ ოთხით უპასუხეს.

მიუხედავად იმისა, რომ „ჯიქებმა“ სტარტი კარგად აიღეს, ბოლო ორ ტურში ორივე შეხვედრა წააგეს და სატურნირო ცხრილში, მესამე საფხურიდან მეხუთეზე ჩამოქვეითდნენ. ამ ახალგაზრდულ გუნდს, რომელსაც შემართება არ აკლია, ჯერ კიდევ მეტი გამოცდილება სჭირდება, რათა ჩემპიონატის ჭეშმარიტ ლიდერად ჩამოყალიბდეს. ამასთან ერთად, ცუდი არ იქნებოდა, ორ ან სამ გამოცდილ მოთამაშესაც თუ დაიმატებდა, რომლებიც გადამწყვეტ მომენტში სწორ ტაქტიკას აირჩევენ და უფრო ეფექტურადაც გაირჯებიან.

„ილიაუნი ჯიქის“ მარცხი ბათუმში, სავარაუდოდ, იმანაც განაპირობა, რომ მთავარი მწვრთნელი **გიორგი ამირხანაშვილი** სოფიაში იმყოფებოდა, ბულგარეთისა და ავსტრიის ეროვნული გუნდების თამაშის სამსაჯოდ. ის შეხვედრა მასპინძლებმა 12:7 მოიგეს.

საინტერესო გამოდგა ქვეყნის ჩემპიონის, „არმიასა“ და მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერის, თბილისის „ყოჩების“ დაპირისპირების საწყისი 60 წუთი. ამ დროის განმავლობაში „ყოჩები“ მეტოქეს ტოლ-სწორად ეპაექრებოდნენ და ანგარიშში წინ იყვნენ კიდეც - 19:17. დასკვნით ოც წუთში არმიელებმა კარგი ფიზიკური კონდიციების წყალობით მაინც შეძლეს მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა - 34:19.

თბილისის „ლოკომოტივისა“ და რუსთავის „ხარების“ მატჩში კი უშელავათო ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში შედგა. რკინიგზელებმა გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შესვენების შემდეგლა შეძლეს და დაგეგმილი გამარჯვება მიითვალეს.

გაცილებით საინტერესო მატჩის მოლოდინი ჰქონდათ ქომაგებს ტურის ცენტრალურ მატჩში, რომელშიც გათამაშების ლიდერმა „ლელომ“ ახლა უკვე მეოთხე ადგილზე მყოფი თბილისის „არმაზი“ დაამარცხა - 27:11. არმაზელებმა ამ მატჩში თავისი შესაძლებლობის ნახევრის გამოვლენაც ვერ შეძლეს, რადგან ტრავმის გამო მგეზავი **დავით კიკნაძე** აკლდათ, რომელიც გუნდის თამაშის მთავარი წარმმართველია.

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 8 | 7 | 0 | 1 | +119 | 33 |
| 2. არმია | 8 | 7 | 0 | 1 | +96 | 32 |
| 3. აია | 8 | 5 | 1 | 2 | +103 | 25 |
| 4. არმაზი | 8 | 5 | 0 | 3 | +20 | 21 |
| 5. ჯიქები | 8 | 4 | 0 | 4 | +13 | 20 |
| 6. ლოკომოტივი | 8 | 3 | 1 | 4 | +17 | 18 |
| 7. ბათუმი | 7 | 3 | 0 | 4 | -22 | 14 |
| 8. ხარები | 7 | 2 | 0 | 5 | -77 | 9 |
| 9. ყოჩები | 8 | 1 | 0 | 7 | -75 | 7 |
| 10. აკადემია | 8 | 1 | 0 | 7 | -194 | 5 |

### IX ტური

**ილიაუნი ჯიქი-არმაზი, არმია-ბათუმი, ყოჩები-აია, აკადემია-ლოკომოტივი, ხარები-ლელო.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგვალაძემ**

კრივი. ინტერვიუ ფლოიდ მეივეზერთან

# მე ღმერთის რჩეული ვარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მწერალმა და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორმა მაიკლ ერიკ დაისონმა ინტერვიუ ჩამოართვა თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივეს, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელ ფლოიდ მეივეზერს. ამერიკელი საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა...**



**- როგორ ახერხებ იყო მოტივირებული? უკვე 35 წლის ხარ, 16 წელია რინგზე დგახარ, მიუხედავად ამისა, საკუთარი შესაძლებლობების პიკზე იმყოფები და ისევ გინდა მოგება...**

- შეიძლება ითქვას, რომ ამას ფულის გამო ვაკეთებ. გარდა ამისა, მინდა საუკეთესო ვიყო ისტორიაში. ჩემსა და სხვა ნებისმიერ მოკრივეს შორის განსხვავებაა ის არის, რომ ისინი ნიჭიერები არიან, მე კი ღმერთის რჩეული ვარ. ღმერთი ყველას ინდივიდუალურად აჯილდოებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ფლოიდ მეივეზერი - ეს უფრო მეტია, ვიდრე კარგი მანქანები, მილიონობით დოლარი. საქმე ისაა, რომ გაცემაც უნდა იცოდე. მიყვარს იმათთვის ფულის გაყოფა, ვინც ნაკლებად წარმატებულია, საჩუქრების გადაცემა საზოგადოებრივი სკოლებისთვის. ეს ის არის, საიდანაც მე მოვდივარ - რთული, სასტიკი ცხოვრება. დედაჩემი ნარკომანი იყო, მამა ნარკოტიკებით ვაჭრობდა, შემდეგ კი ციხეში აღმოჩნდა.

**- ამ ყველაფრის ფონზე, როგორ გადარჩი?**

- გარკვეული დროის განმავლობაში მამაჩემთან ვიყავი. შემდეგ დედასთან გადავედი ნიუ ჯერსიში. იქ შვიდნი ვცხოვრობდით ერთ ოთახში. გათბობა არ გვქონდა, ხანდახან არც შუქი. დედაჩემი მუდმივად ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ იყო. ბოლოს და ბოლოს, მამაჩემთან მიჩიგანში დავბრუნდი. დედას ვთხოვდი დაბრუნებას და ისიც ჩამოვიდა ჩვენთან. ბედნიერი ვიყავი ამის გამო, მაგრამ ნარკოტიკებს ისევ მუდმივად ილებდა. მე ვნახე, როგორ მიჰყიდა მამაჩემმა დედაჩემს ნარკოტიკი. მე ძლიერი პიროვნება ვარ, შემიძლია ეს ყველაფერი გავიარო. იმ დღეებმა უფრო ძლიერად მაქცია.

**- როგორია ეფექტი, როცა მამა არ არის შვილის გვერდით?**

- ვერ ვიტყვი, რომ მამა ჩემ გვერდით არ იყო. ეს არ იქნება მართალი. მამა ჩემთან იყო, მაგრამ მხოლოდ საკრივო დარბაზში. მივყავდი იქ და შემდეგ შინ ერთად ვბრუნდებოდით. არასოდეს წავსულვართ ერთად კინოში, ბოულინგის სათამაშოდ, ერთად არ ვსადილობდით, საერთოდ არაფერზე არ ვლაპარაკობდით, როგორც მამა და შვილი. ჩემი ურთიერთობა მამასთან მხოლოდ კრივს ეხებოდა. კრივი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა არაფერი.

**- მამასთან ჩვეულებრივი ურთიერთობა არ გქონიათ...**

- მე დავდივარ ჩემი ორი ვაჟის თამაშებზე, არ ვცდილობ მათ რამე ვაიძულო. რაც შემეხება მე, იძულებული ვიყავი კრივში მევარჯიშა.

**- შენ თქვი, რომ ღმერთისგან ბოძებული ნიჭი გაქვს, ამასთან, იძულებული იყავი, კრივი აგერჩია. როგორ ფიქრობ, იქნებ მამაშენი იყო ღმერთისთვის ინსტრუმენტი, რათა დარწმუნებული ყოფილიყო იმაში, რომ მოკრივე გახდებოდი?**

- მამამ დაიწყო ჩემი კარიერა. ჩვენ შორის გრძნობა არ ყოფილა, რადგან ის თავის გზას ადგა. მას არ უნდოდა, რომ დედა მყვარებოდა. მას ჰგონია, რომ ყველაფერი, რასაც კრივში მივაღწიე, მისი დამსახურებაა და ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადო. მე კი ვცდილობ, მას ვუთხრა, რომ ის ღმერთი არ არის. მხოლოდ მისი მადლიერი არ უნდა ვიყო. არიან კიდევ ბიძა როჯერი და დედაჩემი. ისინი, ჩემი ნათესავები, შვილები სტიმულს მაძლევენ საკრივო დარბაზში ვიარო. ჩემი შვილებისთვის ვშრომობ. ბევრი ფული ვიშოვე. კომფორტულად ვარ. სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად შემიძლია ვიცხოვრო. ბევრი ამბობს: "ფლოიდ მეივეზერს ბევრი ფული აქვს და პრობლემა არ გააჩნია". პრობლემა კი ბევრია.

ივნისში ციხეში ვიჯექი. ერთადერთი, რაც დამრჩა, უკეთესის იმედად უნდა ვიყო და პოზიტიური განწყობა შევინარჩუნო. ისინი ვერ დამამარცხებენ. მაინც ძლიერი ვიქნები.

**- მახსოვს Jay-Z-ის პრობლემები 1999 წელს (ის ეჭვმიტანილი იყო თავისი კონკურენტისთვის დანით ჭრილობის მიყენებაში). მან განაცხადა: "თქვენ ჩემზე ბრაზობთ იმის გამო, რომ ახალგაზრდა ვარ, მდიდარი, სახელგანთქმული და ამასთან, შავი". არ მიგაჩნია, რომ ხალხი შენი წარმატების გამო იმიტომაა გაღიზიანებული, რომ შავი ხარ?**

- არ მგონია, რომ მე ოდესმე ვინმემ გამიგოს. ვერავინ ვერასოდეს მიხვდება ჩემს ტკივილს.

**- რატომ?**

- მამაჩემი ახალი დაჭერილი იყო. მე და ჩემმა მეგობარმა ნარკოტიკების სამყაროში შესვლა გადავწყვიტეთ. ბევრი ვილაპარაკეთ ამის შესახებ. ვუთხარი, რომ მზად ვიყავი. მასთან სახლში წავედით.

**- რამდენი წლის იყავით?**

- თექვსმეტის. მასთან სახლში მივედით და რაღაცამ მიკარნახა: "არა". მან მითხრა: "დაივიწყე. მე გავაკეთებ ამას". და გააკეთა. ახლა ის მკვდარია.

**- რასიზმი 2012 წელსაც რეალობაა, მიუხედავად იმისა, რომ შავკანიანი პრეზიდენტი გვყავს. ხალხი ამბობს, რომ ამჟამად პოსტრასისტული ეპოქაა, თუმცა ჩვენ გვესმის, რომ ეს ასე არ არის. არ ფიქრობ, რომ რასა აყალიბებს შენზე წარმოდგენას - შენ ხარ შესანიშნავი მოკრივე, სიმპათიური მამაკაცი, ჭკვიანი, მდიდარი და საკუთარ თავში დარწმუნებული, მკაფიოდ აყალიბებ საკუთარ აზრებს. ზოგიერთები ამბობენ, რომ თვითდაჯერებულიც კი. რა იტყვი ამის შესახებ?**

„ნარკოტიკებს ისევ მუდმივად ილებდა. მე ვნახე, როგორ მიჰყიდა მამაჩემმა დედაჩემს ნარკოტიკი..."

- ამ თემას სხვადასხვაგვარად შეიძლება მივუდგეთ. მაგალითად, ჩემი პიროვნების გათვალისწინებით. მე პირდაპირი ვარ მაშინ, როცა საკუთარი აზრი გამაჩნია რაიმე ასპექტზე. რაც შეეხება სიტუაციას ჯერემი ლინთან (NBA-ის კალათბურთელი) დაკავშირებით, მე გამოვხატე ჩემი აზრი.

**- რა თქვი ჯერემი ლინზე?**

- თავიდანვე ვთქვი, რომ ჯერემი ლინი - კარგი მოთამაშეა, მაგრამ შემდეგ დავამატე - ის პოპულარულია იმის გამო, რომ წარმოშობით აზიელია. შავკანიანი მოთამაშეებიც იმავეს აკეთებენ მოედანზე, მაგრამ ასეთ ქებას არ იმსახურებენ. არ დავასახელებ კონკრეტულ სახელებს, მაგრამ, როცა ჯერემი ლინზე ჩემი პოზიცია გამოვხატე, NBA-ის ბევრმა მოთამაშემ დამირეკა და მითხრა: "მადლობა, ფლოიდ. შენ თქვი ის, რისი თქმაც ჩვენ მხოლოდ პირად საუბარში შეგვიძლია". მოთამაშეები ჩუმად უნდა იყვნენ, მათ არ აქვთ ლაპარაკის უფლება. ამბობენ, რომ მე რასისტი ვარ. მაგრამ მე უკვე მითქვამს, რომ ჩემს გუნდში არიან რასისტები, მუსლიმანები, კათოლიკეები - ამას არ აქვს მნიშვნელობა.

**- რასისტს რატომ გიწოდებენ?**

- იმიტომ, რომ მე მხარს ვუჭერ შავ ამერიკას, მაგრამ ეს ნორმალურია. ნორმალურია ის, რომ პუერტორიკოელი პუერტორიკოელს დაუჭერს მხარს, კუბელი კუბელს. ნორმალურია, როცა ვინმე ჩამოდის ამერიკაში, საკუთარი დროშა ჩამოაქვს, ქუჩაში აფრიალებს და თავისიანებს უჭერს მხარს. ასე რომ, ეს ნორმალური სიტუაციაა, როცა მე, პირველ რიგში, საკუთარ ხალხს - შავ ამერიკას ვუჭერ მხარს.

**- მოჰამედ ალი ძალიან სწორხაზოვანი იყო. როგორ ფიქრობ, რა ვისწავლეთ მისგან?**

- ალი ჯერ ისევ რჩება ძალიან კარგ მოტივატორად. ალი სწორედ ის არის, ვინც გვაიძულა გვეთქვა: "იცით რა? მე ვამაყობ იმით, რომ შავი ვარ". მე და ალის ახლა ლაპარაკი რომ შეგვეძლოს, ეს გიჟური საუბარი იქნებოდა. ის მეტყოდა: "ფლოიდ, მე შენზე უკეთესი ვარ, რადგან მე გავაკეთე ეს". მე კი ვეტყოდი: "არა, ალი, მე ვარ შენზე მაღლა იმის გამო, რომ შენ არ გაგივლია ამდენი წონითი კატეგორია". ვგრძნობ, რომ მე იმავე პოზიციაში ვარ, როგორშიც ალი - მე ვერ მიტანენ, როცა მწვერვალზე ვარ, მაგრამ, როცა ჩემი კარიერა დასრულდება, ჩემ გარეშე მოიწყენენ.

**- შენ ის ხარ, ვისთვისაც ფული მთავარია. ბევრმა სპორტსმენმა იშოვა დიდი ფული, მაგრამ შემდეგ გაანიავა ან მენეჯერებმა გაქურდეს. იმის გათვალისწინებით, რამდენად მდიდარი ხარ, ფრთხილად უნდა იყო.**

- ჩემ გვერდით არიან ადამიანები, რომლებსაც მაგისტრის ხარისხი აქვთ. თუ ტვინი გიმუშავებს, იმასაც მიხვდები, რომ შენ გვერდით ჭკვიანი ადამიანები უნდა იყვნენ. დავამთავრე თუ არა სკოლა? არა, მივატოვე, რათა დედაჩემისთვის უკეთესი ცხოვრება მიმეცა და საკუთარ ოჯახზე მეზრუნა. ვიცოდი, რომ სკოლა არსად გაიქცეოდა, ხოლო ის შესაძლებლობა, რომელიც მე გამიჩნდა, მხოლოდ ერთხელ მოდის. ჭკვიანი ადამიანებით ვარ გარშემორტყმული და ამიტომაც ვარ იქ, სადაც ახლა მხედავთ.

**- ბევრ ადამიანს უნდა იყოს შენთან ახლოს, რადგან შენ ფლოიდ მეივეზერი ხარ...**

- მე არ მჭირდება ახალი მეგობრები. საკუთარ წრეში ვრჩები. ჩვენ ოჯახი ვართ.

**- როცა ბარაკ ობამა მივიდა თეთრ სახლში, მანაც ასე თქვა: "არანაირი ახალი მეგობრები". ფლოიდ მეივეზერი ობამას პრინციპებს მისდევს.**

- მე მქონდა ობამასთან ურთიერთობა მანამ, სანამ ის პრეზიდენტობის კანდიდატი გახდებოდა. ბარაკ ობამა - კარგი ბიჭია. ყველაზე მაგარი პრეზიდენტი, ვისაც ოდესმე შევხვედრივარ.

**- რას იტყვი საკრივო დარბაზში შენი და ობამას შეხვედრაზე? იქნებ, ობამა უნდა დაესწროს საკრივო შეხვედრებს შენი მონაწილეობით?**

„შემიძლია მოგცეთ გარანტია, თუ მე პაკიაოსთან ბრძოლა მომიწევს, მოვახერხებ იმას, რომ რინგზე ობამა გამიძღვეს და თან ჩემი საჩემპიონო ქამარი წამოიღოს..."

- თუ იმის გაგება გსურთ, რამდენად გავლენიანია ფლოიდ მეივეზერი, შემიძლია მოგცეთ გარანტია, თუ მე პაკიაოსთან ბრძოლა მომიწევს, მოვახერხებ იმას, რომ რინგზე ობამა გამიძღვეს და თან ჩემი საჩემპიონო ქამარი წამოიღოს.

**- რა არის საჭირო იმისთვის, რომ შენ და პაკიაო რინგზე შეხვდეთ ერთმანეთს?**

- მე მას 40 მილიონი შევთავაზე. მან თქვა, რომ ჰონორარის თანაბრად გაყოფა უნდა. თუ შენ ვერ აგროვებ ისეთ სარეკორდო ტელეაუდიტორიას, როგორსაც ფლოიდ მეივეზერი, როგორ შეგიძლია მოითხოვო ჰონორარის თანაბრად განაწილება?!

მე კმაყოფილი ვარ ჩემი კარიერით. სპორტში არაფერი მაქვს დასამტკიცებელი. მინდა თუ არა მენი პაკიაოსთან ჩხუბი? რა თქმა უნდა. მაგრამ თუ ეს არ მოხდება, ე. ი. ასე ყოფილა საჭირო.

**- პირადად შეხვედრიხარ მას?**

- არასოდეს.

**- ვიცით, რომ ტელეფონით ელაპარაკე...**

- დიახ, დავურეკე ბრძოლაზე მოსალაპარაკებლად.

**- რაზე ილაპარაკეთ?**

- დავურეკე და ვუთხარი: "მოდი, ბრძოლაზე მოვილაპარაკოთ". მან მითხრა, რომ ჰონორარის 50 პროცენტს ითხოვს. მაგრამ ჩემი წინადადება არ შეიცვლება. 40 მილიონი - ან იღებ ამ თანხას, ან მიდიხარ. როგორც უკვე ვთქვი, მენი პაკიაოს სჭირდება ფლოიდ მეივეზერი და არა პირიქით.

**- მოდით, ფსონებზე ვილაპარაკოთ. საკალათბურთო მატჩებზე თამაშობ?**

- ამერიკულ ფეხბურთზე, კალათბურთზე, ხანდახან კრივზე.

**- საკუთარ თავზეც აკეთებ ფსონს?**

- არა. საკუთარ თავზე ფულს არ ვდებ. მაგრამ ბოლო ბრძოლაზე 50 Cent-ი (ცნობილი რეპერი კერტის ჯექსონი, მეივეზერის საუკეთესო მეგობარი) ჩემს მოგებაზე 400 ათასს ჩავიდა. მან იწინასწარმეტყველა, რომ ბრძოლა ნაადრევად დასრულდებოდა.

**- არსებობს საშუალო თანხა, რომელიც ფსონებზე გამოიმუშავე?**

- ამ მომენტისთვისს 500 ათასი მაქვს მოგებული.

**- უფრო ხშირად იგებ თუ აგებ?**

- დიდი თანხა წამიგია, მაგრამ დიდი ფსონებიც მაქვს მოგებული. ასე რომ, მშვიდად ვარ.

**- კარიერის დასრულებაზე გიფიქრიათ?**

- 37 წლის ასაკში წავალ.

**გია თვალაბეიშვილი**

● კალათბურთი. NBA. 2012-13 წელი

# სეზონის წინ: სან ანტონიო სპურსი

**სან ანტონიო სპურსი 2011-12**

**თავდასხმა:** საშუალოდ 108,5 ქულა - პირველი ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 100,6 ქულა – მე-11 ლიგაში

**წინა ხაზი**

"სპურსისთვის" გასული ზაფხული საკმაოდ მშვიდი იყო. **ბორის დიაომ** და **ტიმ დანკანმა** ახალი კონტრაქტები გააფორმეს. **კავაი ლეონარდი**, რომელიც ლიგის ხუთ საუკეთესო დებიუტანტს შორის მოხვდა, თამაშის დახვეწას ეცდება. ერთადერთი, ვისი ბედიც გაურკვეველია – **დეჟუან ბლერი** გახლავთ, რომელსაც, სავარაუდოდ, გუნდი სეზონის მსვლელობისას გამოეთხოვება.

**შეფასება:** 4

**უკანა ხაზი**

ოლიმპიადის მსვლელობისას 35 წლის გახდა **მანუ ჯინობილი. ტონი პარკერი** 30 წლისაა. მაგრამ მათი დამხმარეებისთვის კლუბის ხელმძღვანელობას არ უზრუნია. იმიტომ, რომ ამ ორს უბრალოდ არ სჭირდება სხვისი დახმარება.

**შეფასება:** 4

**დაცვა**

გუნდს ფორმაში შესვლის პრობლემა არ ექნებოდა, რადგან "სპურსის" შემადგენლობიდან ექვსი კალათბურთელი ოლიმპიურ თამაშებში იღებდა მონაწილეობას. დიაო, **დე კოლო** და პარკერი საფრანგეთს წარმოადგენდნენ, **ტიაგო სპლიტერი** – ბრაზილიას, **პატრიკ მილზი** – ავსტრალიასა და ჯინობილი – არგენტინას.

**შეფასება:** 4

**სათადარიგოთა სკამი**

სათადარიგოთა სკამის შემადგენლობა კარგად არის დაკომპლექტებული. მაგრამ გუნდმა დაკარგა მთავარი მწვრთნელის ორი ასისტენტი. **დონ ნიუმენმა** ვაშინგტონში იპოვა სამუშაო, **ჟაკ ვონი** კი "ორლანდოს" მთავარი მწვრთნელი გახდა.

**შეფასება:** 4

**მწვრთნელი**

**გრეგ პოპოვიჩი**, თავის მხრივ, არ მონაწილეობდა ზაფხულის ოლიმპიადაში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის მთელ თავის სამწვრთნელო ენერგიას დამდეგ რეგულარულ სეზონს მოახმარს, რაც შეიძლება სავალალოდ დასრულდეს ლიგის დანარჩენი 29 გუნდისთვის.

**შეფასება:** 5

**საბოლოო შეფასება**

თუ განვსაზღვრავთ გუნდის ხელმძღვანელობის ყველაზე მნიშვნელოვან მოქმედებას ამ ზაფხულს, ეს არის საკუთარი მოთამაშეებისთვის კონტრაქტის გაგრძელება. მაინცდამაინც შთამბეჭდავად არ ჟღერს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბორის დიაო, ტიმ დანკანი და **დენი გრინი** შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტები იყვნენ და თავისუფლად შეიძლებოდა სხვა კლუბებში აღმოჩენილიყვნენ.

სანამ დანკანი, ჯინობილი და პარკერი მწყობრში არიან, "სპურსს" პრაქტიკულად არ აქვს სუსტი მხარეები. როგორც კი ერთ-ერთი მათგანი დაასრულებს კარიერას, აუცილებელი გახდება ახალგაზრდებზე აქცენტის გაკეთება, რომლებმაც იმ დროისთვის უნდა მოასწრონ გამოცდილების მიღება და დაამტკიცონ, რომ ამ დიად გუნდში ყოფნას იმსახურებენ.

**საერთო შეფასება:** 4



# ფავორიტები: ჰიტი და ლებრონი

ახალი სეზონის წინ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოკითხვა ჩაატარა ლიგის ყველა კლუბის გენერალურ მენეჯერთა შორის.

გაირკვა, რომ მათი 66.7 პროცენტი მომავალი სეზონის საუკეთესო მოთამაშედ „მაიამი ჰიტის" ლიდერ **ლებრონ ჯეიმსს** ასახელებს.

30 პროცენტი მიიღო „ოკლაჰომას" ფორვარდმა **კევინ დურანტმა**, 3.3 პროცენტი - **კარმელო ენტონიმ** („ნიუ იორკი").

გენერალურ მენეჯერებს კიდევ ერთი კითხვა დაუსვეს - რომელი გუნდი მოიპოვებს 2012-13 წლებში ჩემპიონის ტიტულს. „მაიამიმ" ხმების 70 პროცენტი მიიღო. მეორე ადგილზეა „ლეიკერსი" - 23.3 პროცენტი, 6.7 პროცენტი ერგო - „ოკლაჰომას".

■ ■ ■

„მემფის გრიზლისის" მცველი **გილბერტ არენასი** 2012-13 წლების სეზონის დასრულების შემდეგ ჩინეთში გადაბარგებას აპირებს, - წერს სააგენტო AP. როგორც იტყობინებიან, კალათბურთელი სერიოზულად განიხილავს ჩინეთის ჩემპიონატში მონაწილე რამდენიმე გუნდის წინადადებას და იმ შემთხვევაში, თუ დამდეგ სეზონში სოლიდურ სათამაშო დროს არ მისცემენ, ოკეანის გაღმა გადაბარგდება.

მსოფლიოს უძლიერესი ლიგაში გატარებული 12 სეზონის განმავლობაში, არენასი საშუალოდ 20.7 ქულასა და 5.3 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

**ტორონტო–მილუოკი 104:95**

23:27, 24:21, 27:29, 30:18

ტ: დეროზანი (21), ბარნიანი (17), ლაური (15+6 პასი+5 მოხსნა), ვალანჩუნასი (10+8 მოხსნა+4 დაფარება), ჯონსონი (10), ანდერსონი (10).

მ: ელისი (26+5 პასი), დანლივი (21+5 მოხსნა), ილიასოვა (19+7 მოხსნა), დალემბერი (6+11 მოხსნა).

**ფილადელფია–ნიუ იორკი 98:90**

26:23, 36:21, 14:28, 22:18

ფ: რიჩარდსონი (23+7 მოხსნა+6 პასი), ტ. იანგი (22+8 მოხსნა), უილკინსი (12+5 მოხსნა), აივი (12+5 პასი), ალენი (8+13 მოხსნა).

ნ-ი: ენტონი (23+6 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), ფელტონი (23), კოუპლენდი (15), ჩენდლერი (9+11 მოხსნა).

**დალასი–ნიუ ორლეანი 87:74**

25:10, 20:19, 21:21, 21:24

დ: მაიო (13), კრაუდერი (12), ბობუა (12), კარტერი (11+7 მოხსნა), მერიონი (8+12 მოხსნა).

ნ-ო: ლოპესი (14+11 მოხსნა), ანდერსონი (14+9 მოხსნა), ამინუ (10+8 მოხსნა), დევისი (6+17 მოხსნა).

**ფინიქსი–საკრამენტო 103:88**

21:25, 29:19, 26:21, 27:23

ფ: დადლი (25), ბიზლი (15+6 მოხსნა), მორისი (14+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბრაუნი (12), სკოლა (11+9 მოხსნა), გორტატი (3+12 მოხსნა+4 დაფარება).

ს: რობინსონი (17+8 მოხსნა), ტომპსონი (14+6 მოხსნა).

**პორტლენდი–იუტა 120:114**

41:26, 29:20, 24:27, 26:41

პ: ბატუმი (27+3 ჩაჭრა), ლილარდი (21+8 პასი), ჰიქსონი (16+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მეტიუზი (15+5 პასი), ფრილენდი (11).

ი: კანტერი (18+6 მოხსნა), მო უილიამსი (15+7 პასი), ჯეფერსონი (14), ბერქსი (14), ფეივორსი (12+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ფოიე (10+5 პასი).

**კლიპერსი–გ. სტეიტი 88:71**

27:19, 25:20, 27:14, 9:18

კ: ჯორდანი (18+12 მოხსნა+3 დაფარება), გრიფინი (14+7 მოხსნა+6 პასი), პოლი (11+9 პასი), ჰოლინზი (10+7 მოხსნა+3 დაფარება), ტურიაფი (6+11 მოხსნა)

გ-ს: ჯეკი (14+6 მოხსნა+5 პასი), ლი (12+9 მოხსნა).

● ჰოკეი

# ნოემბერი გაუქმდება

## ლოკაუტი სერიოზულად გაიწელა

ოკეანის გაღმა ვარაუდობდნენ, რომ დაპირისპირებული მხარეები დიალოგის გაგრძელების სურვილს გამოთქვამდნენ, მაგრამ ლიგა და პროფკავშირები თავიანთ პოზიციებზე დარჩნენ და არ ისურვეს ახალი შეხვედრის ვადის დათქმა.

*„თუ ერთმანეთისთვის არაფერი გვაქვს სათქმელი, შეხვედრის დანიშვნასაც აზრი ეკარგება"*, - განაცხადა NHL-ის ვიცე-პრეზიდენტმა **ბილ დეილიმ.**

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ლიგამ საკუთარი წინადადება შესთავაზა მოთამაშეებს, რომელიც უარყო პროფკავშირმა და შემხვედრი სამი შეთავაზება დაახვედრა კლუბების მფლობელებს. თავის მხრივ, ლიგის ხელმძღვანელობამაც არ მოიწონა პროფკავშირის წინადადებები.

ვარაუდობენ, რომ მხარეები დღეს შეხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ უკვე საეჭვოა, რომ შეიძლება 82-მატჩიანი კალენდრის გადარჩენა.

თუ უახლოეს დროში წინსვლა არ იქნება, ლიგა გააუქმებს სეზონის მნიშვნელოვან ნაწილს - სავარაუდოდ, ნოემბრის ყველა მატჩს. ეს იმიტომ, რომ არენების მფლობელებმა შეძლონ გარკვეული თანხის გამომუშავება გამოფენებისა და კონცერტების ჩატარებით.

უფრო შორს მიდის გაზეთი Toronto Sun, რომელიც წერს, რომ რამდენიმე კლუბის მფლობელი მეტად ხისტ პოზიციაზეა და უკვე დღეს ითხოვს მთელი




სეზონის გაუქმებას, მაგრამ NHL-ის კომისარი **გერი ბეტმენია** წინააღმდეგი, რადგან მას მიაჩნია - მოლაპარაკების შანსი კიდევ არსებობს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

**UNDER 17**

| | |
|---|---|
| პოლანდია-ლატვია | 2:1 |
| ბელგია-ლიტვა | 2:0 |
| ინგლისი-უელსი | 1:0 |
| ესტონეთი-ჩრ. ირლანდია | 1:1 |
| უნგრეთი-იტალია | 3:2 |
| ლიხტენშტაინი-ალბანეთი | 0:6 |

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ნორდსილანდი-იუვენტუსი | 1:1 |
| შახტარი-ჩელსი | 2:1 |
| ბატე-ვალენსია | 0:3 |
| ლილი-ბაიერნი | 0:1 |
| სპარტაკი-ბენფიკა | 2:1 |
| ბარსელონა-სელტიკი | 2:1 |
| გალათასარაი-კლუჟი | 1:1 |
| მანჩესტერ იუნ-ბრაგა | 3:2 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-კრ. პალასი | 1:1 |
| ბრისტოლი-ბარნლი | 3:4 |
| კარდიფი-უოტფორდი | 2:1 |
| იფსვიჩი-დერბი | 1:2 |
| ლიდსი-ჩარლტონი | 1:1 |
| ლესტერი-ბრაიტონი | 1:0 |
| მიდლსბრო-ჰალი | 2:0 |
| მილუოლი-ბირმინგემი | 3:3 |
| პიტერბრო-ჰადერსფილდი | 3:1 |
| ვულვზი-ბოლტონი | 2:2 |
| ბლაკპული-ნოტინგემი | 2:2 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრენტფორდი-ქოვენთრი | 2:1 |
| ბერი-ჰარტლპული | 2:1 |
| კარლაილი-ოლდჰემი | 3:1 |
| ქროული-მილტონი | 2:0 |
| ქრიუ-სუინდონი | 2:1 |
| ლეიტონი-კოლჩესტერი | 0:2 |
| ნოტსი-ბორნმუთი | 3:3 |
| სკანთორფი-პრესტონი | 2:3 |
| შეფილდი-მილუოლი | 1:0 |
| შრიუსბერი-იეოვილი | 1:3 |
| სტევენეიჯი-პორტსმუთი | 2:1 |
| ტრანმერი-დონკასტერი | 1:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-იორკი | 0:1 |
| უიმბლდონი-როვერსი | 3:1 |
| ბარტონი-პორტ ვეილი | 1:1 |
| ჩელტენემი-პლიმუტი | 2:1 |
| ჩესტერფილდი-ფლიტვუდი | 1:2 |
| დაგენჰემი-ექსეტერი | 1:1 |
| ნორთჰემპტონი-ბრედფორდი | 0:1 |
| როჩდეილი-ოქსფორდი | 2:0 |
| როტერჰემი-მორეკამბი | 2:1 |
| საუთენდი-ალდერშოტი | 1:2 |
| ტორკი-ჯილინგემი | 2:1 |
| უიკომბი-ბარნეტი | 0:0 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| ჰალიფაქსი-ლინკოლნი | 0:2 |
| ნანიტონი-ტელფორდი | 0:0 დ.დ. 1:0 |
| დარტფორდი-ფორესტ გრინი | 1:4 |
| ნიუპორტი-იეტი | 1:1 დ.დ. 1:3 |
| ისტ ტაროკი-ჩელმსფორ. | 2:2 პენ. 3:5 |
| გოსპორტი-სლოუ | 1:2 |

**სლოვაკეთის თასი**

| | |
|---|---|
| შენიცა-ჟილინა | 1:2 |
| ბისტრიცა-ტრნავა | 2:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| სლავია-ტორპედო | 3:2 |

**ბოსნიის თასი**

| | |
|---|---|
| ჟელეზნიჩარი-სლავია | 3:0 |

**ლიტვის თასი**

| | |
|---|---|
| კრუოია-პალანგა | 5:0 |
| შიაულიასი-ჟალგირისი | 0:3 |
| ნევეჟისი-ლიეტავა | 0:1 |
| ტრაკაი-ვენტა | 4:0 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-ს. იულიაევი | 5:2 |
| მეტალურგი (ნ)-აკ ბარსი | 1:2 |
| სიბირი-ნეფტეხიმიკი | 4:5 |
| დინამო (რ)-ტრაქტორი | 3:5 |
| სლოვანი-ცსკა | 2:3 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ზაგრები-ალბა | 5:3 |
| ოლიმპია-ინსბრუკი | 6:3 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-მიუნხენი | 6:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-ესბერგი | 4:2 |
| ჰერლევი-სონდერიისკი | 1:7 |
| ჰერნინგი-ჰვიდოვრე | 4:2 |
| ოლბორგი-ფრედრიკშავენი | 0:6 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სტრიორნენი | 5:4 (ო) |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| კოშიცე-ზვოლენი | 0:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ლუკო | 4:2 |
| იოკერიტი-იუვიასკიულა | 1:0 |
| საიპა-კერპეტი | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 7:3 |
| ზლინი-ვიტკოვიცე | 2:3 (ო) |
| პლზენი-სლავია | 2:3 (ო) |
| ხომუტოვი-პარდუბიცე | 2:5 |
| კლადნო-ბრნო | 2:4 |
| სპარტა-ლიბერეცი | 3:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ბილი | 4:5 (ო) |
| კლოტენი-ლუგანო | 3:2 (ო) |
| ლანგნაუ-დავოსი | 2:4 |
| რაპერსვილი-ბერნი | 3:0 |
| სერვეტი-ფრიბურგი | 5:1 |
| ციურიხი-ცუგი | 3:2 (ბ) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ჰ371 | 4:5 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბაზელი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-ტომიჩი | 6:0, 6:2 |
| ჰანესკუ-ებდენი | 3:6, 6:7 |
| შტეპანეკი-ბეიკერი | 6:2, 6:7, 3:6 |
| გარსია ლოპესი-ჩიუდინელი | 7:5, 3:6, 4:6 |
| ვავრინკა-დავიდენკო | 6:7, 6:7 |
| ანდერსონი-ნიემინენი | 7:6, 6:3 |
| ტროიცკი-დიმიტროვი | 3:6, 2:6 |

**ATP. ვალენსია**

| | |
|---|---|
| კუერი-ფ. ლოპესი | 6:3, 7:6 |
| დოლგოპოლოვი-ვოლანდრი | 6:3, 7:6 |
| ფერერი-ო. როხუსი | 7:5, 7:5 |
| მელცერი-ბერლოკი | 6:3, 6:3 |
| ცონგა-მალისე | 1:6, 0:6 |
| ალმაგრო-ფერერო | 7:5, 6:3 |
| სიმონი-ტიპსარევიჩი | 6:4, 6:0 |

**WTA. სტამბოლი**

| | |
|---|---|
| ა. რადვანსკა-კვიტოვა | 6:3, 6:2 |
| ს. უილიამსი-კერბერი | 6:4, 6:1 |
| შარაპოვა-ერანი | 6:3, 6:2 |

● TV პროგრამა

**24 ოქტომბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მანჩესტერ იუნ-ბრაგა.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ლილი-ბაიერნი
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ვერდერი-ბორუსია (მ).
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. VIII ტური. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ სიტი.
**18:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ჰამბურგი-შტუტგარტი.
**20:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზენიტი-ანდერლეხტი (LIVE).
**22:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტურის წინ.
**22:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. არსენალი-შალკე (LIVE).
**00:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. აიაქსი-მანჩესტერ სიტი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ესტუდიანტესი.
**12:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. მაიკლ ჯორდანი. I ნაწილი.
**13:00** კალათბურთი. ევრო-ლიგა. რეგულარული სეზონი. პარტიზანი-ცსკა.
**15:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ჩელსი.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. სკარლეტსი-ლენსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საკალათბურთო მიმოხილვა - მაღალი ევროპა.
**21:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
**00:45** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. მაიკლ ჯორდანი. I ნაწილი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ექსეტერი-კლერმონი.
**16:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნორვიჩი-არსენალი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. აიაქსი-მანჩესტერ სიტი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ვიკას ორი მოგება სჭირდება

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა** წლის ბოლომდე შეინარჩუნებს რეიტინგში უმაღლეს საფეხურს, თუ წლის შემაჯამებელ ტურნირზე მინიმუმ ორი შეხვედრის მოგებას მოახერხებს, - იტყობინება Tennis.com.

თურქეთში ბელარუსი ჩოგბურთელი ერთ ჯგუფში მოხვდა **სერენა უილიამსთან**, რომელთანაც სექტემბერში ამერიკის ღია პირველობის ფინალში დამარცხდა. ამასთან, ამერიკელ ჩოგბურთელს, რომელსაც კლასიფიკაციაში მესამე ადგილი უკავია, წლის შედეგების მიხედვით ლიდერობის მოპოვების მინიმალური შანსიც არ გააჩნია. შეგახსენებთ, რომ აზარენკას უახლოესი მდევარი რეიტინგში რუსი მარია შარაპოვაა.

■ ■ ■

„ამერიკელმა ჩოგბურთელებმა – **ბობ და მაიკ ბრაიანებმა** წლის შედეგების მიხედვით გაინაღდეს ATP-ის წყვილთა თანრიგში პირველი ადგილი", - წერს ATP-ის ოფიციალური ვებგვერდი. აღსანიშნავია, რომ ტყუპი ძმები უკვე ზედიზედ ოთხი წელია ამთავრებენ სეზონს საუკეთესო წყვილის რანგში. სულ კი ასეთი რამ მათ კარიერაში რვაჯერ მოხდა.

ბრაიანების დუეტი პირველია ისტორიაში, რომელმაც ზედიზედ 10 სეზონის განმავლობაში შეძლო ერთ წელს მინიმუმ ხუთი ტურნირის მოგება.

*"სეზონის პირველ საფეხურზე დასრულება – ეს ის მიზანია, რომელსაც ყოველი წლის დასაწყისში ვისახავთ. ძალიან სასიამოვნოა, რომ ისევ შევძელით უმაღლეს მწვერვალზე ფინიში. ყოველ წელს პროფესიულ ტურში კონკურენცია იზრდება, ამიტომაც ბედნიერი ვართ, რომ ძალიან ბევრ ძლიერ დუეტზე მაღლა აღმოვჩნდით. გასული ზაფხული დაუვიწყარი იქნება, რადგან მოვიგეთ ოლიმპიური ოქრო და აშშ-ის ღია პირველობა. გვინდა მადლობა გადავუხადოთ ჩვენს მწვრთნელს, ოჯახსა და გულშემატკივრებს დიდი მხარდაჭერისთვის"*, - განაცხადა ბობ ბრაიანმა.

■ ■ ■

ორშაბათს გამოქვეყნებული ახალი რეიტინგის მიხედვით, კარიერაში პირველად ტოპხუთეულში შევიდა 24 წლის ანჟელიკ კერბერი. მან რეიტინგში ჩეხი **პეტრა კვიტოვა** ჩამოაქვეითა.

როგორც WTA-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს, კერბერი მეხუთე გერმანელია ისტორიაში, ვინც რეიტინგის საუკეთესო ხუთეულში მოხვდა. მანამდე ანალოგიური მიღწევა ჰქონდათ: **შტეფი გრაფს, კლაუდია კოდე-კილშს, ანკე ჰუბერსა** და **სილვია ჰანიკას**.

# 65 მეტრი ლოპესისგან

ესპანელი ჩოგბურთელი **ფელისიანო ლოპესი** ზედიზედ მეორედ გახდა ტრადიციული კონკურსის - The Longest Serve-ის („ყველაზე გრძელი მოწოდება") გამარჯვებული. ეს კონკურსი ვალენსიაში ATP-ის ტურნირის რანგში ჩატარდა.



სარეკორდო მოწოდება

კონკურსის მონაწილეებს ორი ცდა აქვთ მოწოდების შესასრულებლად. ყოველი ცდის შემდეგ, მსაჯები ზომავდნენ მანძილს, რომელზეც ბურთი გაფრინდა. ყველაზე შორი მოწოდების ავტორი კონკურსის გამარჯვებული ხდებოდა.

შედეგით – 65 მეტრი - ლოპესმა აჯობა თავის თანამემამულეს **ხუან კარლოს ფერეროს** (61 მეტრი), ფრანგ **ჟილ სიმონს** (60 მეტრი) და კიდევ ერთ ესპანელს – **დავიდ ფერერს** (45 მეტრი).

ლოპესმა ამ გამარჯვებისთვის ორი ათასი ევრო მიიღო. მან ეს თანხა ხუან კარლოს ფერეროს საქველმოქმედო ფონდში გადარიცხა.

# ვენუსი ჩემპიონებში მოხვდა



ვენუს უილიამსი

ამერიკელმა ჩოგბურთელმა **ვენუს უილიამსმა** "ჩემპიონთა ტურნირზე" მონაწილეობის უფლება მოიპოვა, რომელიც 30 ოქტომბერს სოფიაში აიღებს სტარტს. დაადასტურებს თუ არა სახელოვანი ჩოგბურთელი ტურნირში მონაწილეობას, მოგვიანებით გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ ტურნირში მონაწილეობას მიიღებს რვა ჩოგბურთელი – უაილდ-ქარდის ორი მფლობელი და International-ის კატეგორიის ტურნირების მიხედვით ექვსი საუკეთესო ჩოგბურთელი. აღსანიშნავია, რომ ვენუსმა გასულ კვირას ამ კატეგორიის ტურნირი მოიგო ლუქსემბურგში.

სოფიას ტურნირის პოტენციური მონაწილეები არიან: **მარია კირილენკო** (უაილდ-ქარდი), **ცვეტანა პირონკოვა** (უაილდ-ქარდი), **კაროლინა ვოზნიაცკი** (11), **ნადეჟდა პეტროვა** (13), **რობერტა ვინჩი** (16), **კაია კანეპი** (19), **ვენუს უილიამსი** (24), **სუ-ვეი ჰსიე** (25), **ჟიე ჟენგი** (29), **დანიელა ჰანტუხოვა** (32).

ამბები

ფორმულა 1

## ლუისი მაკლარენს დაემშვიდობა

გასულ პარასკევს, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** ქალაქ უოკინგის ბაზაზე, სპეციალური ღონისძიების დროს გამოემშვიდობა „მაკლარენის" თანამშრომლებს. წინ არის ოთხი გასვლითი რბოლა, რის შემდეგაც ჰემილტონი ბაზაზე აღარ დაბრუნდება, სეზონის შემდეგ კი ის მუშაობას „მერსედესში" დაიწყებს.

*„მართლაც ვამაყობ იმით, რომ ასე დიდხანს ვმუშაობდი „მაკლარენში". მახსოვს, როგორ მივედი 13 წლის ასაკში გუნდის ძველ ბაზაზე. „მაკლარენში" ნახევარი ცხოვრება გავატარე - ეს გუნდი, მისი თანამშრომლები და მანქანები სამუდამოდ დარჩება ჩემს გულში.*

*„მერსედესის" ბაზა ისეთი შთამბეჭდავი არ არის, როგორიც „მაკლარენის" ტექნოლოგიური ცენტრი, მაგრამ ახალი გამოწვევის მიღება გადავწყვიტე და ვიმუშავებ იმ გუნდის ინჟინრებთან, რომლებსაც მოგება უნდა ვასწავლო. იმედია, „მერსედესთან" ერთად წარმატებას მივაღწევ, მაგრამ „მაკლარენი" სამუდამოდ დაიკავებს განსაკუთრებულ ადგილს ჩემს გულში"*, - განაცხადა ღონისძიების შემდეგ ჰემილტონმა.

ოლიმპიზმი

## ეკონომიური ოლიმპიადა

ბრიტანეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ლონდონში ოლიმპიადის ჩატარების ხარჯმა 400 მილიონი ფუნტი შეადგინა - იმაზე ნაკლები, ვიდრე წინასწარი გათვლებით ელოდნენ. ხოლო საბოლოო თანხა, რომელიც 2012 წლის ზაფხულის თამაშებთან დაკავშირებულ ყველა პროექტზე დაიხარჯა, 8 მილიარდ 921 მილიონ ფუნტს უდრის. ეს იმ დროს, როცა ბიუჯეტში ჩადებული იყო 9 მილიარდ 298 მილიონი ფუნტი.

ეკონომიის გაკეთება შესაძლებელი გახდა უსაფრთხოებაზე, ტრანსპორტსა და ობიექტების მშენებლობაზე ნაკლები დანახარჯების საშუალებით. შედეგად, მთავრობამ დაზოგა 480 მილიონი ფუნტი. ეს თანხა დაფარავს რისკებს, რომელიც უკავშირდება ოლიმპიური პარკის რეკონსტრუქციას.

ოლიმპიურმა მინისტრმა **ჰიუ რობერტსონმა** ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ აღნიშნა: *„ის, რომ ჩვენ შევძელით ასეთი დიდი და რთული პროგრამის ვადებში შესრულება და თან საბიუჯეტო თანხებიც დავზოგეთ - უდიდესი მიღწევაა".*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ველოსპორტი



ლენს არმსტრონგი

# 3 მილიონი უნდა დააბრუნოს

**ლენს არმსტრონგთან** დაკავშირებულ სკანდალს გამოეხმაურა ტურ დე ფრანსის დირექტორი **კრისტიან პრიუდომი**. მან განაცხადა, რომ არმსტრონგმა უნდა დააბრუნოს საპრიზო თანხა, რომელიც ფრანგულ ველომარათონზე 1999-2005 წლებში გამოიმუშავა. ლაპარაკია დაახლოებით 3 მილიონ დოლარზე.

გარდა ამისა, პრიუდომმა განაცხადა, რომ ფრანგული ველომარათონის 1999-2005 წლების რბოლები გამარჯვებულის გარეშე დარჩება.

*„ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს რბოლები გამარჯვებულის გარეშე დარჩება. „ტურმა" უნდა აღიდგინოს თავისი რეპუტაცია. დოპინგთან ბრძოლას საკმარისი დრო დაეთმო, უფრო ამაღლდა კონტროლი. ველოსპორტი შეიცვალა წინა წლებთან შედარებით.*

*ამასთან, ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის წესების თანახმად, არმსტრონგმა უნდა დააბრუნოს მის მიერ მოპოვებული ყველა საპრიზო თანხა"*, - ამბობს პრიუდომი.

■ ■ ■

ამასობაში, კიდევ ერთმა ველომრბოლმა აღიარა დოპინგის გამოყენება, რომელიც 2000-01 წლებში არმსტრონგთან ერთად US Postal-ში გამოდიოდა. ნორვეგიელმა **სტეფენ კიერგარდმა** განაცხადა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში იღებდა ერითროპოეტინსა და კორტიზონს.

სპორტსმენის თქმით, საქმის კურსში არ არის, იღებდნენ თუ არა დოპინგს მისი პარტნიორები, მაგრამ ვარაუდობს, რომ სხვა მრბოლელებიც იყენებდნენ აკრძალულ პრეპარატებს.

■ ■ ■

ლენს არმსტრონგის საქმეს კიდევ ერთი გამოვლინება ექნება. კერძოდ, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს შესთავაზეს რვიდან 14 წლამდე გაზარდოს ვადა, რომლის დროსაც შეიძლება იპოვონ სპორტსმენის მიერ დოპინგის მიღების მტკიცებულებები. ამგვარი წინადადება სწორედ ბოლოდროინდელი სკანდალის შედეგია.







ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:24
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608